ქართული მწერლობა

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

1

იანვარი
2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მიწიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

პაატა ნაცვლიშვილი. 44 პოსტმოდერნისტული 4-თანხმოვ(ა)ნება ახალი (ძველი) კოლექციიდან **5**

მწერლის არქივიდან

ოთარ ჭილაძე. ჩანაწერები **17**

მხატვრული პროზა

ოლესია თავაძე. გადამცდარნი **32**

დებიუტი

თამარ თოლორაია. კაპელა **40**

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

ზურაბ ცხონდია. რაც უნდა დუმილით მეთქვა **43**

ამოხეული ფურცლები

49 **ნიკო ნიკოლაძე.** რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი (**ზაზა აბზიანიძის** პუბლიკაცია)

ახალი თარგმანები

59 **ბერნჰარდ შლინკი**. შაქრის მუხუდო (თარგმანი **ბელა სურგულაძისა**)

შტრიხები პორტრეტისათვის

71 **რენე კალანდია.** ღვინისფერი პოეტის სევდა

უკვდავი სახელები

75 **წმიდა ალექსი შუშანია.** საზომი სულიერი თავისუფლებისა (წერილი **იონა მეუნარგიასადმი**)

წიგნის პრეზენტაციები

77 ლიტერატურული ალილობა არტ-კაფე „ქარავანში“ პასტერნაკის ლექსები ქართულად

წიგნები

78 „ინტელექტი“ გთავაზობთ
79 „არტანუჯი“ გთავაზობთ

პოეზია

პაატა ნაცვლიშვილი



44 პოსტმოდერნისტული 4-თანხმოვ(ა)ნება ახალი (ძველი) კოლექციიდან

ამ პუბლიკაციის ავტორი მეოთხედი საუკუნეა მისდგომია „თანხმოვ(ა)ნებების“ ვეება ორმოს და ეს პოსტმოდერნისტული ლექსები ამოაქვს და ამოაქვს. გამოქვეყნებით კი ერთადერთხელ გამოაქვეყნა – ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2008 წლის 25 აპრილის ნომერში.

ავტორი „თანხმოვ(ა)ნებებს“ სერიებად ჰყოფს: ორთანხმოვ(ა)ნებანი, სამთანხმოვ(ა)ნებანი, ოთხთანხმოვ(ა)ნებანი და ხუთთანხმოვ(ა)ნებანი, ანუ ყველასთვის გასაგებად – დითანხმოვ(ა)ნებანი, ტრითანხმოვ(ა)ნებანი, ტეტრათანხმოვ(ა)ნებანი და პენტათანხმოვ(ა)ნებანი.

„ჩვენს მწერლობაში“ ტრითანხმოვ(ა)ნებანი დაიბეჭდა, საამჟურნალოდ კი ავტორმა 44 ძველი თუ ახალი ტეტრათანხმოვ(ა)ნება შეარჩია.

ლექსების სათაურებში ყოველი რიცხვი ქართული ასოების ადგილს შეესაბამება 33-ასოიანი ქართული ანბანის რიგში.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სქოლიო ლექსის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი წაკითხვა, ისევე როგორც თავად ლექსისა, სულაც არ არის სავალდებულო.

02. 02. 11. 13.

ეგვიპტე[1] და შუმერი[2] და აქადი[3] და ბაბილონი[4],
სამი ათასწლეულია ზღაპარს ყვება ბაბილინა[5],
ამა ქვეყნის ძლიერთ სთნავენ იმა ქვეყნის ბობოლანი,
ვინძლო ხახვში არ ჩახრაკონ მაგ ყურების ბიბილონი[6].

1, 2, 3, 4. ეგვიპტე, შუმერი, აქადი, ბაბილონი – ძველი მსოფლიოს ქვეყნები. ეგვიპტეში მოგზაურობა დღესაც შეიძლება (მიაკითხეთ თუნდაც „მოგზაურთა კლუბს“ და „ენ-ტურს“. შუმერთან დაკავშირებით იხილეთ პარლამენტის ყოფილი წევრის ზურაბ ქაფიანიძის უნიკალური შრომები პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის წინასიტყვაობებით).

5. ბაბილინა ზღაპრების მთხრობელია საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე; იხ. აგრეთვე ამავე სახელწოდების მშვენიერი ქართული მულტფილმი (1986, რეჟისორი დათო თაყაიშვილი).

6. იგულისხმება ცნობილი ხატოვანი გამოთქმა ყურებზე ხახვის დაჭრის თაობაზე.

02. 07. 11. 10.

ქალაქებში გაერივნენ ტამბოვი და ბუზულუკი[1],
მარსელი და მონაკო და ტურინი და ბაზელი კი
რკინის ფარდის მიღმა გარჩნენ, როგორც ტყეში ბაზილიკა...
ვერ დამიჭერთ უსამხილოდ, ვერ დამიჭერთ ბეზ ულიკი[2]!

1. ბუზულუკი – გადაკარგული რუსული ქალაქი ორიოლის ოლქში; დიდი ბეზლიკი[3] რამე იყო ეს ბუზულუკი, სანამ მამაჩემი – თემო ნაცვლიშვილი (1925-2009) ლევ ტოლსტოის ძეგლს დადგამდა იქ 1974-ში.

2. ბეზ ულიკი (რუს. без улики) – უსამხილოდ (ლექსი იმ დროს არის დაწერილი, როცა ასეთი ლექსები არ იწერებოდა, ხოლო მეოთხე სტრიქონში ავტორი იმ ხალხს მიმართავს, ვისაც ასეთ ლექსებზე, თუ ვინმე მათ დაწერას მაინც გაბედავდა, დროული რეაგირება ევალებოდა.).

3. ბეზლიკი (რუს. безликий) – უსახური.

02. 11. 06. 17.

შენ უნდა თქო, კლინტონი[1] ვარ, შენ უნდა თქო, ბილი ვარო!
მონიკაზე[2] გადამჯდარხარ, როგორც ცხენზე ბოლივარი[3],
მაგ ქვეყანას ვერაფერმა ვერ მოუღო ბოლო, ვერა!
ვერც მაგ ამბით[4] შეირყევა ამერიკის ბალავარი!

1. უილიამ ჯეფერსონ (იგივე ბილ) კლინტონი (დ. 1946) – აშშ 42-ე პრეზიდენტი (1993-2001).

2. მონიკა – მონიკა ლევინსკი (დ. 1973) – თეთრი სახლის სტაჟიორი, რომელთანაც პრეზიდენტ კლინტონს ორალურ-სექსუალური თავგადასავლები გადახდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ნატოს ოპერაცია იუგოსლავიაში კლინტონმა ლევინსკის გარშემო ატეხილი სკანდალის გადაფარვის მიზნით განახორციელა.

3. სიმონ ბოლივარი (1783-1830) – სამხრეთ ამერიკის ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ვენესუელის ეროვნული გმირი, გენერალი, დიდი კოლუმბიის პრეზიდენტი. მის პატივსაცემად მის მიერ გათავისუფლებული პერუს ტერიტორიას ბოლივია ეწოდა. სამხრეთ ამერიკის ყველა ესპანურენოვან ქვეყანაში მისი ცხენოსანი ქანდაკება დგას.

4. თვითცენზურაა: პირველ ავტორისეულ ვარიანტში იკითხება „მაგ თესლით“.



02.11.17.11.

ბალ-მასკარადს – ბალ-მუსიკა სჭირდება და ბალ-არენა,
ტანგოები, ფოქსტროტები, ვალსები და ბოლერონი[1],
თავს ვერაფრით მაწონებენ ბალეტი და ბალერინა,
ისე როგორც ბოლოსწინა „ბეემვე“ და ბოლო „რენო“.[2]

1. ტანგო, ფოქსტროტი, ვალსი, ბოლერო – წყვილთა ცეკვები.
2. „ბეემვე“ (BMW) და „რენო“ – გერმანული და ფრანგული საავტომობილო მარკები.

02. 17. 02. 13.

იქით არის ერთი ქრისტე, აქეთ – ბლომად ბარაბანი[1],
თუნდაც გულში ვიმღეროდე, უნდა მომცე ბერო, ბანი.
ყარაბასი[2], ბარაბასი[3], ქრისტე სი[4]! და ბარაბა ნო[5]!
ბარაბანი არ გაგისკდეს, მაგ ყურების ბარაბანი.

1. ბარაბა – სახარებისეული ავაზაკი (იხ. მათე, მარკოზ, ლუკა ან იოანე)
2, 3. ყარაბასი და ბარაბასი – ორად გაყოფილი ყარაბას-ბარაბასი – ცნობილი პერსონაჟი „ბურატინოს თავგადასავლიდან“.
4, 5. სი (ესპ. იტალ.) – კი, დიახ; ნო (ესპ. იტალ.) – არა.

03. 04. 27. 12.

აბსურდია მა რა არი: ბატიც უმი, გედიც – უმი,
იონესკომ[1] მარტორქები[2] და ბეკეტმა[3] გოდო[4] ცემა,
ახლა თუშეთს რა სჯობია – ყველიც ამო, გუდაც ამო,
ქვემოთ რჩება აბსურდი და გრიგოლიას[5] გადაცემა!

1. ეჟენ იონესკო (1909-1994) – რუმინული წარმოშობის ფრანგი მწერალი, აბსურდის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საფრანგეთის აკადემიის წევრი (1970).
2. „მარტორქა“ – იონესკოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესა (1959).
3. სემუელ ბეკეტი (1906-1989) – ირლანდიელი მწერალი, აბსურდის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1969).
4. გოდო – ბეკეტის ყველაზე ცნობილი პიესის (1952) ვირტუალური პერსონაჟი.
5. გრიგოლიას გადაცემა – იგულისხმება ინგა გრიგოლიას ტელეგადაცემა; რომელი ერთი, აღარ მახსოვს.

03. 11. 04. 13.

პაატა ვარ ბურჭულაძე[1] თუ აჩიკო გულედანი[2],
ამ სიმღერას როცა ვმღერი, სისხლი დამდის გულიდანო,
რა ვქნა, რუსო, არ გნებდები, დიდხანს უნდა გალოდინო,
ვერ გამაგდებ, არ მოვიცვლი ფეხს ამ ჩემი გალიდანო[3]!

1. პაატა ბურჭულაძე (დ. 1955) – სახელოვანი ქართველი მომღერალი, თანამედროვე მსოფლიოს უპირველესი ბანი.
2. აჩიკო გულედანი (დ. 1973) – ქართველი მუსიკოსი.
3. სამწუხაროდ, ეს ლექსი ვერ გამოდგა მთლად წინასწარმეტყველური – რუსი ვერც დიდხანს ვალოდინეთ და გალიდანაც ერთბაშად ამოვიკვეთეთ ფეხი.

03. 13. 19. 10.

ვტოკამ ვირი კუდივითა, კუდი გავხდი განატოკი,
ღვინით სავსე კასრი გთხოვე, ქვევრი გთხოვე, გინა ტიკი,



ვერაფერი მოვუხერხე, თავისას მთხოვს გენეტიკა,
ნუ მიჰყიდით თელასს რუსებს – დენი მინდა განა ტოკი[1].

1. ტოკი (რუს. ток) – დენი.

03. 13. 27. 04.

სადაც შენი იდო გენი, იქავ იმათ გენიც იდო,
სად დედ-მამას განცდა შეხვდა, იქავ შვილმაც განიცადა,
თუ წინაპრებს არ სცემ პატივს, ქვესკნელს წახვალ, განა ცადა,
არ აგცდება, დაიხსომე, სულიერი გენოციდი[1].

1. გენოციდი – (აქ) განადგურება, (იქ) მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით; ითვლება ერთ-ერთ უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

04. 02. 04. 02.

დავალ-დავალ დაბალ-დაბალ სოფელ-სოფელ, დაბა-დაბა,
ბუმ დაბადა ბუკნაჭოტი, ბუკნაჭოტმა დაბადა ბუ,
აბუ-დაბი[1] ამ უდაბნოს დამაბნედელ დიბად[2] ება,
მე სიკვდილი რომ მეგონა, ის ყოფილა დაბადება!

1. აბუ-დაბი – არაბთა გაერთიანებული საემიროების ამავე სახელწოდების საემიროს დედაქალაქი, „ახლო აღმოსავლეთის მანჰეტენად“ წოდებული.
2. დიბა – სხვათა ენაა, ქართულად ოქრომკედი ჰქვია.

04. 02. 21. 11.

დაბალ მოდას სულ არ უნდა, მაღალს[1] უნდა დიდი ფული,
უცხო სიტყვათ წვიმა მოდის, კუტურიე[2] და დეფილე[3]...
ყური უგდე ნაცნობ ბგერებს: დო-ფა-დო-ლა, დო-დო-ფა-ლა,
ამოდენა დედოფლებში შენ ხარ ერთი დედოფალი.

1. მაღალი მოდა (ფრ. haute couture) – უმაღლესი ხარისხის სამკერვალო დიზაინი, უნიკალური მოდელების წარმოება.
2. კუტურიე (ფრ. couturier) – მოდელიორი, მაღალი მოდის (იხ. ზემოთ) დიზაინერი.
3. დეფილე – (ფრ. defile) – ვიწრო გასასვლელი ხეობაში. ჩვეულებრივ, სამხედრო-ტაქტიკური ტერმინია. 1913 წელს პირველად იხმარეს მოდასთან კავშირში – ვიწრო, ელიტურ წრეში მოდების ჩვენებისას პოდიუმზე მოდელის გრაციოზული რონინის აღსანიშნავად. მას მერე მოდების ჩვენების მნიშვნელობით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე სამხედრო მნიშვნელობით.

04. 10. 04. 17.

არ ივარგე დაკად[1], არა, – თავი შენი დაკოდე რა,
მიაკარგე სამაჩაბლო, აფხაზეთი და კოდორი.
მინდიამ[2] თქვა, როცა მოვალ, ღვიად[3] მოვალ, დეკად[4] არა.
შენ ამ სიტყვებს ვერ გაიგებ, თუ არა გაქვს დეკოდერი[5].

1. დაკი, დაკები – რომის იმპერიაში შემავალი თრაკიელთა მეომარი ტომი. სახლობდნენ თანამედროვე რუმინეთის, სერბიის, უნგრეთის, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიებზე.
2. მინდია – ვაჟა-ფშაველას (1861-1915) „გველისმჭამელის“ (1893) პერსონაჟი, გულთამხილავი.
3, 4. ღვია და დეკა – ყველაზე პოპულარული მცენარეები (იასთან ერთად) ვაჟას პოეზიაში.
5. დეკოდერი – მოწყობილობა ელექტროსიგნალის ერთი სისტემიდან მეორეში გადასაყვანად ან კოდირებული რამ ინფორმაციის წასაკითხად.



08. 10. 04. 04.

თავს როდესაც ჩამოიხრჩობ, გებრალება თუკი დედა,
თუ კიდე ძმა გებრალება, გებრალება თუ კიდე და,
თავს როდესაც ჩამოიხრჩობ, თუგინდ იყო თუკიდიდე[1],
რომ ვერავინ ვერ გაიგოს, ისევ იქვე თოკი დადე.

1. თუკიდიდე (ძვ. წ.ა. V ს.) – უდიდესი ბერძენი ისტორიკოსი და სტრატეგოსი, თრაკიის მეფის ოლორის შთამომავალი, ავტორი თხზულებისა „პელოპონესის ომის ისტორია“. ცხოვრების ბოლო 20 წელიწადი დევნილობაში გაატარა. არის ცნობები, რომ მოკლეს ან თავი მოიკლა.

08. 31. 17. 10.

სმენად მხეცნი მოვიდიან[1], ამოდ მღერის თიხა[2] რაკი...
ქალს არ იჯენს ულამაზოს ჩემი ცხენი თოხარიკი,[3]
ჩემს ცხენს უნდა შემოაჯდე, შენც ლამაზი თუ ხარ, ეკა,
მაგრამ სხვამ რომ შემოგისვას, თავში უნდა თოხი რეკო.

1. იხ. შოთარუსთაველის (დ. 1166–გარდ. იერუსალიმში) „ვეფხისტყაოსანი“, დასურათებული ირაკლი თოიძის (1902-1985) მიერ.
2. იხ. ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“ (1958, რეჟისორი შოთა მანაგაძე), რომლის ერთ ეპიზოდში გაისმის სიტყვები: „თიხა მღერის!“
3. ისმის ცნობილი „იმერული მგზავრული“ – ხალხური სიმღერა, რომელშიც არის ასეთი ფრაზა: „ჩემი ცხენი თოხარიკი ქალს არ იჯენს ულამაზოს“....

10. 13 . 06. 17.

ალისფერი, მეწამული, წითელი და კინოვარი[1]:
ჯინსი ვერა, კევი არა, ბიტლზი[2] არა, კინო ვერა,
ერთადერთი სიხარული იყო ვილის კონოვერი[3]...
ახლა კიდე ლამის სახლში შემომეჭრეს კანავარო[4].

1. კინოვარი – მინერალი, ოდითგან საღებავად იყენებდნენ; ალისფერთან და მეწამულთან ერთად წითლის სინონიმად იხმარება, თუმცა ფერთა კატალოგში კონკრეტულ ელფერს შეესაბამება.
2. ბიტლზი – The Beatles – ლივერპულელთა ოთხეული (ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი და რინგო სტარი); ყველაზე სახელოვანი როკ-ჯგუფი მუსიკის ისტორიაში, რომელიც 60-იან წლებში მოდის კანონმდებელად იქცა მთელ მსოფლიოში სსრკ-ს გარდა, სადაც ფაქტობრივად აკრძალული იყო.
3. ვილის კონოვერი (1920-1996) – ამერიკელი რადიოჟურნალისტი და მუსიკალური პროდიუსერი, 1955 წლიდან 40 წლის განმავლობაში ყოველდღე მიჰყავდა „ჯაზის საათი“ რადიოსადგურ „ამერიკის ხმაზე“.
4. ფაბიო კანავარო (დ. 1973) – იტალიელი ფეხბურთელი („ნაპოლი“, „პარმა“, „ინტერი“, „იუვენტუსი“, მადრიდის „რეალი“), მსოფლიო ჩემპიონი (2006), მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (2006).

10. 17. 11. 08.

ვერ ვიტყუებ თავს მარკ ტვენით[1], ვეღარც ლუის კეროლითა[2],
ვერც სასმელით ვერ ვიტყუებ, – გაიხურე კარი, ლოთო!
მე კი გავცდი რუსთა ბლოკ-პოსტს „ტოიოტა-კოროლათი“[3],
მაგრამ რა ქნას, თავის თავს ხომ ვერ გასცდება კარალეთი[4]?!

1. მარკ ტვენი (1835-1910) – ამერიკელი მწერალი (ნამდვილი სახელი და გვარი – სემუელ კლემენსი), ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების გარდა, უაღრესად თავშესაქცევი იუმორისტული ნაწარმოებების ავტორი.
2. ლუის კეროლი (1832-1898) – ინგლისელი მწერალი, მათემატიკოსი და ფოტოგრაფი (ნამდვილი სახელი და გვარი – ჩარლზ დოჯსონი), ლიტერატურული ნონსენსის ჟანრის ფუძემდებელი, ავტორი საყოველთაოდ ცნობილი თხზულებებისა: „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ და „ელისი სარკისმიღმეთში“.

3. „ტოიოტა-კოროლა“ – იაპონური მსუბუქი ავტომობილი.
4. კარალეთი – ქართული სოფელი 2008 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის საზღვარზე.



10. 17. 18. 11.

შენს პრეზიდენტს გაზის ტრუბა[1], ჩემს პრეზიდენტს – კარუსელი[2],
მე ქართული, შენ თურქული, რუს გენერალს კი რუსული...
ასი ძროხა დააგრილა[3], წაეკიდა კუროს ალი,
სამ კაროლში პაროლს ამბობ, სამ დამაში კარეს ელი[4].

1. ტრუბა (რუს. труба) – მილი.
2. კარუსელი ორნაირია – ერთი საბავშვო, მეორე საარჩევნო.
3. დაგრილება – ზოოვეტერინარული ტერმინია, ცხოველთა განაყოფიერებას ნიშნავს.
4. ბოლო სტრიქონს პოკერის მოთამაშეთათვის განმარტება არ სჭირდება, სხვებისთვის ახსნას კი აზრი არა აქვს; სჯობია ჯერ პოკერის თამაში ისწავლონ.

12. 03. 11. 08.

მომილოცეთ მე გულითა, – მოვილოცე მე გელათი[1]...
ვინაც მოგვცა ბრძოლისა და სინანულის მაგალითი,
დღეს გვაფრთხილებს, თუ მას ენდეთ, უარესი მოგელითო!
მეფეს გულზე ქვა არ ადევს და არც ლოდი, – მეგალითი.

1. გელათი – მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი, ქუთაისიდან 11 კილომეტრზე. შეტანილია იუნესკოს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში) მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. აგებულია დავით აღმაშენებლის (1073-1125) თაოსნობით 1106 წელს. აქ არის დაკრძალული დავით აღმაშენებელი, რომლის საფლავზე 2004 წელს ქვეყნის ერთგულების ფიცი დადო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

12. 04. 08. 06.

ამ ყორანზე გადმოფრენას არ აპირებს მადათოვი[1],
მადათოვმა[2] მშრალი ხიდის[3] მოაჯირზე მიდო თავი,
მადათოვი მოდის მაღალ მწვერვალებზე მოდით ავა,
მოდით, მოდით მოწამლულებს ვუმკურნალოთ მოდითავე.

1. შდრ. გალაკტიონის (1891-1959) ცნობილ სტროფს: „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს, \ გაანათებს რესტორანი ტივებიან ნაპირებს“. სხვათა შორის, ქართული პოეზიის ერთი გამორჩეული რითმა – „ეს ყორანი“-„რესტორანი“ ლექსის პირველ ვარიანტში არ ყოფილა: გალაკტიონის ხელნაწერში „გაანათებს რესტორანი“-ს ნაცვლად „გაანათებს ელექტრონი“ იკითხება.
2. მადათოვი – ვალერიან (რუსტამ) მადათოვ-ყარაბაღელი (1782-1829). სომეხი თავადი, გენერალ ლეიტენენტი, 1812 წლის სამამულო ომის, რუსეთ-სპარსეთის, რუსეთ-თურქეთის ორი და კავკასიის ომების მონაწილე. 1818 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ალექსეი ერმოლოვმა (1777-1861) მისი დახმარებით დაიმორჩილა ჩეჩნები, ხოლო 1826 წელს მთავარმართებელმა ივან პასკევიჩმა (1782-1856) მისი შემწეობით დაამარცხა აბას-მირზა და აიღო შუშა. მადათოვის სახელი ერქვა კუნძულს თბილისში, რომელიც აღარ არსებობს.
3. ხიდი, რომელიც ოდესღაც მადათოვის კუნძულს აკავშირებდა მტკვრის მარჯვენა ნაპირთან.

12. 08. 12. 25.

მინდა, მაგრამ ძაან მიჭირს, დავუჯერო მათ ამაში,
მართლმორწმუნე თომას არ ვცვლი ურწმუნოში მე თომაში[1],
თქვენი არის მეტრეველი[2], ჩვენი – ჟორა[3], მათი – მიშა[4]...
თუ მაგარი იგროკი[5] ხარ, მაზიანზე[6] მეთამაშე[7]!



1. ურწმუნო თომა – იხ. სახარება. უმჯობესია გიორგი ათონელისეული თარგმანი.
2. მეტრეველი – იგულისხმება სლავა მეტრეველი (1936-1998) – მოსკოვის „ტორპედოსა“ (1956-1962) და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი (1963-1971). 48 მატჩი და 11 გოლი სსრკ ნაკრებში (1958-1970).
3. ჟორა – იგულისხმება გიორგი (ჟორა) სიჭინავა (დ. 1944) – თბილისის „დინამოსა“ (1960-1969) და რუსთავის „მეტალურგის“ (1971-1972) ფეხბურთელი. 8 მატჩი სსრკ ნაკრებში (1964-1966).
4. მიშა – იგულისხმება მიხეილ (მიშა) მესხი (1937-1991) – თბილისის „დინამოსა“ (1954-1969) და „ლოკომოტივის“ (1970) ფეხბურთელი. 35 მატჩი და 4 გოლი სსრკ ნაკრებში (1959-1966).
5. იგროკი (რუს. игрок) – მოთამაშე (ამ თანხმოვანების მთავარი, მაგრამ მხოლოდ ნაგულისხმევი სიტყვა).
6. მაზიანი (ჟარგ.) – სანაძლეო.
7. ეს თანხმოვანება პოლიტიკური ცენზურის კარგი მაგალითია. ბოლოსწინა სტრიქონი თავდაპირველ ვარიანტში ასე იკითხებოდა: „თქვენი არის ედუარდი, ჩვენი – მეფე, მათი – მიშა“. თუმცა სახელთა დამთხვევა აქ შემთხვევითია.

12. 12. 18. 13.

შენი იყოს ანიც[1], ბანიც[2], მე სანაცვლოდ მომე სანი[3]!
ვერ გავუგეთ ჩვენ ერთმანეთს, შენ მასონი[4], მე მისანი,
მამას ენა ესმის შვილის, შვილს არ ესმის მამის ენა,
ხურჯინივით დაუკიდავს კავკასიონს მამისონი[5].

1. ანი – ქართული ანბანის პირველი ასო (აქ – ის, რაც ამ ასოზე იწყება).
2. ბანი – ქართული ანბანის მეორე ასო (აქ – ის, რაც ამ ასოზე იწყება).
3. სანი – ქართული ანბანის მე-18 ასო (აქ – ის, რაც ამ ასოზე იწყება).
4. მასონი – რომელიმე საიდუმლო საზოგადოების წევრი.
5. მამისონი – უღელტეხილი (სიმაღლე – 2911 მ) კავკასიონის მთავარ ქედზე, დღეს სადავო ტერიტორიაა საქართველოსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ შორის.

12. 17. 10. 13.

ადრე იყო, ბავშვობაში – ჯერ ჟურნალი, მერე – კინო,
ახლა სახლში დაგვიდიან ფელინი[1] და მორიკონე[2],
სტადიონიც შინ გუგუნებს – უემბლი[3] და მარაკანა[4],
და ქვეყნებიც შინ გვივიან: მალტანი თუ მაროკონი[5].

1. ფედერიკო ფელინი (1920-1993) – დიდი იტალიელი კინორეჟისორი, იტალიური ნეორეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ოსკარის“ ხუთგზის ლაურეატი; კანის (1960), მოსკოვისა (1963, 1987) და ვენეციის (1985) კინოფესტივალების მთავარი და საპატიო პრიზების მფლობელი.
2. ენიო მორიკონე (დ. 1928) – გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი. დაწერილი აქვს მუსიკა 400- ზე მეტი კინოფილმისა და ტელესერიალისათვის; „ოსკარის“ ლაურეატი კინოში შეტანილი წვლილისათვის.
3. უემბლი – ლონდონის მთავარი სტადიონი. აშენდა 1923 წელს; მთლიანად განახლდა 2007 წელს.
4. მარაკანა – ბრაზილიის მთავარი საფეხბურთო სტადიონი. გაიხსნა 1950 წელს.
5. საინტერესოა ამ თანხმოვ(ა)ნების შედარება თანხმოვ(ა)ნებასთან 10.13.06.17.

12. 18. 17. 25.

ჰო ვთხოვე და არა მითხრა, ვენაცვალე მას არაში!
ჭიაურელს[1] დაეწაფა თურმე მარტა მესაროში[2].
შენ რეკვიემს[3] ვალსებში[4] ცვლი, მე გავცვალო მესა[5] რაში?!
შენ სოროსის[6] შუქში ცურავ, ბნელში ვზივარ მე სოროში.

1. მიხეილ ჭიაურელი (1894-1974) – დიდი ქართველი კინორეჟისორი; ავტორი ფილმებისა: „უკანასკნელი მასკარადი“ (1934), „არსენა“ (1937), „გიორგი სააკაძე“ (1943), „ფიცი“ (1946), „ბერლინის დაცემა“ (1949), „ოთარაანთ ქვრივი“ (1956); სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატი.
2. მარტა მესაროში (დ. 1931) – უნგრელი კინორეჟისორი, მიხეილ ჭიაურელის მოწაფე. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გოგი გვახარიას (დ.1957); ტელ.: 95-04-05.
3. რეკვიემი – სამგლოვიარო მესა (იხ.).
4. ვალსი – წყვილთა სამეჯლისო ცეკვა.

5. მესა – კათოლიკური ლიტურგია, (აქ) მრავალნაწილიანი საგუნდო-საორკესტრო მუსიკალური ნაწარმოები კათოლიკური ლიტურგიის ტექსტზე.
6. ჯორჯ სოროსი (დ. 1936) – უნგრული წარმოშობის ამერიკელი ფინანსისტი, ინვესტორი და ფილანტროპი. მისი ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ აქტიურად არის ჩართული საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



12. 27. 02. 25.

ჯერ ბუ მიცა კოდალაში, მერე ჩხიკვი მიცა ბუში,
შენ უბეში ჩხართვი გეჯდა, ჩხართვი მეჯდა მეც უბეში,
უწინ მამა ბუში[1] მეცა, მერე შვილი მეცა ბუში[2],
ჯერ „სუძუკი“[3] შევიყვარე, მერე კიდე – „მიცუბიში“[4].

1. მამა ბუში – ჯორჯ ბუში-უფროსი (დ. 1924) – აშშ 41-ე პრეზიდენტი (1989-1993).
2. შვილი ბუში – ჯორჯ ბუში-უმცროსი (დ. 1946) – აშშ 43-ე პრეზიდენტი (2001-2009).
3, 4. „სუძუკი“ და „მიცუბიში“ – იაპონური მსუბუქი ავტომობილები.

12. 31. 17. 25.

მე ვერ ვიტყვი მახარიშად[1], ვინც არ არის მახარიში[2],
თუნდა თავში ურო მირტყან, თუნდ ჩამაგდონ მე ხაროში,
თუ ელვაში არ გავცვალე, მაშ გავცვალო მეხი რაში,
მეხრე მწყემსში არ იცვლება და მეძროხე – მეხარეში.

1. მახარიში მახეშ იოგი (1917-2008) – ინდოელი გურუ[3], რომელიც ბიტლებსა[4] და პირველ რიგში ჯორჯ ჰარისონს მედიტაციას ასწავლიდა. მაგრამ ბიტლები მის აშრამში[5] ცხოვრებისას დარწმუნდნენ, რომ ის შარლატანი იყო და ესენი თავისი სექტის სარეკლამოდ სჭირდებოდა. ბიტლებთან ერთად აშრამში იყო ჰარისონის მეგობარი მია ფეროუ (დ. 1945), რომელსაც მახარიში მიაწვა, მან კი ზრდილობიანად, მაგრამ კატეგორიულად მოიშორა. ამან საბოლოოდ აუხილა ბიტლებს თვალი. მია ფეროუს დედა მორინ ო'სალივანი ჯეინის როლს ასრულდებდა ტარზანიან ფილმებში, მამა კი – ჯონ ფაროუ კინორეჟისორი იყო.
2. შდრ. კახაბერს, რომელიც არ არის კახაბერი.
3. გურუ (სანსკრ.) – სულიერი მოძღვარი.
4. იხ. მე-2 შენიშვნა ლექსისათვის 10.13.06.17.
5. აშრამი (სანსკრ.) – გურუთა, განდეგილთა და მათ მიმდევართა სადგომი ინდოეთში.

13. 10. 11. 07.

როცა ცერი დოზე გიდევს, უნდა დადო ნეკი ლაზე,
ხოლო ტრაკი უნდა დადო გამათბობელ „ნიკალაზე“[1],
არ დახოცოთ ერთმანეთი ერთი ვედრა ნაკელიზა...
ნიკორწმინდას[2] ესტუმრება დილით წმინდა ნიკოლოზი.[3]

1. „ნიკალა“ – თურქული ელექტროგამათბობელი. მას ბრალდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას (1963-2005) საიდუმლოებით მოცული სიკვდილი. ნიკალა (უწინწკლებოდ) სხვაა – ასე ეძახდნენ მოფერებით ნიკო ფიროსმანაშვილს (1862-1918), ანუ ასეთი იყო მისი ნიკი.
2. ნიკორწმინდა – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებული გუმბათოვანი ტაძარი. მდებარეობს რაჭაში, ამავე სახელწოდების სოფელში. აგებულია 1011-1014 წლებში. იხ. გალაკტიონ ტაბიძის (1891-1958) „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.
3. წმინდა ნიკოლოზი (დაახ. 257-დაახლ. 351) – მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი, სასწაულმოქმედი; ეთაყვანებიან როგორც მართლმადიდებლები, ისე კათოლიკენი; ევროპულ ფოლკლორში არის სანტა-კლაუსის პროტოტიპი.

17. 04. 18. 13.

ჯო დასენი რას მიქვია, რის დასენი, რა დასენი[1],
ატლანტიკურ ოქროს ვეშაპს კუდუსუნზე რად უსუნე,

როდის სესხი გამოგვიყვეს, როდის გრანტი[2], როდის ენა,
ორ ზღვას შუა ივერიას მათ დაარქვეს „რადისონი“[3].

1. ჯო დასენი (1938-1980) – ფრანგულენოვანი ამერიკელი მომღერალი. ევროატლანტიკური ერთიანობის და გლობალიზმის ერთგვარი სიმბოლო. გარდაიცვალა და დასაფლავებულია კუნძულ ტაიტიზე.
2. გრანტი – მიზანმიმართული ფინანსური დოტაცია. არსებობს სხვადასხვაგვარი გრანტი. კაპიტანი გრანტი სხვაა.
3. „რადისონი“ („რედისონი“) – სასტუმროების საერთაშორისო ქსელი და ფირმა. „რედისონად“ გადაკეთდა „ივერია“ – პირველი მრავალსართულიანი სასტუმრო თბილისში.

18. 10. 08. 17.

რაც დღესა გვჭირს, ლენინით[1] და ძერჟინსკით[2] და სუკით[3] არი,
შენ კი ამბობ, რომ მას აქეთ საქმე თითქოს უკეთ არი,
მაგრამ კუდი დაიკბინა მორიელმა საკუთარი,
შენ რას იზამ, ბოროტებად მოგიბრუნდეს სიკეთე რო?!

1. ვლადიმირ ლენინი (1870-1924) – ნამდვილი გვარია ულიანოვი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დიდი ბელადი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის შემოქმედი და ხელმძღვანელი.
2. ფელიქს ძერჟინსკი (1877-1926) – პროფესიონალი რევოლუციონერი, წარმოშობით პოლონელი, ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები და სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა მათ.
3. სუკი (აბრ.) – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომელიც საბჭოთა კავშირში შიშის ზარს სცემდა ყველას – დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც.

18. 11. 10. 13.

რა განგებამ მოაქუჩა ეს ამდენი სულიკონი[1],
მათი ბროლის ძუძუ-გული, ნამდვილი თუ სილიკონი[2],
მათი თმების აბრეშუმი, სანაწნავო, სალოკონო...
რა კალამი აღწერს ამათ, თუნდაც მესხდნენ სულ აკანი[3]!

1. სულიკო – (აქ) სასურველი ქალი. იხ. აკაკი წერეთლის (1840-1915) ლექსი „სულიკო“.
2. სილიკონი – ხელოვნური პოლიმერი; მისი წარმოება დაპატენტებულია 1958 წელს; გამოიყენება ქიმიურ და კვების მრეწველობაში. სილიკონი შედის ქალის სარძევე ჯირკვლების იმპლანტანტის შემადგენლობაში.
3. აკანი – იგულისხმება მწერალი აკა მორჩილაძე, იგივე გიორგი ახვლედიანი (დ. 1966) მრავლობით რიცხვში.

18. 11. 12. 13.

მე შენ ლოცვებს წაგიკითხავ, შენ იძახე სულ ამინი,
– კალიმერა[1]! – ესალმება პელოპონესს[2] სალამინი[3],
რომის ხალხს და რომის სენატს გამოუყო სულამ[4] ენა
სოლომონის კუნძულებზე[5] ფიქრობს ბრძენი სოლომონი[6].

1. კალიმერა (ბერძნ.) – დილა მშვიდობისა.
2. პელოპონესი – ბალკანეთის სამხრეთი ნახევარკუნძული, ისტორიულ აქაველთა სამშობლო, თანამედროვე საბერძნეთის ადმინისტრაციული ერთეული.
3. სალამინი – უდიდესი სარონიკოსის კუნძულთა ჯგუფიდან. ერთი მხრივ ათენს გაჰყურებს, მეორე მხრივ – პელოპონესის ნახევარკუნძულს.
4. სულა (ძვ.წ.ა. 138-78) – რომის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საკუთარი პარტიის დამაარსებელი და ლიდერი, მასობრივი პოლიტიკური ტერორის ორგანიზატორი, უვადო დიქტატორი.
5. სოლომონის კუნძულები – ქვეყანა და არქიპელაგი მელანეზიაში. აღმოაჩინა 1568 წ. ესპანელმა ალვარო მანდენია დე ნეირამ (1541-1595) და სოლომონის „ოქროს ქვეყანას“ მიამსგავსა.
6. სოლომონ ბრძენი – დავით მეფსალმუნის ძე, ერთიანი ისრაელის ბოლო მეფე (ძვ.წ. 965-928).

18. 11. 12. 17.

გეტყვი სალამს, ღვთისა არის, სიტყვა რაა, სალამი რა!
ჯერ სული და მერე ხორცი, ჯერ ხორცი და სული მერე,
ცხოვრება და სიყვარული – სელავი[1] და სელამური[2],
აჟღარუნე გიტარა და ააკვნესე სალამური.

1. S'est la vie (ფრ.) – ესაა ცხოვრება.
2. S'est l'amour (ფრ.) – ესაა სიყვარული.

18. 17. 21. 13.

ზაფხულს ეცვა საივლისოდ მოხატული სარაფანი[1],
მიატოვეს დეპრესია, რუხი დღე და სერი[2] ფონი,
დასხდნენ ისე, ვით ნახატი (ფიროსმანის „არიფანა"[3]),
მხოლოდ რითმამ გამახსენა ჯერმის[4] ფილმი „სერაფინო"[5].

1. სარაფანი – ქალის უსახელო საზაფხულო კაბა, თავდაპირველად გავრცელებული იყო რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში; მერე მთელ მსოფლიოში გავრცელდა.
2. სერი (ბარბ.) – რუხი, ნაცრისფერი.
3. „არიფანა" – ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო. საერთოდ, არიფანა ფსონით[6] ქეიფია.
4, 5. პიეტრო ჯერმი (1914-1974) – იტალიელი კინორეჟისორი, ნეორეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ავტორი საბჭოთა კავშირში პოპულარული ფილმებისა: „განქორწინება იტალიურად" (1961), „ცთუნებული და მიტოვებული" (1963), „ბატონები და ქალბატონები" (1964), „სერაფინო" (1968), „ალფრედო, ალფრედო" (1972).
6. ფსონი – (აქ) თითოეულის მიერ საერთო დანახარჯში შეტანილი თანაბარი წილი.

18. 17. 21. 19.

ხალიფატის[1] გამოფიტვას ვერ უშველის არაფატი[2],
ვერ უშველის სერაფიტას[3] არაფატის არიფი[4], ტო[5],
სორე[6] შენი მაყრიონი, სორე ქოში, სორე ფატა,
სორე ფოტო საქორწინო, მიპასუხე, სერაფიტო!

1. ხალიფატი – არაბთა დაპყრობების შედეგად შექმნილი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის სათავეშიც ხალიფა იდგა.
2. იასირ არაფატი (1929-2004) – პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი, პალესტინის არაბული ავტონომიის პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1993), XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური პოლიტიკოსი.
3. სერაფიტა (სერაფიტი) – II საუკუნის ულამაზესი ქართველი ქალი, ფარსმან მეფის პიტიახშის, ზევახის ასული, ფარსმან მეფის მეორე პიტიახშის აგრიპას ძის, იოდმანგანის მეუღლე. გარდაიცვალა 21 წლისა. 1940 წლის 25 ნოემბერს არმაზისხევში ნაპოვნია ქვა მისი ორენოვანი ეპიტაფიით.
4. არიფი – მეგობარი, ტოლი, მოზიარე, თანამზრახველი.
5. ტო (ჟარგ.) – ბიჭო. თბილისურ-სომხური მიმართვა.
6. სორე (მეგრ.) – სადაა.

18.18.18.18.

არ დანებდე, რაც არ უნდა წარგეკვეთოს სისი[1], სასო,
რაც არ უნდა მტერ-მოყვარე სისინებდეს: სი-სი-სი-სი...
რაც არ უნდა სხვაზე ფიქრში გაებრიქოს სოსოს[2] ასო,
რაც არ უნდა უსოსისოდ დარჩეს შენი სასოსისე.

1. სისი – ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის ფრანც-იოსებ პირველის (1830-1916) მეუღლის ელიზაბეთ ბავარიელის (1837–1898) და ავტორის ერთი საჩხერელი ნაცნობის (დ. 1957) თიკუნი.
2. სოსო – იოსების თიკუნი კი არა და, მოფერებითი ფორმაა; ზურაბ ჭუმბურიძის თანახმად, ახასიათებს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენცია.

25. 03. 13. 02.

ოი, როგორ დავიზაფრე, როგორ მეწვის შიგანები,
რად იკადრე, რომ იკადრე ჩემი რჯულის შეგინება,
ო, რამდენი, ო, რამდენი, ო, რამდენი შაგანები...
მე გარედან ვუმარჯვებდი, იმან კიდე შიგ ინება!

1. შაგანე – სამხრეთელი ქალი სერგეი ესენინის (1895-1925) ცნობილი ლექსიდან „Шаганэ ты моя, Шаганэ“; ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს არის ახალციხელი სომეხი ლამაზმანი, ლიტერატურის მასწავლებელი შაანდუხტ (შაგანე) ნერსესის ასული ტალიანი (1900-1976), რომელიც ესენინმა ბათუმში გაიცნო 1924 წლის ზამთარში..

25.17.15.13.

რად გეგონა შე შიშკინო[1], შე კუინჯო[2], შე რეპინო[3],
შენი შურით გასკდებოდნენ თერჯოლა და შორაპანი?!
მესიზმრება იმერეთი –კაკაბაძის[4] შორი პანო[5],
პოლონეთში მესიზმრება... შირე ნოგი![6] შირე, პანი![7]

1, 2, 3. ივან შიშკინი (1832-1898) და არხიპ კუინჯი (1842-1910) რუსი მხატვრები არიან, პეიზაჟისტები; ილია რეპინიც (1844-1830) რუსი მხატვარია, ოღონდ არა პეიზაჟისტი, – სიუჟეტისტი.

4. იგულისხმება ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე (1889-1952).

5. ლექსის სიუჟეტიდან გამომდინარე, ავტორს დავით კაკაბაძის ერთ-ერთი იმერული პეიზაჟი უნდა ესიზმრებოდეს, კერძოდ რომელი – ძნელი სათქმელია.

6. შირე ნოგი! (шире ноги!) – (რუს.) ფეხები განზე! (საომარი „ხელები მაღლა!“-ს მშვიდობიანი შესატყვისი.)

7. პანი – მიმართვის ფორმა პოლონელი ქალბატონისადმი.

26. 11. 26. 06.

„ჩალით არის დახურული ეს ქვეყანა“, – ჩალა ჩივა[1],
თუ ჩალიჩმა[2] გადაგღალა, დაგასვენებს ჩალიჩივე,
არ გეგონოს ვიოლინოს ფუტლიარში ჩელო ჩავა...
ნეტა ყველა ქვეყანაში გვყავდეს თითო ჩილაჩავა[3]!

1. ჩივა (გურ.) – ჩივის, ამბობს. ეტყობა, ჩალა გურულია და გურულ დიალექტზეც ამიტომ ჩივა.

2. ჩალიჩი, ჩალიში – თურქულად ცდას ნიშნავს, ჭანურად – საქმიანობას. ამავე დროს ჩალიჩი ქართლში ლახტის ერთგვარ თამაშსაც გვიქვია.

3. რაულ ჩილაჩავა (დ. 1949) – ქართველი პოეტი და უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწე. დიდხანს ცხოვრობდა კიევში. თარგმნის ქართულ ლიტერატურას უკრაინულად და უკრაინულ ლიტერატურას ქართულად. ლექსებს წერს უკრაინულ ენაზეც. არის ასამდე წიგნის ავტორი, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში.

26. 12. 04. 13.

ჩემი წიგნი, ჩემი ბურთი, ჩემი ქუდი, ჩემი დანა,
ჩემი რაგინდარათია[1] გავსებული ჩემოდანი,
სხვას არავის არ ექნება ჩემოდანი ჩემოდენა,
ეს ფიქრები ამ საღამოს რა ეშმაკმა ჩამოდენა?!

1. რაგინდარა (ქართ.) – ხარახურა (ბარბ.)

27. 03. 17. 13.

ცაგერელებს ლენტეხელი, ლენტეხელებს ცაგერელი
ემართლება, გორულ ატმებს თავზე ადგას ცა გორული,
ციგურები ფიგურული, ფიგურები ციგურული,
რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, ხანუმა და ცაგარელი...

1. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმა“ ქართველი დრამატურგის ავქსენტი ცაგარელის (1857-1902) ყველაზე ცნობილი პიესებია.

27.17.04.13.

ამ ლექსს თეთრი ძაფით ვლამბავ – რძე მოჩქეფავს ცურიდანა,
არ წავიდეს, დენი, ცარო! არ წავიდეს, ცარო დენი!
ვერ უშველის ამ სტრიქონებს დედო რითმა – ცეროდენა,
გამოწოვილს თითიდან და კონკრეტულად – ცერიდანა[1].

1. ეს ლექსი ამ 44-ლექსიან პუბლიკაციაში ერთადერთია, რომელსაც სქოლიო არ ახლავს!

31.08.03.17.

მე ჩავიწერ ჩემთვის ვისტებს, შენ ჩაწერე ხუთი – გორა![1]
ბალახია ბუჩქთა ბუში, ბუჩქი არის ხეთა გერი,
მხეცებს მისდგა ტყის მჭრელი და ბუჩქებსა და ხეთ – ეგერი,
ნადირობენ მინისტრები: ხაჩიძე[2] და ხეთაგური[3].

1. ვისტი და გორა – საპოკერო ტერმინებია; პირველი მომგებიან ქულებს აღნიშნავს, მეორე – წამგებიანს. იხ. აგრეთვე მე-4 შენიშვნა ლექსისათვის 10.17.18.11.

2, 3. გიორგი (გოგა) ხაჩიძე (დ. 1974 წ.) საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრია 2008 წლიდან, ალექსანდრე (ალეკო) ხეთაგური (დ. 1976 წ.) კი 2007 წლიდან ენერგეტიკის მინისტრი გახლავთ.

31. 17. 10. 17.

მაღლა ასწი, ხურო, ჭერი[1]! გაადიდე, ხურო, კარი!
მიშიმა[2] ხარ, იუკიო, კუროსავა[3] ხარ აკირა,
რომელიმე მურაკამი[4] (რიუ რაა, ხარუკი რა!)
მონოსპექტაკლს ჩაგიტარებს, რომელს ჰქვია ხარაკირი!

1. მაღლა ასწი, ხურო, ჭერი! – რემინისცენცია ცნობილი ამერიკელი მწერლის (დ. 1919) ჯეროომ სელინჯერის მოთხრობისა „მაღლა ასწიეთ, ჭერი, დურგლებო!“, რომელიც ძენ-ბუდიზმის[5] სულისკვეთებით არის გაჯერებული.

2. იუკიო მიშიმა (1925-1970) – ყველაზე პოპულარული იაპონელი მწერალი, რეჟისორი, კინოსა და თეატრის მსახიობი. მონარქისტული და სამურაული იდეებით შეპყრობილი, სახელმწიფო გადატრიალებას ჩაუდგა სათავეში, დამარცხდა და სიცოცხლე ხარაკირით დაასრულა.

3. აკირა კუროსავა (1910-1998) – სახელგანთქმული იაპონელი კინორეჟისორი, ოსკაროსანი, „შვიდი სამურაის“ და „რაშიომონის“ (და არა „რასიომონის“, როგორც აქამდე გვეგონა) ავტორი.

4. მურაკამი – ამ გვარს ორი იაპონელი მწერალი ატარებს: ხარუკი მურაკამიმ (დ. 1949 წ.), პირველმა იაპონურ ლიტერატურაში იაპონიას დასავლეთის თვალით შეხედა; რომანებში მას ასახული აქვს თანამედროვე იაპონია, თავისი ალტერნატიული სუბკულტურით. თანაც რეჟისორი რიუ მურაკამი (დ. 1952 წ.) თავის რომანებსა და ფილმებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეჯახებაზე მოგვითხრობს, რაც მასთან მუდამ ცუდად მთავრდება; ახალგაზრდებში ის ძალიან პოპულარულია, ძველი თაობა კი ვერ იტანს. არცერთ მურაკამის ჯერ ხარაკირი არ გაუკეთებია.

5. ძენ-ბუდიზმი – ბუდიზმის ერთ-ერთი სკოლა იაპონიასა და ჩინეთში.

33. 12. 17. 02.

მოსდებიან აღმოსავლეთს ჯიპები[1] და ჰამერები[2],
ჰა, ბენზინი! ჰა, დიზელი! ჰა, ჩურჩხელა! ჰა, მურაბა!
როცა წერდა, ჩვენთვის წერდა იმ კანონებს ჰამურაბი[3],
ჰამ[4] – შუმერი, ჰამ – სპარსი და ჰამ – ინდო და ჰამ – არაბი!

1, 2. ჯიპები და ჰამერები – მაღალი გამავლობის ამერიკული ავტომანქანები.
3. ჰამურაბი (ძვ.წ.ა. 1796-1750) – ბაბილონის მეფე. მის მიერ შექმნილი კანონები საუკუნეთა მანძილზე ეტალონად ითვლებოდა და შემდგომ მთელი აღმოსავლეთის კანონმდებლობათა საფუძვლად იქცა. ჰამურაბის კანონებმა ჩვენამდე ქვის სტელების სახით მოაღწია.
4. ჰამ (ჰამაც) – იოსებ გრიშაშვილის (1889-1959) „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით – კიდეც.

33. 12. 17. 18.

რუსი ჩექმას არ მოიცვლის, სახრემც ურტყა – „ჰამო, რუსო!“
კარგად ვიცით, დამწერია რემარკი[1] რის, ჰემი[2] – რისა,
ამ მშვიდობის ომობანას ვერ გასწვდება ჰომეროსი[3],
შენც ვერაფერს ვერ გაუგებ, თუ არ გრძნობა ჰუმორისა[4].

1. ერიხ მარია რემარკი (1898-1970) – გერმანელი მწერალი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, რკინის ჯვრის კავალერი. მისი რომანების ძირითადი თემა ომის ამბები იყო.
2. ჰემი – ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961) – ამერიკელი მწერალი; მონაწილეობდა ესპანეთის სამოქალაქო ომში და ამ ომის ამბები აღწერა რომანში „ვის უხმობს ზარი“ (1940). იყო პულიცერის (1953) და ნობელის (1954) პრემიების ლაურეატი.
3. ჰომეროსი (დაახლ. ძვ.წ.ა. VIII ს.) – ლეგენდარული ბერძენი პოეტი, რომელსაც მიეწერება ტროას (ილიონის) ომის შესახებ შექმნილი პოემის „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორობა.
4. ჰუმორი (მაღალი შტილი) – იუმორი.

მწერლის არქივიდან

ოთარ ჭილაძე

ჩანაწერები



ოთარ ჭილაძის ჩანაწერები პირველად ქვეყნდება სალიტერატურო პრესის ფურცლებზე. ეს უამრავ სამუშაო რვეულში გაბნეული ზღვა მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია.

სანამ „ინტელექტში“ მზადდება ოთარ ჭილაძის ჩანაწერების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოცემა, გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წიგნიდან. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს დიდი მწერლის ნააზრევი, რომელიც თავიდან პრესისთვის არ იყო განკუთვნილი.

1968 წელი

* * *

მთვარესაც მოვბეზრდით — ყოველ ღამე აღარ ამოდის.

* * *

თუმანიშვილი ჟან ანუის „ანტიგონეს“ დგამს. აღტაცებულია თარგმანით, თითქოს პიესა ქართულადაა დაწერილიო, მსახიობებმა ცოტა სული მოითქვესო. ძალიან სასიამოვნოა. მხოლოდ ისაა სამწუხარო, რომ თარგმნილ პიესაში ცოტა ფულს იძლევიან.

* * *

ჯობს სულ არ გააჩინო ბავშვი, ვიდრე ცუდად გაზარდო, არც ერთი ცხოველი არ არის უზრდელ ადამიანზე საზიზღარი.

* * *

ნეტავ, როგორ იწერება პოემა? ეს ჩემთვის ახლა ისეთივე საოცრებაა, როგორც მოლაპარაკე ძაღლი ანდა მფრინავი ძროხა.

* * *

მწერალი ისე ცხოვრობს თავის ენაში, როგორც თევზი — მდინარეში. ამიტომ, მისი მოსპობა თუ გინდათ, მდინარეში დინამიტი უნდა ჩაუგდოთ, თანაც რამდენიმე.

* * *

დღეს დავამთავრე პოემა (პირველი ვარიანტი). ხვალ ჩამოდის ჩემი დიდი კრიტიკოსი: თამაზი! ვნახოთ, რას იტყვის.

* * *

რაც ოლიმპოდან არ ჩანს, ის შეიძლება პარნასიდან დაინახო.

* * *

ყველა შენიშვნა, რაც თამაზმა მომცა, სწორეა. გულწრფელად რომ ვთქვა, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ სხვისგან ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა აქვს.
მუშაობა გრძელდება!

* * *

მტკვარი ადიდდა. წყალი მოაჯირს ურტყამდა და ნაპირებზე გადმოდიოდა. კარგი იქნებოდა, საერთოდ ასეთი იყოს მტკვარი. სულმთლად შეცვლიდა

მურმან ჩაჩუას ფოტო

ქალაქის ხასიათს. რიტმსაც. მე რომ მტკვარს გადავხედე, თავბრუ დამესხა, ისე სწრაფად მიქროდა: სავსე, ღონიერი, თამამი.

* * *

ქურდობა, დაბეზღება, თაღლითობა, მექრთამეობა ჩვენს ეროვნულ თვისებებად იქცევა მალე. ყველა მეორე კაცი დამნაშავეა. დამნაშავე კი ფსიქოლოგიურად შეგუებულია მოსალოდნელ სასჯელს. სასჯელი კი დიდი ხანია მოფიქრებულია, უფრო ადრე, ვიდრე ქართველი ქურდობას, თაღლითობას, დაბეზღებას და მექრთამეობას მიეჩვეოდა.

* * *

ყველა დიდი მწერალი უმრავლეს შემთხვევაში ადრე კვდება. ალბათ იმიტომ, რომ თავისი სიკვდილით შესაძლებლობა მისცეს საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობების თანამოკალმეებს უფრო უსირცხვილოდ მოითბონ ხელი ამქვეყნიურ სიამოვნებათა ცეცხლზე.

ამიტომაც ვერ იტანენ ცოცხალ დიდ მწერლებს.

* * *

შამილი – ამბოხებული ღრუბელი.

* * *

პარიზიდან დასთან სტუმრად ჩამოვიდა ქართველი ემიგრანტი. 30-32 წლის იქნება, ქართულად ცუდად ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან მონდომებულია. ხუმრობით ვკითხე, პარიზის მერე როგორ მოგწონთ თბილისი-მეთქი და, ეს სულ სხვაა, სწორედ ასეთი მინდოდაო. რამდენი სევდა და სიამაყეა ამ სიტყვებში. ქართულ წიგნებს აგროვებს, უნდა ვთარგმნოო. აქამდე რას აკეთებდა ჩვენი ემიგრაცია. ეტყობა, ქართველი ყველგან ქართველია, საცოდაობაა სამშობლოს მოწყვეტილი, სხვა ქვეყნის ქურაში მოხარშული კაცი, მით უფრო თუ სამშობლოს ხსოვნა და სიყვარული მთლიანად არ გაქრობია, „დედაენა“ მაინც გამოსცენ, ერთი სკოლა მაინც გახსნან, თურქეთის საქართველოს მაინც მოხედონ! უბრალოდ, შეიძლება, გულზე გასკდეს კაცი. სევდა და წუწუნი საქმეს არ შეცვლის. ძალას მხოლოდ ძალა უნდა დაუპირისპირო.

* * *

არის შემთხვევები, როცა პოეტი საკუთარ წიგნზე გვიან დაბადებულა, მაგრამ პირველ წიგნში, თუნდაც ჩანასახის სახით მაინც, აუცილებლად უნდა იგრძნობოდეს ახალი სამყარო და ის წერტილი, საიდანაც უკეთესად გამოჩნდება ეს ახალი სამყარო, თუკი გამოჩნდება საერთოდ.

* * *

თარგმნილი წიგნი იმ ხალხის ლიტერატურას ეკუთვნის, რომლის ენაზედაცაა გადმოთარგმნილი, ამიტომ მთარგმნელის მიმართ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე შეღავათის გაწევა ენის, მხატვრულობისა თუ ოსტატობის საკითხში.

გურამ თიკანაძის ფოტო

* * *

ავტორების ასეთი სიმრავლე არასოდეს არ ყოფილა. ავტორებისა და არა მწერლებისა. დღეს გამოცემული წიგნების უდიდესი ნაწილი უფრო შორსა დგას ნამდვილი ლიტერატურიდან, ვიდრე თანამედროვე ადამიანი მთვარისგან. ყველა წიგნი (განსაკუთრებით ყალბი წიგნი) ქართული ლიტერატურის შენაძენად ითვლება ჩვენი უპრინციპო რეცენზენტების ენით. ეს, რა თქმა უნდა, აბნევს მკითხველს. დაბნეულობა გულგრილობის საფუძველია. გულგრილობა იწვევს (ხელს უწყობს) საერთოდ ლიტერატურისადმი აგდებული, ცინიკური დამოკიდულების განვითარებას, ეს კი ერის სულიერი და გონებრივი ცხოვრებისთვის მომაკვდინებელია. აქედან იწყება ადამიანის დაბრუნება გამოქვაბულის წყვდიადში, ინსტინქტების სამეფოში.

* * *

მე რომ ნება მომცენ, ასე წავაწერდი სამასი არაგველის ძეგლს: ომი წაგებული იყო, მაგრამ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ.

1969 წელი

* * *

თუ არ შეგვიძლია იმის გაკეთება, რაც გვინდა, გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია.

* * *

მე ახლა მხოლოდ იმედს ვებღაუჭები, როგორც ცუდი მოცურავე საკუთარი ამონასუნთქით გაბერილ რეზინის ბალიშს.

* * *

პოეტი ისევე უსწრებს ბრბოს, როგორც თვითმფრინავი საკუთარ ხმას.

* * *

დოქტორი — გარე სამყაროსგან საიმედოდ იზოლირებული თუთიყუშის მსგავსი ადამიანი (ქალი ან კაცი), რომელსაც შეუძლია აუღელვებლად გაიმეოროს ნებისმიერი ტექსტის აზრობრივი თუ ენობრივი შეცდომები.

სპინოზა — მიმოზის მსგავსი ყვავილი. წიგნში დებენ ხოლმე.

საინგილო — იგივეა, რა სასაჩუქრო.

ტელეფონი — გონების გამოსათიში აპარატი.

ტაძარი — დარბაზი ავტოგრაფებისთვის.

რაიკომის მდივანი — გააზნაურებული მდაბიო.

კომპოზიტორი — ხალხური მუსიკის ჩამწერი.

მორიაკი — გამოჩენილი ფრანგი მეზღვაური.

მსახიობი — კეთილსინდისიერი შუამავალი ავტორსა და მაყურებელს შორის, თავისთვის არაფერს არ იტოვებს.

ჰონორარი — ცხოვრებასთან დაახლოვების საშუალება.

მწერალი — ვინც არაფერს არ კითხულობს და ყველაფერს წერს, აუცილებელი არ არის იყოს ლოთი ან კრეტინი.

ტელევიზორი — ქონდრის კაცების მხიარული ქვეყანა.

* * *

ცა მიწიდან იწყება.

* * *

საქართველო იმ გემს გავს, საჭე რომ გაფუჭებია, ანძები რომ გადამტვრევია, კურსი რომ დაკარგვია, ეკიპაჟს რომ მიუტოვებია, მაგრამ ტრიუმი საჭმელ-სასმელის დიდი მარაგით აქვს ამოვსებული.

* * *

„დაყავი და იბატონე“ – დღესაც ძალაშია ეს მართლაც გენიალური ფორმულა ყველა დამპყრობელისთვის.

* * *

(**მაკედონიაში**)

მივდივართ კრუშევოში. 1300 მეტრი ზღვის დონიდან. მე, რა თქმა უნდა, არ მიკვირს კრუშევო: წითელი კრამიტი, სახედარი, საყდარი... სიღნაღის მაკედონიური ვარიანტი. საღამოს მთავარი ქუჩა სავსეა მოსეირნე ახალგაზრდობით... ტიპიური პროვინციული ქალაქი. ხვალ დივნას ვნახავ. კრუშევოში ცუდად მეძინა, თუმცა ქურქივით საბნები გვეხურა. მთელი ღამე მესიზმრებოდა, ვითომ გული მტკიოდა (შეიძლება მართლა მტკიოდა?) მერე მე და მამა ზემოხეთში ვიყავით ვითომ, მერე ზარების ხმა ჩამესმა და გამოვფხიზლდი. ზარებს მართლა რეკავდნენ. მერე სახედარი აყროყინდა. წუხელ გვიანობამდე მღეროდნენ მთვრალი მაკედონელები, თან მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდნენ. გაუთავებელი და ერთფეროვანი სევდა პატარა ხალხებისა.

* * *

(**ინტერვიუ სკოპიეს რადიოსთვის**)

პოეტის გზა ოდისევსის გზასა ჰგავს თავისი ხიფათებით და მოულოდნელობით. ეს გზა პოეტისგან, რა თქმა უნდა, უდიდეს ენერგიასა და თავგანწირვას მოითხოვს, მაგრამ შემოქმედებით მოპოვებული სიამოვნება და სიამაყე იმდენად დიდია და საპატიო, ღირს ამ გზაზე ხეტიალი, მაგრამ პოეტს – ოდისევსს თავისი პენელოპეც ჭირდება, რომელიც მზადაა უსასრულოდ უცადოს მას და დააფასოს პოეტის აუწონავი შრომა და სამსახური. პოეტი კი ადამიანის მსახურია; ის ადამიანის სულის გასუფთავებას და განათებას ემსახურება. დღევანდელ მსოფლიოს განსაკუთრებით ჭირდება თბილი და აზრიანი სიტყვა პოეტისა, რათა უფრო მშვიდად და გონივრულად განსჭვრიტოს მომავალი. ქართული თანამედროვე პოეზიის მიზანიც ესაა. მე შემეძლო უფრო კონკრეტულად და ვრცლად მელაპარაკა ჩემს ქართველ კოლეგებზე, რადგან ისინი იძლევიან ამის საშუალებას, მაგრამ ამჟამად ასეთი ზოგადი გაცნობაც კარგია. საერთოდ პოეტებს ხალხების გაცნობასა და დაახლოებაში დიდი წვლილი მიუძღვით. ჭეშმარიტ პოეზიას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია. მე ძალიან კარგ საქმედ მიმაჩნია ჩვენი შეხვედრა მაკედონიის ამ უძველეს მიწაზე. საერთოდ პოეტური საღამოები მნიშ-

ვნელოვანი მოვლენაა და ეს იქიდანაც ჩანს, უკვე ტრადიციულად რომ იქცა. მე, პირადად, ყოველთვის საუკეთესო მოგონებად დამრჩება აქ გატარებული დღეები. დე, საერთოდ საღამოები მომავალშიც ასე საინტერესო ყოფილიყოს და ყოველთვის შეეტანოს თავისი წვლილი მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის (ჰუმანიზმის) საქმეში.

* * *

ყველაფერი შეიძლება მოხდეს: მონღოლი და ქართველი მისეირნობს სკოპიეს ქუჩებში. ისინი იაფფასიან რესტორანს ეძებენ, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოუსხდებიან მაგიდას, მიუჯახუნებენ ლუდით სავსე კათხებს და ერთმანეთს მეგობრულად გაუღიმებენ, რადგან ამ წუთას ერთმანეთზე ახლობელი არავინ გააჩნიათ.

* * *

ქუჩაში მაღალფეხიან მაყალზე სიმინდს წვავენ. რკინის ჯოხს, რომლითაც დაბრაწულ ტაროებს აბრუნებენ, თან მაყალზე აბრახუნებენ, ხმაურზე უნებურად იხედები...

* * *

რუს პოეტებს ცოტა თავში აუვარდათ! რუსობა იმდენად უწყობს ხელს მათ პოპულარიზაციას, თავი მართლა გენიოსები ჰგონიათ. ევროპაც კარგი ქერქეტაა. სამწუხაროდ, უკვე ბევრჯერ დავრწმუნდი ამაში. რაც რუსულია, ყველაფერი უცნაურია, საინტერესოა, დიდებულია. ჯერ საკუთარ თავზე არ გამოუცდიათ და იმიტომ. ისე, იცოცხლე, კარგია დათოვლილი სტეპიც, მარხილიც, არაყიც, დათვის ქურქიც... რა უნდა მეტი მდიდარ, მაგრამ სულელ ტურისტს? არაფერი. უხეშობა და სიმდიდრე იზიდავს ადამიანს.

* * *

(**ინტერვიუ მოსკოვის რადიოსთვის**)

1. საერთო შთაბეჭდილება იუგოსლავიაზე

შთაბეჭდილება ძალიან დიდია, თუმცა ჯერ კიდევ არ დალაგებულა და ქაოტურად ირევა ჩემს მახსოვრობაში. შესანიშნავი ბუნების სურათები, კიდევ უფრო შესანიშნავი ხალხი, გულთბილი შეხვედრები და, რა თქმა უნდა, თვითონ სტრუგეს საღამოები. რაც მართალია მართალია, ეს საღამოები ძალიან კარგადაა ორგანიზებული. ხოლო ამ საღამოების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, ისინი უკვე ტრადიციულად რომ იქცნენ: აქ, მაკედონიის პატარა ქალაქში ერთმანეთს ხვდებიან და ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის პოეტები. ჭეშმარიტი პოეზია მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სასიკეთოდ და როცა ამდენი პოეტი იკრიბება, ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი სასიკეთო საქმე კეთდება. საერთოდ პოეტებს ხალხების ურთიერთგაცნობისა და დაახლოების საქმეში ყოველთვის დიდი წვლილი მიუძღვით. ამდენადაც ჩვენი შეხვედრა მაკედონიის ამ უძველეს მიწაზე კიდევ უფრო გამართლებულია და პირადად ჩემთვის ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება აქ გატარებული დღეები.

2. როგორ შეხვდნენ ჩემს პოეზიას?

ჩემთვის მეტად საპატიოა, რომ მონაწილეობა მივიღე ამ პოეტურ საღამოებში. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ლექსებმა, ამის თქმა ჩემთვის ძნელია. სხვათაშორის, მეც ძალიან მაინტერესებს ამის გაგება.

3. რას ვფიქრობ იუგოსლავიურ პოეზიაზე?

ისე კარგად არ ვიცნობ იუგოსლავიურ პოეზიას, ამ საკითხზე ჩემი აზრი გამოვთქვა, მაინც შემიძლია ჩამოვთვალო ზოგიერთი სახელი, რომლის შემოქმედებასაც შედარებით უკეთესად ვიცნობ: დესონკა მაქსიმოვიჩი, მირა ადეჩკოვიჩი, ოსკარ დავიჩო, განე ტოდორიესკი, აცო შოპოვი, სლავკო იანევსკი. ბევრ მათგანს სტრუგეში შევხვდი. წინასწარ ამის განცხადება ჩემთვის ძნელია, მაგრამ მაქვს სურვილი, ვთარგმნო ზოგიერთი ნიმუში თანამედროვე იუგოსლავიური პოეზიიდან.

4. რა შემიძლია ვთქვა ანგაჟირებულ პოეზიაზე

როგორც მოგეხსენებათ, ეს საკითხი დღის წესრიგში იდგა. სტრუგეს საღამოებზე გაიმართა კამათი, რომელშიაც სხვებთან ერთად ჩვენმა დელეგაციამაც მიიღო მონაწილება. მე პირადად არ გამომითქვამს ჩემი აზრი, მაგრამ ვეთანხმები იმ პოეტებს, რომლებიც თვლიან, რომ პოეზია ყოველთვის იდგა და უნდა იდგეს ადამიანის სამსახურში. პოეტობაც პროფესიაა, ხოლო პროფესია თუ რამეს არ ემსახურება – არ არსებობს. გააჩნია, რას ემსახურება პოეზია. ჩემი აზრით, პოეზია ადამიანის სულის გაწმენდასა და განათებას ემსახურება და თუ პოეტი გქვია, გინდა თუ არა, შენც ამ საქმეს ემსახურები. ეს კი ერთადერთი ყველაზე კეთილშობილი სამსახურია და მე არ მეგულება ჭეშმარიტი პოეტი, მოყოლებული უძველესი ხანიდან დღემდე, რომელსაც ამ სამსახურზე უარი ეთქვას. საერთოდ საკითხის ასე დაყენება სწორად არ მიმაჩნია. ეს იგივეა, რომ დავსვათ ასეთი კითხვა: უნდა ათბობდეს თუ არა მზე?

5. ჩემი მომავლის გეგმები

მომავალში ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ სურვილი და ოცნებაა.

უფრო კონკრეტულად: ვმუშაობ ლექსების ახალ წიგნზე, პარალელურად ვწერ პიესას ისტორიულ თემაზე. ძალიან მაინტერესებს თარგმანი, სათარგმნელი კი ბევრია.

6. რა ახასიათებს თანამედროვე ქართულ პოეზიას

შენს თანამედროვე პოეზიაზე ლაპარაკი ძნელია. რამის შესაფასებლად საჭიროა დისტანცია. მაინც თამამად აღვნიშნავ: დღევანდელი ქართული პოეზია თავისუფლად შეიძლება ამოვუყენოთ თანამედროვე მსოფლიოს ჭეშმარიტი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედების ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად სიახლისკენ ლტოლვა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით დაინტერესება მიმაჩნია.



* * *

ყველა პოეტი ადამიანია. ადამიანი დროსა და სივრცეს ემორჩილება. ხოლო პოეზია მარადიული ამბოხია ამ თანდაყოლილი მორჩილების წინააღმდეგ. იგი თავის არსებაში ადამიანების უკვდავებას გულისხმობს და მისი გზა სულის სისხლითაა გასპეტაკებული. ამ გზაზე დამდგარი – მსხვერპლია. იგი ყველას მაგივრად მიდის იდუმალებით მოცულ სამყაროში. რასაც ის ტანჯვითა და ტკივილით მოიპოვებს, ჩვენ გვეკუთვნის – უბრალო მოკვდავებს.

* * *

ღამე გრძელი, როგორც ცარიელი მატარებელი.

* * *

მოლოდინი: ცარიელი მატარებელი სათადარიგო ლიანდაგზე!

1971 ᲬᲔᲚᲘ

* * *

ხალხის სიდიდე იმ ფართობით არ იზომება, რომელსაც იკავებს.

* * *

საფლავიც კვდება, თუ დაივიწყებ და აღარ მოუვლი.

* * *

წვიმა კართან შეეგება, როგორც ფინიშთან მირბენილ სპორტსმენს ტაში.

1972 ᲬᲔᲚᲘ

* * *

საქალაქთაშორისო ტელეფონი საუკეთესო საშუალებაა ადამიანის დასაბეჩავებლად, გასატუტუცებლად, მოსაკლავადაც კი. სამი დღე და ღამე ველოდი შეკვეთას. სამი დღე და ღამე ისე ვადექი თავზე ტელეფონს, როგორც მშიერი ნადირი მოწამლულ საჭმელს. მორიგე ან დაკავებული იყო ან პრინციპულად არ იღებდა ყურმილს. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც კი აიღებს, დედას შევაგინებ, დავწყევლი, მივაფურთხებ, მივახრჩობ, მივსრისავ-მეთქი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩემს განუწყვეტელ ზარს რომ გამოეპასუხა, მუხლებზე დავვარდი, ხმა ამითრთოლდა, ცრემლი ხმაურით ჩავყლაპე და შევევედრე, და-ძმობას, დედა-შვილობას, მიშველე, ვიღუპები, აღარ შემიძლია-მეთქი. არაფერი არ ისმის, ხელმეორედ დარეკეთო – მიპასუხა მორიგემ და ყურმილი დამიკიდა.

1973 წელი

* * *

რაც უფრო ახალგაზრდაა კაცი, მით უფრო გვიან ბრუნდება შინ.

* * *

ზაზა!

მე სიკვდილის უფრო მრცხვენია, ვიდრე მეშინია.

* * *

ქართველი მასპინძელი – რატომ ამბობთ უარს ყანწზე, ღვინო არ გიყვართ?

ფრანგი სტუმარი – პირიქით, ძალიან რომ მიყვარს, იმიტომ ვამბობ უარს.

1975 წელი

* * *

რაც უფრო უბედურია შემოქმედი პირად ცხოვრებაში, მით უფრო დიდი ბედნიერება მოაქვს ხალხისთვის.

* * *

როცა გაიგებ, როგორ ჩნდებიან ბავშვები, თავს დაკაცებულად ნუ ჩათვლი მაინც, სანამ იმასაც არ გაიგებ, როგორ არ ჩნდებიან ისინი.

* * *

მათ (ქალაქში ჩამოსულ პროვინციელებს) აღიზიანებთ ის, რასაც ელტვიან.

* * *

რომანებიდან გაქრა გრძელი კაბის შრიალი და შიშველი მხრების ბრწყინვალება.

* * *

თვალშისაცემად და არასასიამოვნოდ ლამაზი იყო, თითქოს სახის პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული.

1976 წელი

* * *

სიკვდილი არა მარტო საზარელია, არამედ ძნელიცაა.

* * *

ოდნავ, სასიამოვნოთ ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, როგორც ფრანგ მომღერალს.



* * *

– რა საქმე გაქვს ამ ქალთან?
– არაფერი, უბრალოდ მთვრალი ვიყავი და მოვთხოვე.
– კი მაგრამ, როდის მიაბარე, რომ თხოვ?

1977 წელი

* * *

ადამიანი ვნებებს ან იმორჩილებს ან თვითონ ემორჩილება. ორივე შემთხვევაში მისი საქციელი ადამიანურია. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ვნებებს აყოლილი ადამიანის სულში შემოქმედების ჟინით აღგზნებული ღმერთი დააბოტებს, როცა ვნებათა დამთრგუნველი ადამიანი თიხის ყულაბას გავს.

* * *

გუშინ ორი ახალგაზრდა ბიჭი იყო ჩემთან. ჩემი წიგნი უნდოდათ. სანაცვლოდ ერთმა გალაკტიონის სურათი მომართვა, მეორემ კი ფოლკნერისა. იმ სურათზე ფოლკნერი რაღაცით ქართველ გლეხსა გავს, რაღაცნაირად ქართულად სევდიანია, არა სიღარიბის (დაკონკილი ტანსაცმელი აცვია), არამედ ბედის უკუღმართობის გამო.

* * *

მთავარია, გამოვარჩიოთ პოეტი ლექსის წერის მანიით შეპყრობილი ხალხიდან, რომელთა არსებობა, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი პოეზიის წინააღმდეგაა მიმართული, რადგან, რაც არ უნდა უცნაურად და დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, ისინი თავიანთი ბუნებით მტრები არიან იმისა, რისკენაც მიილტვიან, მათი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოიპოვონ პოეტის სახელი და ამიტომაც, თანდაყოლილი ალღოს წყალობით, რასაც მხარში უდგას ასევე თანდაყოლილი ბრძოლისუნარიანობა, ცდილობენ დაამდაბლონ ის, რასაც ვერ შეწვდებიან, რაც ბუნებისგან ეძლევა კაცს და არა ცხოვრებისგან. ცხოვრება ბუნებაზე ლმობიერია, გულგრილია ჭეშმარიტების მიმართ, რადგან თავადაც წარმავალია და მაინცდამაინც არ აღელვებს, ვინ ამოტივტივდება მის ზედაპირზე და ვინ ჩაიმარხება მისი ფსკერის შლამში. ის (ცხოვრება) ბუნებას უპირისპირდება, რადგან აღიზიანებს მისი მარადიულობა, სიმშვიდე, სამართლიანობა...

1994 წელი

* * *

ბერლინი. დალის გამოფენაზე

რასაკვირველია, გიჟი არ არის, მაგრამ ფანტაზია გიჟური აქვს, გნებავთ, შეგნებულად „გაგიჟებული“. აშკარად დიდი შემოქმედია. ალბათ ყველაზე უკეთ გამოხატავს საუკუნის ყველა მანკიერებას. გალას შიშველი ზურგი მაინც სინამდვილეში აბრუნებს, უნდა თუ არა. მისდაუნებურად, იმდენად აღელვებს, შეგნებულად გაგიჟებული, უნებურად „ჭკვიანდება“...

გამოფენას „დალის ხმა“ უდევს ფონად, რაც მეტად შთამბეჭდავია. საერთოდ, დიდი არტისტი გახლავთ. მხატვარი მხატვრად, მაგრამ არც ის უნდა დავუკარგოთ, ყველაზე უკეთ რომ აუღო ალღო დროს, საზოგადოებას, ადამიანს. ნიჭიერება პლუს შრომისუნარიანობა, პლუს სკანდალური ცხოვრება, უდრის გენიალურობას.

გაურკვეველი დიდებისკენ მიმავალი ეს გზა დალიმ არა მარტო სხვებზე ადრე აღმოაჩინა, არამედ სხვებზე უკეთ გაიარა და უნდა ვაღიაროთ, ჯერ-ჯერობით ისევ მიუღწეველ მაგალითად, ნიმუშად რჩება მიმბაძველთა მარად მზარდი ლეგიონისთვის.

მეოცე საუკუნეში ერთნაირად საცოდავია ხელოვანი, თუკი მხოლოდ ნიჭიერებით, ანდა მხოლოდ სკანდალური სიტუაციების შექმნის უნარითაა დაჯილდოვებული. უერთმანეთოდ არცერთს არა აქვს ფასი. უხმაურო ნიჭიერება გვაეჭვებს, უნიჭო ხმაური კი გვაღიზიანებს.

* * *

ყველაზე უნდო და მხდალი კაციც კი კვდება ბოლოს და მე რა ღმერთი გამიწყრება ვითომ!

* * *

ერთ რამეს ვინატრებდი მხოლოდ – ოდესღაც, საუკუნეთა მიღმა, ისევ ამ მიწაზე და ამ ცის ქვეშ, ვიღაცამ, სულერთია ვინ, ოღონდ ჩემი ვინაობისა და ხელობის მცოდნემ (შეიძლება დამფასებელმაც), ჩემს საფლავს ჩასძახოს: იძინე მშვიდად, ჯერ ისევ ვარსებობთ, ისევ ვიბრძვით, ისევ ხალხი გვქვიაო!

სხვათაშორის, ჩვენ თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის. საკმარისია დავმშვიდდეთ, დავდუმდეთ, ისე გავითქვიფებით დროჟამის დინებაში, ვერც კი შევამჩნევთ.

* * *

წიგნის თაროები აქა-იქ შემაწუხებლად გამოცარიელდა. ვეღარ ვიხსენებ, სად რა მეწყო – იყიდება წიგნები, მაგრამ მაინც დიდი იმედია, მყიდველი რომ არსებობს.

* * *

გუშინ ჩამოვფრინდი პარიზში. დღეს „ლიბერასიონში“ წერილია – ჩემს შესახებ. ორი ფოტოა, ერთი გაზეთის პირველ გვერდზე...

* * *

ორი კვირა მიიწურა პარიზში და ვერაფერი ჩავიწერე – თუმცა შთაბეჭდილებები ბევრია. მათ შორის უაღრესად სასიამოვნოც – მარტო წიგნის მაღაზიაში გამართული საღამო რად ღირდა. ამილახვრები, დადიანები მადლობას მიხდიდნენ მათი ღირსების „გადარჩენისთვის“. ვიცი, რასაც იმსახურებენ ჩემგან, მაგრამ მაინც დავზოგე, შემეცოდნენ. სხვათაშორის, ჩვენი ემიგრაციის გარუსებული ნაწილი გაცილებით არასასიამოვნოა, უაღრესად ქართულ ნაწილთან შედარებით. მაშინაც ძირითადად ისინი ტოვებდნენ საქართველოს, ვინც უკვე შეგუებული იყო რუსეთის იმპერიას ქვეშევრდომო-



ბას და მოასწრო კიდეც გადაგვარება საკუთარ სამშობლოში. თუმცა, ამაზე მერე, როცა ცოტა სულს მოვითქვამ...

* * *

ოჯახი ფასკუნჯია, რომელსაც ქვესკნელიდან სამზეოზე ამოჰყავს ადამიანი! ამიტომ ადამიანმაც, სხვა თუ არაფერი გააჩნია, საკუთარი ხორცით უნდა კვებოს ის განუწყვეტლივ!

* * *

გუშინ საღამოს, ერთ-ერთ ჩაბნელებულ სადარბაზოში რომ შევდიოდი ხელისცეცებით, პიანინოს ხმა გამოდიოდა ვიღაცის ბინიდან – აშკარად ბავშვი უკრავდა, ალბათ სანთლის შუქზე. არ შეიძლება იმ ბინაში ცუდი ადამიანები ცხოვრობდნენ. აი, ისინი არიან ნამდვილი ქართველები, ჭირში გაუტეხელნი და ღირსეულნი...

* * *

გერმანიაში უნდა ჩამოვსულიყავი, რათა ნიცშე წამეკითხა ქართულად. ტატიშვილის თარგმანსაც ჩვეულებრივი ქართული სენი სჭირს: ყველაფრით თამაში, სიტყვით, სტილით, თემით... თავად ავტორის სახელითაც კი! არსებული სალიტერატურო ენა არ ვიცით, ან, რატომღაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მხატვრულ თუ აზრობრივ მოთხოვნილებებს, რომელთა წარმოჩენა (ანუ შენიღბვა უვიცთა და უმეცართა თვალისთვის) თითქოს უფრო შესაძლებელია არქაულ, ე. წ. „ბიბლიის“ ენაზე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „ბიბლიის“ ენა თავის დროზე უაღრესად თანამედროვე გახლდათ, და მაინც ეტყობა, მართლა ნიჭიერი კაცი იყო ბატონი ერეკლე. ყოველშემთხვევაში, აშკარად ქართული საქმისთვის იღწვოდა და ირჯებოდა. რა გვეთქმის, მადლობის მეტი! სულ არაფერს ისევ ეს სჯობს!

* * *

1989 წლის აგვისტოში, პარიზში ყოფნისას, ქრისტინემ პერლაშეზე წამიყვანა. მოლიერის სარკოფაგზე ორად გაკეცილი პატარა ფურცელი იდო. ჩემი თხოვნით, ქრისტინემ „სხვისი წერილი“ „გახსნა“ და წამიკითხა. ყველა დროის უდიდეს დრამატურგსო – ეწერა ფურცელზე. ყველაზე მარტივი და უტყუარი გამოხატულება უკვდავებისა. „წერილის“ ავტორს სჯერა, ადრესატი გაუგებს. ვინ იცის, იქნებ ესმის კიდეც!

* * *

კამიუ: „როცა ისინი (მწერლები) ლაპარაკობენ, თავს ვესხმით და ვაკრიტიკებთ. ხოლო, თუკი თავმდაბლობის გამო, სდუმან, ახლა მათი დუმილი ხდება ჩვენი გაუთავებელი მსჯელობის საგანი და დუმილისთვის ვკიცხავთ საჯაროდ“.

* * *

სხვათაშორის, ცუდი არ იქნება, მეც რომ მოვიძიო ძველ რვეულებში გაფანტული ჩანაწერები, ვინ იცის, იქნებ იმათი გამოცემა მოუნდეს ვინმეს „ჩემთან შეუთანხმებლად!“.

1999 წელი

* * *

ახალგაზრდა მწერლებთან დაკავშირებით: რაც შეიძლება მალე უნდა იგრძნონ იმათ, აუცილებელი და განუყრელი წევრები რომ არიან ქართული მწერლობის ოჯახისა (და არა მწერალთა კავშირისა), რაც შეიძლება მალე უნდა დადგნენ იმ ერთადერთ პოზიციაზე, რომელზედაც აუცილებლად უნდა იდგეს ქართველი მწერალი (ჯერჯერობით მაინც!). ახალი გზების ძებნა არა თუ კარგია, საჭიროცაა, მაგრამ ყველა გზას მაინც იქ უნდა მივყავდეთ, სადაც ჩვენი საერთო, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის გული ფეთქავს... ისინი მწერლები კი არიან, მაგრამ, ჯერჯერობით, საქართველოს ქვეშევრდომობა მიღებული არა აქვთ, ანუ ქართულად კი წერენ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცდებით არ გამოირჩეოდნენ მრავლისგან. არადა, განცდებით განსხვავებულობა, თავისებურება ანიჭებს ლიტერატურას ეროვნულობას, რასაკვირველია, ენასთან ერთად...

* * *

დიადი საშინელი სკეპტიკოსები: ლოტრეამონი, ვალერი, ჟიდი, ჯოისი, სელინი...

* * *

ხელოვნება იქცა მანკიერების გავრცელების მასიურ საშუალებად.

* * *

შვედეთის აკადემიამ ჩემი კანდიდატურა სცნო. ალბათ ესეც რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ჩვენს გაჭირვებას ვერ უშველის. მთავარი წინ არის.

* * *

თუ გინდა, რომ მოკვდე, უნდა დაიბადო. ხოლო, უკვდავება თუ გინდა – უნდა მოკვდე.

* * *

ისე მე თუ მკითხავ, არაფერია გულდასაწყვეტი ამ ქვეყანაზე – თუ კოსმიურ საფრთხეს გადაურჩი, ატომური ფსიქოზი დაგადამბლავებს, ხოლო, იმასაც თუ სძლიე, სექსუალური ეპიდემია მოგითავებს ხელს...

* * *

რაც უფრო მეტს კოპწიაობს კაცი ქალებთან, მით უფრო საეჭვოა მისი მამაკაცური პოტენციალი.

* * *

წიგნში ის კი არ უნდა ეძებო, რაც იცი, ის უნდა იპოვო, რაც იქამდე არ იცოდი.



* * *

ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც დღეს ქართულად წერს, თვალის ჩინივითაა გასაფრთხილებელი. წერონ, მოიწიფონ ხელი, გონება აუცილებლად გაიხსნება, დროთა განმავლობაში, და ბევრ რამეს, რაც დღეს აღიზიანებთ, ალბათ გმირობადაც ჩაუთვლიან თავიანთ წინამორბედებს... მთავარია, იქამდე, ერთმანეთი არ შეგვაჭმევინოს მტერმა, ქილაში გამომწყვდეული მორიელებივით...

* * *

ისე უნდა ცხოვრობდე, თითქოს სამუდამოდ ხარ აქ მოსული და ისე უნდა შრომობდე, თითქოს ხვალინდელი დღეღა გაქვს დარჩენილი...

* * *

დამთავრდა ჩემი მწერლობა – რაც დავწერე ნაგავია, რისი დაწერაც მსურდა, ვერ დავწერე! ბასტა! ამოიწურა ძალღონე, დაწყდა წყარო, დაილია სანთელი, გათავდა პური... მიიწურა სიცოცხლე, როგორც ეს ნოემბერი...

მწერლობა, ასე თუ ისე, კიდევ ამართლებდა ჩემს ამქვეყნიურ არსებობას. ნამდვილად უაზრობაა, ამ დღეში ვიყო და თანაც ვერაფერს ვწერდე... რაღაც უნდა მოხდეს! აუცილებლად. დღითი დღე ვეფლობი უმოქმედობასა და უაზრობის ჭაობში... წნევის გაზომვა და მაჯის დათვლა გამართლებულია, თუკი რამეს ქმნი, რაღაცისთვის გჭირდება ნორმალური წნევა და მაჯა. ამაზრზენი სანახავია საკუთარი მაჯის მთვლელი კაცი. საცოდაობაა! არ მინდა ვიყო საცოდავი. არ მინდა! მაგრამ სიკვდილის რომ მეშინია? მერე რა?! ეს ცხოველური შიშია და მეტი არაფერი. მარტო სიკვდილის ხომ არ მეშინია?! მეშინია მიწისძვრისაც, ხანძრისაც, მთვრალი ხულიგანისაც, გრიპისაც... ღმერთმა იცის, რისი აღარ ეშინია კაცს, მაგრამ მაინც კვდება. ასე რომ, შიში დიდი დაბრკოლება არ არის. შიშს მოევლება. მთავარია... მთავარია არ მინდოდეს სიკვდილი. ამისთვის კი ბევრი რამ არის საჭირო, გარდა ჯანმრთელობისა, საქმე უნდა გქონდეს და აკეთებდე. ქალი უნდა გყავდეს და... მოკლედ, დროა, ჭკუას მოვუხმოთ და ერთხელ კიდევ გავიბრძოლოთ. სჯობს ბრძოლის ველზე მოვკვდე, ვიდრე წარმოდგენილი ბრძოლების შიშმა მოგკლას ლოგინში ბოლოს...

* * *

27 ნოემბერი. გარდაიცვალა დედა!!! აი, როგორ უნდა სიკვდილი! აი, ვინ მოკვდა ღირსეულად! ბრძოლის ველზე...

* * *

სიკვდილი ერთადერთი (და საუკეთესო) გამოსავალია იმ სიტუაციიდან, რომელშიც სიკვდილის წინ აღმოვჩნდებით ხოლმე...

* * *

დედა დავმარხეთ 2 დეკემბერს. ეს დღეები კუბო სულ მზეში იდგა.

თინა ცარიელ ოთახებში დადის, დედას ეძებს და ტირის! 60 წლის ობოლი...

2000 წელი

* * *

...წიგნს მკითხველი არ დაუკარგავს. მკითხველმა დაკარგა წიგნის შეძენის შესაძლებლობა, რაც არანაკლებ ტრაგიკული მოვლენაა, მაგრამ მისი გამოსწორება მაინც შესაძლებელია. ვინც ახლა წიგნს ყიდულობს, ის მკითხველი არ არის, რადგან არც ის არის წიგნი, რასაც ის ყიდულობს...

* * *

მორჩილს ბედიღბალი ხელკავით მიასეირნებს, ურჩს კი ყურით მიათრევს.

* * *

17 აპრილი

ვნახე გივი*. ძალიან ცუდადაა. ვეღარ ავდგებიო – შემომჩივლა. დავამშვიდე სულელურად – გაზაფხულის ბრალია, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, არადა, აშკარად კვდება, სამუდამოდ მიდის ამქვეყნიდან. არავიზე ნაკლები პოეტი არ ყოფილა. პატიოსნად ემსახურა ქართულ სიტყვას და მწერლობას... ღმერთო, უშველე და გაუხანგრძლივე წუთისოფელი... ძალიან მეცოდება. ლია მაგრად დგას, მაგრამ ლაპარაკისას თვალები ცრემლით ევსება. რაღაცნაირად გაუფასურდა ყველაფერი, სიკვდილის ჩათვლით. „პოეტს სიკვდილი უხდებაო“ – გვეძახიან ტელეეკრანიდან, მაგრამ აი, საავადმყოფოს მე-8 სართულზე ჩიტივით უჩუმრად კვდება პოეტი და ვითომც არაფერი...

* * *

ძველ წიგნებზე ყოველთვის ახალი შთაბეჭდილებით უნდა იმსჯელო... წიგნი კი არ ძველდება, შთაბეჭდილებები იცვლება ჩვენი ზრდისა და განვითარების შესაბამისად.

* * *

რითი ვაღიზიანებ ჩემს „მეგობარ“ მწერლებს? რასაც ისინი საკუთარ თავზე ამბობენ, იმას ამბობენ ჩემზე სხვები.

* * *

მწერლური შრომაც, რასაკვირველია ტანჯვაა, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ნეტარების მომნიჭებელიცაა. ნეტარი ტანჯვა!

* * *

ყველა ქართველი მწერალი, ერთდროულად, მწიგნობარი ბერიც იყო, მიწას შეჭიდებული გლეხიც და ხმალშემართული მეომარიც... ეს სამგვარი თუ გასამებული ბუნება ქმნიდა მარად შეჭირვებულ, მარად ბეწვის ხიდზე მავალ, მარად უმადურობისა და გულგრილობით გამომწყვდეული ქართველი მწერლის სახეს.

* * *

შეკითხვების დასმა ბრალდების წაყენების ტოლფასია.

* გივი გეგეჭკორი.



* * *

გაჩხინკული და მუგუზალივით შავი გოგოები ძალიან ვნებიანები არიან საწოლში.

* * *

დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა მოახდენს შენზე ბავშვობაში წარუშლელ შთაბეჭდილებას, რა დაგამახსოვრდება სამუდამოდ... შთაბეჭდილება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტელექტუალური განტელის მაგივრობას უწევს ბავშვს, ფიზიკურად კი არ აძლიერებს, რაც ბავშვისთვისაც უკეთესი იქნებოდა – არამედ, ნაადრევად ამწიფებს გონებრივად და სასურველზე მეტად უმძაფრებს მგრძნობელობას...

ადამიანი შთაბეჭდილებების ჯამია, გააჩნია, ვინ ურევს ხელს იმ „ჯამში", ღმერთი თუ ეშმაკი...

2001 წელი

* * *

„დრო გავატაროთ ლხინითა, ჰარი, ჰარალე"! – აი, აქედან იწყება ჩვენი წახდენა.

* * *

უაღრესად ქართული ფენომენი, ძლიერ, ღონიერ ფესვებზე ამონაყარი იშხნელების შვილიშვილი – მანანა მენაბდე – გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, შემთხვევით კონცერტიდან შემთხვევით კონცერტამდე, მოხეტიალე მუსიკოსი – ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ გადმოდის მატარებლიდან (ქალაქის სახელი არ მახსოვს) თავისი გიტარით – სახელურიან ფუტლიარში უდევს გიტარა, ბებიების ჯადოქრული თითებით მოთვინიერებულ-მონუსხული... თბილისში ღამის გასათევი ადგილიც არა აქვს, არადა, თითქოს ყველა გზა ხსნილი ჰქონდა ქართული ესტრადისკენ მიმავალი – მისი უჩვეულოდ ძარღვიანი, შეუპოვარი ხმა (არ ვიცი, რამდენად შესაფერისი ეპითეტებია, მუსიკალური თვალსაზრისით), უკვე ხიბლავდა და იპყრობდა მუსიკის მოყვარულთ...

* * *

თინას „სამეფო" ბეჭდის წარწერა: „ოთიას თინია – თაზიას ფინია!"

* * *

თუ ტოლერანტი ხარ, ძლიერიც უნდა იყო. სუსტმა, უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობა უნდა დაივიწყოს, თავად რომ გადარჩეს.

მხატვრული პროზა

ოლესია თავაძე

ლიკა მიქაძის ფოტო

გ ა დ ა მ ც დ ა რ ნ ი

(ფრაგმენტები წიგნიდან „სევდიანი ჩანაწერები“)

ბავშვთა სახლი

ბავშვთა სახლი, მისი ბინადრები...

ვყოფილვარ, მინახავს....

ერთს ვიტყვი მხოლოდ:

ბავშვთა სახლში ან არასდროს არ უნდა შეხვიდე, ან თუ შეხვალ, რაღაცა უნდა მოიმოქმედო, ან ისე უნდა დაიმდუღრო, რომ სტიგმატები დაგემართოს, სხვისთვის უხილავი, შენთვის მოუცილებელი, უმაქნისობის საზღაურად.

რაული, ბიძინა, ტყუპები ანი-თეონა, მარიამი, ბაკური, რაული...

„მანი, მანი“

რომ შეხედავ – თაგვია, სუფთა თაგვი, ყველაფრით ნაცრისფერი. ეგრე გეგონოს! ასი წელი ყოველ ქუჩაში გასვლაზე, სულ ცოტა ორ-ორჯერ მაინც ნახავ – ერთი სახლიდან გასვლისას ნახავ, მერე სახლში დაბრუნებისას ნახავ. საერთოდ თუ არ გადიხარ, ფანჯარაში არ უნდა გაიხედო – ნახავ. ამოჩემებული თუ ჰყავხარ, შანსი არ არის, არაფერი არ გიშველის, ვერ დაუძვრები – დაგინახავს, დაგიმიზნებს, დაგეტაკება, – „მანი, მანი, მანის“ გაიძახის და შენს ცხვირთან თავისი სამი თითის მოძრაობით გითარგმნის.

ამ სიტუაციიდან ორი პოზიტიური გამოსავალი არსებობს:

შენთვის – თაგვმა ინტერესების სპექტრი რომ გააფართოვოს, უცხო ენას ისწავლი.

თაგვისთვის – შენ ფული რომ აძლიო, თაგვი წელში გაიმართება.

მოცემულობებიდან გამომდინარე, ინვერსია ვერ ხერხდება. ერთი რამე კი აშკარაა – თუ მოქალაქეობა არ შეიცვალე, ან უბანი მაინც, ნევროზს აგკიდებს!

მანი, მანი, მანი, მანი!!!

ზარმაცები

ორი ტიპი, ალბათ ქურთები, ასე 17-18 წლის, საგანგებოდ მიშვებულები – გასაფერთხი მტვრიანები, იღლიებში სიმეტრიულად ყა-

ვარჯნებამოდებულები, მიქცევა-მოქცევით, ლაპარაკ-ლაპარაკით ქუჩაში დაიარებიან. რაღაცა საინტერესოს ჰყვებიან.

შიგადაშიგ ყავარჯნები ხელს უშლით, ხელში იკავებენ და ჩვეულებრივ სიარულში ისვენებენ. ქუჩა ლარივით სწორია, გამვლელები ერთიმეორეს შორიდან აფიქსირებენ. სადარბაზოში თუ შეხვალ, თორემ ქუჩის ბოლოდან ჩანხარ. ჰოდა, ეს ახალგაზრდები საინტერესოს რომ მორჩებიან, საქმე რომ გაახსენდებათ, უცებ წყვილად დახეიბრდებიან, სიმეტრიულად ყავარჯნებს ამოიდებენ, და არც მეტი და არც ნაკლები, ლარს გთხოვენ: Лари дай, ну!

დეგენერატი უნდა იყო, რომ ლარი მისცე, ნეტავი დღის ბოლოს მაგათი ნადავლი დამათვლევინა, ეგეთი რამდენია.

მოხუცთა თავშესაფარი

მესა დამთავრდა, მრევლი აიშალა. მოხუცი ქალი წაბორძიკდა, სუფთა, მოვლილი, ნაპატრონები, თავბრუ რომ არა, ერთს არ იფიქრებდი მის გაჭირვებას.

– გაგაცილებთ.

გაუხარდა.

– შორი არ არის, აქვე მოხუცთა თავშესაფარში ვცხოვრობ, ეკლესიის უკან.

მივიყვანე. თავშესაფარი არასდროს მენახა, მოხუცი ისე არა, სახლი უფრო მაინტერესებდა. შენობა სამსართულიანი, კოხტა, ლამაზი, ლიფტით (გამარკვიეს: სამსართულიანი ლიფტი ბუნებაში აღარ არსებობს, მოიძიეს, უცხოეთიდან ჩამოიტანეს, უთუძვირია, კარები ნელ-ნელა იკეტება, მოხუცი შიგ რომ არ მოყვეს, ენერგიულს ამასობაში ჩაეძინება). კრიალი გაუდის ყველაფერს, ნოხები, აბაჟურები... ოთახი – კრემ-ბრიულე და რახათ-ლუხუმი ერთად, ისეთი ინტიმური მყუდროებაა, რომ ინტიმის არარეალიზებულობა შეგაწუხებს. მოხუცმა – მადლობაო, მიირთვიო, დაბრძანდიო, ტკბილიაო, რბილიაო. მერე ვახშამზე ჩამომყევიო. სასადილოში არჩევანი შეგშურდებოდა, ოფიციანტები გაგაოგნებდა, სანიტრები ჩაგაფიქრებდა. აირეოდი, და უმადურობის ბორიალი დაგეწყებოდა – თუ აქ ესეთი ცუდია, სადაც ცუდია, იქ რაღაა?

ლოთები

სპორტსკოლის ეზოში, თუთის ძირში, სკამზე ლოთი დასახლდა, ჯერ კიდევ იერი არ დაუკარგავს, ყარაჩოღელური უჭირავს, ფრიად კომუნიკაბელური მოლაპარაკეა. ეგ არ უნდა დააწყებინო, თორემ თავს ვერ დააღწევ.

მაღაზიის „კრიშა“ ვარო, სახლიც მაქვს და ძაღლიც მყავდაო, ნამეტანი შევმჭიდროვდითო, და ასე თუთის ძირში მირჩევნიაო.

სხვა არ ვიცი, მაგრამ „კრიშობანა“ გჯერა, სასმელი არ აკლია,

„პახმელია“ არ უჭირს. შენ გიჭირვებს ლაპარაკით.

ერთ მშვენიერ დღეს, მისნაირი „შემჭიდროებული“ მიუწვა გვერდზე.

სალაპარაკოდ არ გითრევენ, ერთიმეორეს ეჟღურტულებიან, „პახმელიაზე“ ერთად გამოდიან. მეგობრობა იყო თუთის ძირში და სიყვარულიც ეწვიათ. ახლა თუთის ძირში შემჭიდროვდნენ, ყარაჩოღელ „კრიშას“ ქალი მიუწვა გვერდზე, და პახმელიაზეც ერთად გამოდიან.

მეგობრობა და სიყვარული – ხვედრია.

შემეშინდა, ეს ცნებები არ წაბილწვოდათ.

სპორტსკოლის ეზოში ძაღლებს აღარ ვასეირნებ.

რაული

ბავშვთა სახლის ბიჭია, მოზრდილი, მიმნდობი. გეტმასნება, შენი იმედი აქვს. ისე, მაგ სახლისებს, ყველას აქვს იმედი, შენი, ან ვისმესი. შენც მორჩილდები, შებრძოლების თავი არა გაქვს, გეცნობა, მასწავლებელს გაცნობს, ერთადერთ თავის საკუთრებას, ლოგინთან მდგარ ცარიელა ტუმბოს ამაყად გაჩვენებს. თავისას გიყვება. მედოლეობა უნდა – ქორწილების შაბაშის იმედი აქვს. ალბათ მუსიკალურია. გემშვიდობება. გელოდება. ვერ ჩადიხარ. დოლს უგზავნი, მერე გიტარას, ერთი-ორ შენთვის ძვირფას წიგნს, გწერს, ყვავილებს და წითელ გულებს გიხატავს. შენც პასუხობ, გრძნობიანად, დიდაქტიკურად. ერთხელაც ჩახვალ, არ დაიზარებ, გზაზე ხარ, ინახულებ, უხარია, გეტმასნება. სიტყვები გიჭირს, დაკვრა გირჩევნია.

...დოლი წაართვეს, გიტარა დაუმტვრიეს, წიგნი? კითხვა არ იცის. წერილებს სხვა წერდა, წითელ გულებს თვითონ გიხატავდა.

ტუმბო ისევ ცარიელია. შენი იმედი აქვს.

მობილურს გთხოვს, ჩუქნი, გირეკავს, პასუხობ.

ელოდები ანგარიში როდის გაუთავდება.

საინგილოს თაფლი

წლიდან წლამდე ერთი და იგივე მეორდებოდა.

– საინგილოს თაფლი, საინგილოს თაფლი! – და შენ, თაფლი დიდად რომ არ გიყვარს და არც მაინცდამაინც სხვა არ გამოძრავებს, კისრისტეხით ჩარბიხარ ეზოში და ამაყად სამლიტრიანი ქილით ბრუნდები.

პირველივე ჯერიდან ნათელი გახდა: „ინგილოები“ აფერისტები არიან, თაფლი – ყალბი, ტყუილი, სიაბანდი, ტუფტა, ქიმიაა, შაქარი და „ტრაინოი ადეკალონი“. ერთადერთი, რომ ნახევრის ფასად დაზარალდი.

ერთი – შეგეშალა, მეორე – ვერ იცანი, მესამე – ვერ გიცნეს, მერე

და მერე? კლიენტისას გაიგებ, ბოლოს და ბოლოს, სხვა გასაღებს თუ ვერ მოარგებ – პატრიოტიზმის მსხვერპლია. მაგრამ მაგ „ინგილოების“ ვერაფერი გავიგე. ხან ფერეიდანი თქვან, ხან ტაოკლარჯეთი. ნუთუ პატრიოტიზმი ასე მოდებულია?

მუშები

თუ ძველებურ კაფელის ფეჩთან საქმე არა გქონიათ, აგიხსნით – ტონაა. სადაც აწყობენ, იქ დგას, არც გადააქვთ, ვერც ძრავენ. კლიენტმა დაიჩემა და ოთხი დევგმირი მუშა დააყენა თავზე. იმათი ერთი ეყოფოდა ფეჩს, და ეგეთი ოთხი? – გაუმართლა. ოსები იყვნენ, ჩვენები, კეთილები, ახმახები, მხარბეჭიანები, ცარიელა ჯანი და კუნთი. ეს ფეჩი ხო ბუმბულივით აწიეს, „ვილისზე“ ხო შეაგდეს, სოფლად მიტანილი მსუბუქად ხო ჩამოიღეს, და ოთახშიც შეიტანეს. ეხლა ოთახი. დიდი იყო, მაგრამ არც ისე. მარჯვენა კუთხეში დამიყენეთო, დიასახლისმა.

მუშებმა პატარა ჩაისუნთქეს, ოთხი მხრიდან ეძგერნენ და... სახლის პატრონმა, ალერსიანად – მაინც დაიღალნენო. მუშები, შეურაცხყოფილად ისევ ეძგერნენ... ბოლოს და ბოლოს კი მიდგეს ეს კაფელის ფეჩი მარჯვენა კუთხეში, მაგრამ რა გაუჭირდათ, მერე მივხვდი – ფიზიკის კანონი: ანუ თანაბარი ძალები საპირისპიროდ მიმართული ვექტორებით ბათილდება – ქმედება ნულის ტოლია.

ქურუმი

იმ დროს, ჯერ კიდევ ორი მიცვალებული დაუსაფლავებელი რომ გვეწვა ქვეყნის ყველაზე დედაქალაქში და ნორმალური ვერაფერს განჭვრეტდა, შუა აზიის ქვემდგომ ქალაქ სამარყანდში, შემდეგი ხდებოდა:

ქალაქის შუაგულ რეგისტანად წოდებულ მოედანზე შესახედავად აბსოლუტურად ნორმალური კაცი აბსოლუტურად გიჟურს ყვიროდა:

– ხალხნო! ამ ქვეყანას დედა აქვს ნატირები! თუ არ გჯერათ აგერ თქვენ, და აგერ მე! თავს უშველეთ! საცაა დაიქცევა!

ამის გაგონებაზე რეგისტანი იცლებოდა. დაზაფრული ნორმალურები გარე-გარე გარბოდნენ, არა მგონია დაქცევის შიშით.

რითი დაასრულა გიჟმა პირადი ცხოვრება, ვინ იცის! ქვეყნის ცხოვრება რითი დასრულდა, ვიცით ყველამ.

ჭუკლი

ჭუკლი, თქვენი არ იყოს, არც მე მინახავს. ისე, რომ გენახა, ჭუკლი – ჭუკლი იქნებოდა – პატარა, უჩინარი, შეუხედავი დედაკაცი. მიწაზე, რომელიც შეხვდა, ოთხი უფანჯრო კედელი ამოიყვანა.

გადახურვით – გარდიგარდმო ბარჯგებზე გაზეთებს აფენდა სქელ ფენად – ამტკიცებდა, წვიმისგან იცავსო. ბაღის ნერგები ბოსტნის ჩითილებივით მიაყოლა.

– ქალო, რას შვები, – რომ ეტყოდნენ, – შორიშორს დარგე!

– მე ვიცი და ჩემმა მარჯვენამო, – პასუხობდა.

ჭუკლი ასე, დიდხანს ვერ იგიჟებდა. გაზეთს წყალმა აჯობა, ბაღი ლერწებად გადაგვარდა. თვითონაც გაქრა, ჭუკლი. რამდენი წელია, არ გამოჩენილა.

მაგრამ, რატომღაც, ყველას ღიმილით და სიკეთით აგონდება.

პლეხანოვის პროსპექტი

ამას მოვესწარით – მიხაილოვის პროსპექტს, პლეხანოვის პროსპექტს, დავით აღმაშენებლის პროსპექტი დაერქვა. ჰოდა, მაგ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, შუა ქუჩაში, ავტობუსების გაჩერებაზე, მოსაცდელ სკამთან ეგდო (სიტყვა არ შემშლია), ეგდო ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი. ეგდო გულგაღეღილი, ჩახდილი (ვაი რომ პირდაპირი მნიშვნელობითაც!) თავის ამონანთხევში, ჩამონაჟურში, ამაზრზენი და შემზარავი. გვერდზე მიგდებული ბინძური საცვალი, ცალი ფეხსაცმელი და „ნასუფრალი“ (გაჭყლეტილი პომიდორი, კიტრის ნაღინჯალი, ბოთლები და ერთჯერადი „სერვიროვკა“) მიგახვედრებდა – გდია, კი, მაგრამ, ამჟამად, ერთგვარად აქ ცხოვრობს, ამ ადგილზე. ეს არ იყო შეჩვეული (!) მათხოვრობა, ბილწსიტყვაობა და უტიფრობა, ეს იყო დაცემის აპოთეოზი. ქართველობას ხაზი გავუსვი, არ მომერიდა, არ შემშლია. ქართველს ნამდვილად არ ჰქონდა ხასიათში ქვენა შრეების საჯაროობა. არამც თუ მთვრალს, ნასვამსაც ვერ ნახავდი სახლიდან გამოსულს!

ირგვლივ ყველა, გამვლელი და მომლოდინე ჩვეულებრივი იყო. არანაირი ვაი-ვიში და თავში წაშენა. ამ კიტრი-პომიდვრით კი, ნამდვილად, ვიღაცამ ნამუსი მოიბანა. ყველას ეტყობოდა – მილიონი რომ მიგეცა – არავინ მიეკარებოდა. ზუსტად ამის შეძახილზე – „მილიონი რომ მომცე, მაგას არ ვიზამდიო“, – დედა ტერეზამ (კეთროვანს რომ ჩირქს ჰბანდა) ასეთი პასუხი გასცა:

– მილიონად არც მე ვიზამდიო!

ნაადრევად ხომ არ გადავარქვით სახელი პლეხანოვის პროსპექტს?!

ნიღაბი

გაუცხოვების კვალია, ანარეკლია – ნახშირით წარბჩათრეულად შემოვლებული თვალები, შავი თმები, შავი ფრჩხილები, შავი ტანსაცმელი, ჩაცვენილი კბილები, ჩაცვეთილი ქუსლები. ფერუმარილით თეთრი სახე, შავს ირგვლივ ასმაგად თეთრი გუგები. მტვერდაყრილი, ჭაღარაგარეული, უსუფთაო.

მძებნელი, მომლოდინე – დაეკარგა, ეძებს, ხედავს და ვერ ცნობს. აქაურობის მიღმა ეძებს, ადამიანებს მიღმა დაეკარგა. თავისი

ქალობაც იქ დატოვა, აქაურობის მიღმა.

იმედი კი აქა აქვს – ირგვლივ, ქალაქში, დედამიწაზე.

უბირი

უნივერსიტეტის უბირზე, სულ ცოტა, მაშინ უნდა წერდე, კბილის ტკივილისგან ყბა რომ აგხდება და მაგისთვის მოიცლი. ჯანმრთელად მყოფს ფილოსოფოსობა გერევა – ჯობია თუ არა უქონლობა ქონებას, ყველაფრით მოყირჭებას – სიმშვიდე და ა. შ. ალბათ ჯობია, თუ ნებაყოფლობითია და ზეაღმავალი. მაგრამ ეგ ყველაფერი თეორიებია. რეალურად კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო-ბაღში ადამიანი ცხოვრობს. ყველაფრით არაადამიანი. სიბინძურისგან შავი. ზამთარ-ზაფხულ შიშველი და ფეხშიშველი – პირუტყვი, იმდენად რამდენადაც, აგერ მეოთხე წელიწადია ყოველდღე ვნახულობ და მისი ხმა არ გამიგია, მისი გამოლაპარაკება არ მინახავს. ეგების მუნჯიც არის. ვერა-ვაკის პუბლიკა არ ერჩის; არ სცემენ, არ დასცინიან, თვალსაც კი არ აყოლებენ – არ იმჩნევენ. ამის მადლობელიც უნდა ვიყოთ. არცთუ წარსულში და არცთუ შორს, ეგეთებს დასცინოდნენ და სცემდნენ კიდევაც. ჩვენსას, უნივერსიტეტელს არამცთუ – აჭმევენ სამოწყალოდ მონარჩენს. ძილით მიწაზე ძინავს, ბაღის ნეშომპალაში ფოთლებწაფარებულს. ყოველ ჯერზე მწოლიარეს რომ ხედავ, ერთი ფიქრი გაქვს – ცოცხალია თუ არა. მის ფიქრზე, განცდაზე ლაპარაკიც არ არის. ცოცხალი თუა, თუ სუნთქავს? მერე კი გზა ერთი გვაქვს.

ეჭვი

პატრონთან მოსეირნე ძაღლი ყოველთვის ნალოლიავებია. მარტო მოძუგძუგეს უჭირს. ამ ორის შემხედვარეს კი შფოთი გიტანს. კაცი ჩამოძონძილი, მხარზე ტომრით, მორბენალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ციებ-ცხელებიანი მზერით ფეხებქვეშ სულ რაღაცას ეძებს. წელზე ჯაჭვით გამობმული ძაღლი უსიცოცხლო მორჩილებით უკან მიჰყვება.

ეჭვი არ გეშვება და... ქვესკნელურად გინათდება – ამ კაცს შია! ქრონიკულად შია. ძაღლი კი მოსიარულე ლუკმაა! შიშისგან გბურძგლავს. ასეთი ელდა მაძღარს თუ გეცა – მშიერს რა მოუვა!?

რა საცოდაობაა ჩვენს თავს!

ბუდა

კიროვის პარკის ჩასავლელი კიბის თავში ხშირად ნახავთ სახლის კედელს ზურგით მიყუდებულ მჯდომარე ქალს. დაუთვლელი ძონძი აცვია, ერთი მეორეზე ჩამოჩაჩული. დაუბანელი, დაუვარცხნელი,

წვერმოშვებული, სახლის კედელს მიბჯენილი, უკიდურესობას მიბჯენილს ჰგავს. ნერვი არ უტოკავს. თვალი არ უთრთის. ამაოებას აცდენილი მისხალს არ გიტოვებს სიბრალულისთვის. პატივნარევი ზიზღით უვლი გვერდს და ცდილობ დაივიწყო.

ერთი არ გასვენებს – ასე არააქმყოფს, ასე განდგომილს, რა აქვს, რა უდევს ირგვლივ შემოლაგებულ ტომრებში, ჩანთებში, პარკებში?

თუ სატირალი ერთიანად გამოიტირა, თუ ზეარსს ნაზიარევი სიმშვიდეს ეწია, რას ვერ შეელია მისი ხელი, ასე მფლობელურად ნივთჩაკიდებული? რა უწყვია, რა სიმდიდრე, რას დაატარებს თან – უცილობელია რამე, თუ მასაც „რაიმე აქვს სახსოვარი“?

თუ სხვაზე უფრო ძნელად ეგ ძაფი წყდება, და ამა ქვეყნის ფუჭი ტვირთია?!

პიანისტი

ადრე სახლიც ჰქონდა, კარიც და თეთრი როიალიც.

დღეს ძაღლების თავშესაფარი აქვს და სადაც დაუღამდება, იქ სძინავს.

ადრე დედაქალაქების დედაქალაქში სუმთლად მაესტროსთან სწავლობდა. ბაშმეტთან და მისნაირებთან მეგობრობდა (უცხოეთი საით იყო, რო არც ვიცოდით), გასტროლები და სტუდიური ჩანაწერები.

დღეს იგივე ტიტულები და ლაურეატობა (ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ წაართმევ). და იგივე უპატრონო ძაღლები, იგივე თავშესაფარი. კიდევაც რო დაურბევიათ და წაურთმევიათ.

ადრე – აპლოდისმენტები, სცენა და თაიგულები.

დღეს – ბეჭდიანი დიპლომები, გაყვითლებული რეცენზიების მოგონებები და გულში ჩაკრული ფეხმოტეხილი ძუკნა.

ადრე – მოფრანგულე საზოგადოების პატივისცემა და მფარველობა.

დღეს – ბეიკერის ორმოს აცდენილი თავისი სამფარველო უჯიშოები და უპატრონოები. იგივე ფრანგული – „მას გეცილების ვერავინ“.

ადრე – პატიჟი და ცერემონიები.

დღეს თავს არიდებენ, ვარდისფერ ტყავის „ტროიკას“ ამადლიან. ნესტიან სარდაფიდან აგდებენ. მარტო ლეკვებს უხარიათ მისი მოსვლა და დანახვა.

ადრე პიანისტი.

დღეს გიჟი.

კიდევაც თუ ეგრეა. — დიდებული უკიდურესობებია!

მაგრამ თუ მამა ფლორენსკის და ჯაკომეტის სიტყვებს შეაჯერებ, ნუთუ ყველაფერი სიტყვებია, სიტყვები და მხოლოდ ლიტონსიტყვაობა?!

«Чего ты хочешь, о какой успешности думаешь, стать славной пианисткой? На это я никогда не разсчитывал и пожалуй, не хотел бы для

тебя. Эстрада – мучительное дело, требующее больших жертв, мало дающее внутреннему человеку, разлучающее с самой музыкой и переносящее интерес из музыки в самолюбие и угодничество публике. Не подменяй чистого безкорыстного любования красотою суетливой погоней за славой, кроме горя ничего не дающей. Не задавайся слишком большим».

Павел Флоренский. Из письма к дочери Ольге (январь 1936 г., Соловки).

„ალმოდებული სახლიდან, არჩევანი რომ მქონდეს – კატა გადავარჩინო თუ ლეონარდოს ტილო, კატას გადავარჩენდი“ (**ალბერტო ჯაკომეტი**).

P. S. ამის წაკითხვისას, მეგობარმა მკითხა:

– ეგ როგორ დაემართა, იცი?

– ?

– მოსკოვში, ორკესტრთან უნდა დაეკრა, რეპეტიციაზე აგვიანდებოდა და (იღბლად?) გზად ძაღლს გადაეყარა. ძაღლს ცხვირს ირგვლივ ეკლიანი მავთული ჰქონდა შემოჭერილი...

ამან, გზად მიმავალს, ცხოვრების გზაც შეუცვალა.

„Coin“-ი

ტაძარს ავტობუსები მოადგა. უცხოელმა ტურისტებმა დერეფნად მსხდარ მათხოვრებს შუაში ჩაუარეს. აქა-იქ სხვა და სხვა ხმაზე ხურდა ფული აწკრიალდა. ყველამ მალული ანგარიშით ფული ჯიბეში გადაანაცვლა. უცებ კაცის სიცილი გაისმა. ორივე ფეხით უფეხო, ხის დაბალ ხელნაკეთ ურიკაზე სალდათის ბალთებიანი ქამრებით მიბმული იჯდა, და გულღვიძლიდან ამოსული, ბავშვური სიცილით იცინოდა. ხელში ხურდა-„კოინი“ ეკავა. თვალს არ აცილებდა, თვალებს არ უჯერებდა.

– ჩემი მეგობარი ლოგინზეა მიჯაჭვული, – სიხარული ვერ დამალა და უმისამართოდ წამოიძახა, – ვერ დგება, ვერ გამოდის. ადრე ერთად ვისხედით. გაუხარდება, თქვენ არ იცით, რას გაიხარებს, ამას რომ მივუტანი. ნუმიზმატია, ბევრი დაუგროვდა, ეს კი მადაგასკარისაა. ეგეთი არა აქვს. რო იცოდეთ, რას გაიხარებს!

მისნაირი ბედნიერი ადამიანი ქვეყანაზე იმ წუთში არ იქნებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

დებიუტი

თამარ თოლორაია

კაპელა

ამ დილას, არც მეტი არც ნაკლები, სიმყრალის სუნმა გამომაღვიძა. არც მიფიქრია, გამომერკვია, ვისი არომატი სჭარბობდა. მართლა ჩემი სუნი იყო, მარტო ჩემი.

წუხანდელი საღამო სხვებისგან გამოირჩეოდა... ვისწავლე, როდის ვიგრძნო თავი შეურაცხყოფილად. საკუთარი თავის გამკვირვებია, რა მატირებდა. ისე გულით ავქვითინდი, შეწუხდა კაცი და ბოდიშის მოხდა დაიწყო. ამას ეტიკეტის გამო არ აკეთებდა, მგონი მართლა შევეცოდე, ოღონდ სიბრაზეს მისთვის არ გადაუვლია. ვიგრძენი თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა და საუბარი იმ წყვილზე გადავიტანე, რომელსაც შვიდი წლის წინ ვიცნობდი. აღგზნებული ვუყვებოდი ქმარზე, ვისაც არ სჯეროდა, რომ ლეღვის ხეზე საყვარელიც შეიძლება მაჩვივით გავიდეს, ცოლს კი მხოლოდ ერთი რამ აკვიატებოდა – ოჯახის არც ერთ წევრს დაუბანელი თავი კედლისთვის არ მიეყრდნო. კაცი მისმენდა და ისე დაიბნა, „გენიოსი ხარო“ აღმოხდა. ოღონდაც ეს სიტყვა არ ეთქვა, თქვენ ხომ არ იცით, როგორ მომინდა გენიოსობა. მას აქეთ სახის გამომეტყველებაც შემეცვალა.

როცა კიბეზე დავეშვით და განათებულ შესასვლელში თვალი შემავლო, მკითხა: „შენ რა, აქტის მერეც ინტელიგენტი ხარ?“. ვთხოვე, მალე მივეყვანე სახლში, დღეს ექიმთან მივდივარ და არ მინდოდა რაიმე ნაკვალევი დამტყობოდა. ისე, ექიმიც მეთომარება, თუმცა მამაშვილურად კი მთხოვა, ათი დღე მოითმინეო. წუხელ კი მხოლოდ მეოთხე იყო.

ყველაზე მეტად თავზე მუშაობს ექიმი. ასე თვლის საჭიროდ და მეც არ ვუძალიანდები. ოჰ, ეს ბლოკირებული ტვინი! ნეტა რა შეიცვლება? გეტყვით: განკურნების შემდეგ იმ კაცს დავუწყებ ძაგებას, ვის მიმართაც მადლიერების გრძნობა აქამდე შემრჩენია. სამი წლის ასაკში გადამარჩინა. მას შემდეგ ვოცნებობ, შევქმნა კაპელა და არაფერი გამომდის. პირველი ხმა მალე გამექცა. აღარც შემცვლელმა ივარგა და ზრდილობიანად დავემშვიდობე. ახლახან გავიგე, ორივე თავ-თავის დუეტში მღერის. ძნელია პირველი ხმის აღება, მითუმეტეს გარდატეხის ასაკში. ერთი იყო კიდევ, სოლო მინდოდა მიმეცა. მან თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება. ზუსტად ვერ გეტყვით, სამიდან რომელ ხმას უკეთ გაქაჩავდა, მაღალი დიაპაზონისა იყო, მაგრამ რად გინდა, სცენაზე გამოსვლისას თხუნელასავით დაფრთხა და კვლავ თავის სოროში შერგო თავი. ვინც შემომრჩა, აგერ არიან: მაღალი უცხოელია, საშინელი კილო აქვს. სულ მინდა ვუთხრა, შეეშვას ჩვენებურად ლაპარაკს და თავის ენაზე ისაუბროს, ალბათ ვეტყვი კიდეც. დაბალი კი ისე ქანაობს, იქნებ ცალი ფეხი ორმოში ჩავადგმევინო და გავაჩერო. კარგი ვინმე ვარ! მაინც სად შევკრიბე ეს ხმები, მაგრამ ისე მინდოდა დირიჟორობა, გამალებით დავიწყე ძებნა. როცა ვეძებდი, სულ ის ღილი მახსენდებოდა, პიჟამოზე რომ ამძვრა. მაშინ ვერ ვიხრებოდი, ენაც არ მემორჩილე-



ბოდა და დედაჩემს თვალებით ვანიშნე, ეგერ, კუთხეში აგდია-მეთქი. დედა იატაკზე იჯდა და დაპნეულ ვერცხლისწყალს ნემსის წვერით აგროვებდა. ვერ მიმიხვდა რა მინდოდა და ასე დავკარგე ღილი. დიდხანს ვინანე. იმ კაცს ვაჩუქებდი, ბავშვობაში უწამლოდ რომ მიმკურნალა. მაგას რა ვუთხარი, დირიჟორობაც ხომ მისთვის გამოვიგონე, მეჩვენებინა რა მარჯვედ ვიქნევ ხელებს.

მე თავიდან ვისწავლე ლაპარაკი, მაგრამ სახელს მაინც არავის ვეუბნები და მირჩევნია ხელით შემოვხაზო. მკლავების სიშიშვლის უკვე აღარ მრცხვენია, ბანჯგვლები თავისით გამცვივდა. ადრე ზღარბს ვგავდი, ძილშიაც კი ვხედავდი, როგორ იზრდებოდა თითოეული ღერი. სულ მალე ფუნქციური რღვევის პროცესიც შეწყდება და როგორც ექიმი მიწინასწარმეტყველებს, მაგარი ქალი დავდგები. მანამდე თავს მოვისაწყლებ და საეპილაციო ნემსებს დავჯერდები. ჩხვლეტა არც ისე მწარეა. მე კი მაქვს დაგვიანებული რეაქცია, მაგრამ რაც მაშინ გადამხდა, ამას ვერაფერს დაარქმევ. ქათქათა წინსაფარზე თეთრი კამელია უნდა დაგვებნია. დედამ სიჩქარისგან ქინძისთავი ჩამასო და სისხლმა გულისპირზე წითელი კამელია ამოხატა. ხელგაშლილი გავრბოდი, ქუჩაში ბიჭებმა გამომაჯავრეს, წუთიწუთზე მივასწარი და ბანი მივეცი. კიდეც რომ მეცადა, ჩაბნელებულ დარბაზში ვერ ვიპოვიდი. ჩემთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა მისი გაბუტვა და „არ წამოვალ“. და უცებ გამნათებლის ოთახიდან, დარბაზის ბოლოს, ჩემს სიმღერაზე დამალობანას ცეკვავდა ვიღაცის თავი. სათამაშოდ მიწვევდა და მეც თავი ჩავკიდე და რა ვნახე – უზარმაზარი, ტალახში ამოსვრილი შავი ბოტები, ორი ერთად, ანუ წყვილი. ნუთუ ჩემს ფეხებს აცვია-მეთქი და ავაჭრაჭუნე, მაგრამ ხმაურის გარდა არაფერი მიგრძვნია, არც ის მიგრძვნია, როგორ ჩამოვიქაჩე თმა და არც ამ ამბის გახსენებით შევიწუხებდი თავს, გუნდის თეთრხალათიან ხელმძღვანელს ფრჩხილებით ზურგი რომ არ ჩამოეკაწრა და აღშფოთებულს არ დაეყვირა: „რას ჰგავს გოგონა ეს! ამ ასაკში სრულ იმპოტენციასთან გვაქვს საქმე“.

კი მაგრამ, შენ ვინ მოგცა უფლება, დამისვა დიაგნოზი ან მითხრა დედას ჰგავხარ, მამისა გაქვს მხოლოდ იერიო. შენ, რომელსაც ვერ გაგირკვევია, ჩემს დანახვაზე ხელში რეზინის ჩაქუჩი დაიკავო თუ...

მე ახალი საქმე მაქვს წამოწყებული, ტყუილად კი არ ვცდები. გგონია, არ ვიცი, რომ ცხოვრება მგლური კანონებით ბრძოლაა?! მაგარი ბიზნესი მაქვს: ყოველ ღამე ვჯდები მატარებელში და ქალაქში მივდივარ. ძველად მუქთად ვარიგებდი ჩემს ცხოვრებას. ისე მალე შემომელია წლები, ახლა სულ თვეებად და დღეებად ვყიდი. მერე ამ ფულით დედობის უფლებას ვყიდულობ, ვბრუნდები შვილთან და ლექსებს ვუკითხავ. რომ მოსაღამოვდება, ისევ ვემზადები გასამგზავრებლად და სადგურში გავრბივარ. ჩემი შვილი დგას ჭიშკართან და ფარანივით ანთია. ახლაც დათვლილი მაქვს საათები და დროზე შეჭამე კარაქიანი პური, ჩაიც დააყოლე, ჭიქა და თეფში უნდა წავიღო. ყველი ვერ გავიმეტე, მაგრამ რაც მოგიტანე, ამაშიც სამაგიეროს ვითხოვ – მაგალითად შენი სახლი და ეს უთოც, თუკი მუშაობს. საღამოს რძე იქნება. ფუ, რა მძიმე ჰაერია შენთან, ვერ ვჩერდები...

– გამარჯობა, თოლიგე.

– ნუ მეძახი თოლიგეს, მე შენი ცოლი არა ვარ!

– როგორ არა, ბავშვობიდან ჩემი ხარ, ჯერ გამოგზარდე, მერე გიყურე და გიყურე...

– რამდენს ლაპარაკობ!

– სიგიჟე მალე გაივლის, ნუ გეშინია.

– არ მეშინია, ხელი რომ მთხოვე, ძალიანაც მესიამოვნა, მაგრამ ხალხი რას იტყოდა და პასუხი დავაგვიანე.

– რატომ არ მახსოვს შენი პასუხი?

– როგორ არა, მაშინ ყველანი ნაგავსაყრელებზე ვმუშაობდით. გახსოვს, დამცავ კედელს ვაშენებდით, მდინარეს მყარი ნარჩენები ზღვაში რომ არ ჩაეტანა, მაგრამ ღორებს ვერაფერი მოვუხერხეთ და ორივენი ბავშვებად ვიქეცით.

– ეს როგორ, თოლიგე, მე შენზე ბევრად უფროსი ვარ...

– კი, ასე იყო, ბავშვებად ვიქეცით და სულ კეტებით განვდევნეთ ის ღორები. მერე კამათი დავიწყეთ, რა მოგვეშენებინა ამხელა ტერიტორიაზე. შენ ხოხობი არჩიე, მე კი მორცხვად გთხოვდი: მოდი, გვრიტები დავასახლოთ და ჩვენც ვიცხოვრებთ, „ვითარცა ორი გვრიტი“.

– ახლა გვიანია?

– გვიანი არა, მაგრამ უსასყიდლოდ არ შემიძლია. სახლს კარგად ვალაგებ. მე შენი დამლაგებელი ვიქნები, შენ ჩემს ნაწერებს გაასწორებ...

– ეგ როგორ მოვახერხოთ?

– ჩვეულებრივ, ეს ხომ ნათურის ჩამოკიდებაზე ადვილია. ერთმანეთს ბაგეებით შევეხებით და როგორც ხელოვნური სუნთქვის დროს ხდება, ჰაერს ჩავბერავთ, ჯერ მე, მერე – შენ.

– მხოლოდ დღეს არა! ამ დილას მამაჩემმა ეზოში მწვანე ხახვი დამიკრიფა და ვყარვარ.

– მამაშენმა? შენს ეზოში? რა უნდა აქ მწვანე ხახვს, ეზო შხამიანი სოკოებითაა მოფენილი. მერე მამაშენი ისეა გაძაღლებული, რამეს დაგიკრეფდა კი არა, ერთი სული აქვს, საკაცით როდის გაგიტანენ. ასეც რომ იყოს, თავს რას მაბრალებ, ვერ ხედავ რამდენი წიწაკა მაქვს ნაჭამი?! ყოველ დილას, უზმოზე, ნივრით გაზავებულ წყალსა ვსვამ...

– ვერ ჩაგბერავ, ცალი ფილტვი ჩაკირული მაქვს!

– მაშინ სული შევუბეროთ ერთმანეთს...

– კარგი.

– ეს რა უსტვენს?

– ბრონქები.

– წამოდით ახლა ორივენი და ჩადექით მესამე მწკრივში, ანდა სადაც გენებოთ, ადგილები არაა მისაკუთრებული! რას მიყურებთ, დირიჟორად კი არ ვარ, მეც თქვენსავით ვუბერავდი ცეცხლზე შემოდგმულ რძეს და მოვხვდი აქ, ამ კაპელაში! კაპელა ვაჟთაა, მაგრამ უამრავი გამონაკლისია, ამიტომ ნურც დასახელებას მიაქცევთ ყურადღებას, ნურც ტექსტის მნიშვნელობას, რადგან მაინც მაყურებელი იმღერებს უხმოდ. წინა რიგს ანგინა აქვს და ყველამ თეთრი ნაჭრით შეიხვიეთ ყელი... კიდევ ტაში დაუკარით ისე, დაინგრეს დარბაზი, ოღონდ ხელისგულები ოდნავადაც არ შეახოთ ერთმანეთს. აბა, თქვენ იცით...

ესეისტიკა. დოკუმენტური პროზა

ზურაბ ცხონდია

რაც უნდა დუმილით მეთქვა

ხვიჩა ნემსაძის ფოტო

მთავარია, რის ჩადენას მოასწრებ

ჩემი სტუდენტობის დროს ხშირად შემინიშნავს რუსთაველის გამზირზე მოსეირნე ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შორის თავისი ახოვნებით და თავზე დაყრილი ხვეული თმებით ყურადღებას იპყრობდა ერთი იმათგანი. ეს გახლდათ **გურამ დოჩანაშვილი**. რას ვიფიქრებდი, რომ ეს მხარბეჭიანი გოლიათი სულ რამდენიმე წელიწადში შექმნიდა ლამაზ-ქალაქის ზღაპრულ სამყაროს, სადაც ადამიანებს უცნაური ხე – სიყვარულის კაქტუსი უყვაოდათ მკერდში და მიუხედავად ჟამი-ჟამ სამშვინველიდან უნებურად დასხლეტილი სიავისა, შეეძლოთ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარება და ერთმანეთისთვის თავის გადადება.

დოჩანაშვილის გმირები არ არიან უცოდველი კრავები. ყოველ მათგანს, რომ იტყვიან, საკუთარი ცოდვების უცნაური ქიმერა აზის ზურგზე, მაგრამ მასთან შებრძოლების ჟინიც მოსდგამთ და ასეთ დროს მომეტებულად ლამაზი და უცნაურები ჩანან.

„სამოსელი პირველი“ დიდი წიგნია. რას არ იპოვით აქ – ცნობიერების ნაკადს, საოცრად კონცეფტუალურ ალეგორიებს, წარმოსახვით პლანებს, გამაოგნებელ ალუზიებს, ბოლომდე გამოუთქმელის, „ნონ ფინიტოს“ იდუმალებას, ჩაკეტილი წრის გარღვევის ესთეტიკას. და ყოველივე ეს ერთი ამოსუნთქვით გაკითხებს რომანს.

წმინდა სახარებისეულია თუნდაც ეს მოკლე პასაჟი: „დომენიკო, ძალიან დიდი განსხვავება არა აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან. მთავარია, როგორ მოკვდები და რის ჩადენას მოასწრებ“.

რომანში არის ასეთი ეპიზოდი: ქალი დაქვრივდა და ექვსი წლის ბიჭი დარჩა. ქალი მრეცხავად იწყებს მუშაობას. გადის დრო და მის ცხოვრებაში შემოდის მეგობარი მამაკაცი, ვისაც გულით მიენდობა. მაგრამ ყველაფერი ავად შეტრიალდება. იგი ნამდვილი არაკაცი აღმოჩნდება, რომელიც სიცოცხლეს უშხამავს ქალს. ბიჭი წამოიზრდება. დედა ყველაფერს იტანს მის გამო.

და აი, ერთ დღეს ბიჭი შეესწრება საშინელ სურათს: კაცს იატაკზე წაუქცევია დედამისი და ზედ წიხლებით შემდგარა. წონასწორობიდან გამოსული ბიჭი ნაჯახით კლავს მოძალადეს.

შუაღამისას დედა და შვილი სასწრაფოდ გაეცლებიან ქალაქს. ფეხმძიმე ქალი იმ კაცისგან მეორე ბიჭს შობს. გადის წლები. ეს ბიჭიც წამოიზრდება. უფროსი ძმა კი კოშმარულ სიზმარს ხედავს: თავგასისხლიანებული მამინაცვალი დანით ხელში მოსაკლავად დასდევს გერს. ასე გაგრძელდა მთელი თვე. ბიჭი თავის ბოღმას პატარა ნახევარძმაზე იყრის და ყოველ დილით თავზე წამოუთაქებს. ისიც ამაზე ღრიალს ტეხს ხოლმე. და აი, ერთხელაც მოხდება სასწაული. მკვლელს დაესიზმრება ღიმილიანი მამინაცვალი, რომელიც მორიგებას სთავაზობს გერს. ასე გაგრძელდება რამდენიმეჯერ. სიზმრებმა გარდატეხა მოახდინა

ბიჭის ფსიქიკაზე. ერთხელ, როდესაც ძმები კარებში შეეჩეხნენ ერთმანეთს, პატარამ გარტყმის მოლოდინში უნდოდ შეანათა თვალები, მაგრამ უფრომა ძმამ გაუღიმა. ერთხანს შორიდან აკვირდებოდნენ ერთმანეთს გატრუნულნი და თითქოს გრძნობდნენ, როგორ ამოდიოდა მათ მკერდში უცნაური, მჩხვლეტავი მცენარე – სიყვარულის კაქტუსი.

მხოლოდ დიდ მწერალს ხელეწიფება ადამიანის სულში მთვლემარე ურთიერთმიტევების რესურსების ამდაგვარი გამაოგნებელი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოჩენა.

საფლავიდან მიუტევა კაცმა მკვლელს დანაშაული.

მწვერვალთან მოგებული ომი

სიყვარულისა არ იყოს, ალპინიზმს, როგორც ჩანს, ყველა ასაკი ერთნაირად მორჩილებს. ბევრს აოცებს მთისადმი ასეთი ფანატიკური სიყვარული, ძნელად დასაკებელი აზარტი. ერთი რამ ცხადია: განცვიფრებას ის ერთობ არაორდინარული, „სხვანაირი“ ადამიანები იწვევენ, რომელნიც განგების მიერ რიგით მოკვდავთათვის დაწესებული ჩარჩოების გარღვევას და ცადატყორცნილი მწვერვალების მისტიკური იდუმალების წვდომას ესწრაფვიან.

... ისინი ხუთნი იყვნენ. უშბის ყინულოვანი ქიმიდან ასხლეტილმა მზის სხივმაც ვერ დააფრთხო სიკვდილის ავბედითი აჩრდილი, ერთ თოკში ჩაბმულ ხუთ მეგობარს რომ ჩასაფრებოდა. ასეთ დროს ძნელია იმის გარკვევა, ვის უფრო ეკუთვნი: ცას თუ დედამიწას. ერთბაშად შემთხვევითობის ბინადარი ხდები. ყოველივეს ფატალური სამკუთხედი განაგებს: შენ, თვალშეუდგამი მწვერვალები და ბედისწერა. მთამსვლელის თოკმა თითქოს აღასრულა თავისი მისია. მწვერვალთან მოგებული ორთაბრძოლის ექსტაზს აზიარა ხუთი შეფიცული.

ხუთიდან ორი დაბრუნდა. მათი ხსოვნის ობელისკად ამიერიდან უშბა იბრწყინებს. ამ ტრაგიკული შემთხვევის ვიზუალური განცდა კი მომავალ თაობებს ტელეკამერებმა შემოუნახეს. მარტო **მიხეილ ხერგიანის** დის გულისშემძვრელი შეკივლება რად ღირს, როდესაც მთამსვლელთა ტრაგიკული აღსასრული ამცნეს. ამ წუთებმა ლეგენდარული ძმის სუ-ალტოში დაღუპვის ტკივილი განუახლა და გულ-ღვიძლში ელდასავით გაუარა.

ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი...

ჭეშმარიტი სიყვარული, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთხელ მოდის. სხვა შემთხვევაში ქალიც და მამაკაციც რაღაც ერთფეროვან, მოსაწყენ ფარსს თამაშობენ, ქვიშაზე დარჩენილ ნაფეხურებს რომ წააგავს.

კუპრინის „ზღვის ავადმყოფობაში“ ჭეშმარიტ სიხარულს ვერნაზიარები ქალი ეუბნება ქმარს: რას ჩაიდენდი, რომ მოვიდე და გითხრა: ჩემო საყვარელო, მავან მიზეზთა გამო გიღალატე. და მოყვება შემთხვევას, თუ როგორ დაადგა ქმარს რქები გემის კაპიტნის თანაშემწესთან და განიცადა ენითუთქმელი ნეტარება.

„ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მე ხომ ძველებურად გიყვარვარ? – კითხვას შეუბრუნებს ქმარი, – უბრალოდ, ის მტანჯავს, რომ სიამოვნება მიიღე არა ჩემგან, არამედ ვიღაც მაწანწალასაგან“.

ქალი სახლიდან მიდის. გამოსამშვიდობებელ ბარათში კი რჩება ჩანაწერი: „შენ ერთადერთი ხარ, ვინც მიყვარდა, მაგრამ ყოფილხარ სხვებივით ეჭვიანი, მესაკუთრე სიყვარულში, დამამცირებლად უნდობი“. ჩანს, ქმრისთვის არ იყო ეს ქალი ის ერთადერთი ტოპოსი, ვისთანაც შეეძლო ერთსულ და ერთხორც ქცევის საკრალური აქტი განეხორციელებინა.

ყველას გვახსოვს მარგარიტა გოტიე, ეროსის წინ მუდმივ მოკეკლუცე. ქალი, რომელშიც გადარჩენილია ღვთიური სული, თავისი ერთადერთი მამაკაცის, არმანის სპეტაკ სიყვარულამდე რომ აღამაღლებს და მისსავე ცრემლებში ჩაფერფლავს.

ბრწყინვალე ამერიკული ფილმის, „ლამაზმანის“ დავიწყებაც გვიძნელდება. როგორ იღვიძებს თითქოს ჩვეულებრივ მეძავში არაჩვეულებრივად დიდსულოვანი ქალი, რომელიც შემთხვევით გაცნობილ მამაკაცს წრფელი სიყვარულით აბედნიერებს. ან როგორ არ გაგვახსენდეს ორმოც წელს გადაცილებული სოლომონ ბრძენის სიტყვები თავისი ერთადერთი სიყვარულის, უმანკო სულამითის სიკვდილის წინ: „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული“.

იქნებ ჩვენი **დავით დადიანის** სახელოვანი სიმამრიც არ ტყუის: „მე ერთმან, ერთგზის, ერთს ვუძღვენ თავი...“

ახლა თანასწორები ვართ

რევაზ ინანიშვილის ნოველაში „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი, დედით დადიანი, ლეიბგვარდიის პოლკოვნიკი **ალექსანდრე ვიტგენშტეინი** მატარებლით მგზავრობისას ქალთან გამოჩენილი უტაქტობის გამო დუელში იწვევს ამავე ქალის თანმხლებ გენერალს და... შეაკვდება კიდეც. სულთმობრძავი კი **ნიკოლოზ მეორეს** სწერს ახლობლურ ბარათს, რომ ყველაფერი წესების დაცვით მოხდა და გენერალი არ დაისაჯოს.

ამდაგვარი რაინდული საქციელის ფონზე, შესაძლოა ნაკლებად სარწმუნო ჩანდეს ფილოსოფოსის ერთი სკეპტიკური გამონათქვამი: „რაინდული ღირსება ამპარტავნობამ წარმოშვაო“. აქ თავისთავად გახსენდება მაცხოვრის სიტყვები, „თქვენ მე შემაქციეთ ზურგი, როცა მათხოვრისათვის არ გაიღეთ მოწყალება, როცა თავშესაფარი არ მიეცით უსახლკაროს. ის ხომ მე ვიყავი, თქვენ რომ ვერ შეიცანით.“

მოგვიტევოს მკითხველმა, თუ ამ პრობლემის ჩვენეული ხედვის წარმოჩენას **ბოდლერის** ერთი საოცარი მოთხრობის კონტექსტში შევეცდებით: კაცი შეხვდება მათხოვარს და სილას გააწნავს, რადგან თავისი წამქეზებელი კეთილი დემონი უჩურჩულებს ყურში: „თანასწორად მხოლოდ იგი უნდა ჩათვალო, ვინც ამას დაგიმტკიცებს. თავისუფლების ღირსიც ის არის, ვინც ბრძოლით მოიპოვებს მას“. მაგრამ ხდება მოულოდნელი რამ: მათხოვარიც შეუბრუნებს ხელს და მაგრადაც მიბეგვავს. ბოლოს კაცი ეუბნება: „აი, ჩვენ ახლა თანასწორები ვართ. თუკი ვინმემ მოგთხოვა მოწყალება, ჩემსავით მოიქეცი: გაუღვიძე გლახაკს სიამაყე და დაუბრუნე სიცოცხლეს ლაჩრად ქცეული კაცი“.

ადამიანურად მისაღები ორნაირი გაგებაა. კამათს არავისთან ვაპირებ.

ვფიქრობ, დედით ქართველი ვიტგენშტეინი წუთითაც არ სცილდება თავის ქმედებაში ქრისტიანულ მორალს. პირიქით, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ადამიანური ღირსების არცერთ სიტუაციაში არდათმობის შეგნებას უღვიძებს თავგასულ გენერალს.

მაიაკოვსკის იუმორის ძალა

ვარლამ შალამოვი თავის „ახალ წიგნში“ გასული საუკუნის ოციანი წლების მოსკოვს აცოცხლებს – პოლიტიკური რეპრესიების, ლიტერატურული ციებ-ცხელებით ამღვრეულ ბოლშევიკურ ქალაქს. სადისკუსიო კლუბები ველარ აუდიან ათასი ჯურის სამწერლობო თუ სახელოვნებო კორპორაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს. „რაპელები“, „სერაპიონის ძმები“, „ლეფელები“ ხმისჩახლეჩამდე აშანტაჟებენ ერთმანეთს. ყოველ მათგანს თავაწყვეტილ ვნებათაღელვაში საკუთარი სიმართლის გატანა სურს. თანაც ნებისმიერი, დასაშვები თუ უკადრებელი ფორმით...

ამ ქაოსში განსაკუთრებული ისტერიით მაინც ე. წ. „ცისფერპერანგიანების“ დაჯგუფება გამოირჩევა. აგიტბრიგადების ხმოვანი ჟურნალ-გაზეთებით, მხატვრული თვითშემოქმედებით, სკეტჩებით, ორატორიებით წარამარა „იბომბება“ ნაირგვარი თავყრილობები.

„ლეფი თუ ბლეფი“? რადიკალი ოპონენტების ამდაგვარ პაროდიას მაიაკოვსკი და მისი თანამოაზრენი არანაკლები აგრესიულობით იგერიებენ.

„მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გამართულ მორიგ დისპუტზე **მაიაკოვსკი** და **შკლოვსკი** ადრე გამოცხადდნენ, – იგონებს შალამოვი, – გამომწვევი თავდაჯერებულობით გაიარ-გამოიარეს მაყურებელთა თვალწინ. უეცრად ავანსცენისკენ გოლიათური ნაბიჯებით გამოემართა მაიაკოვსკი. და ჯერაც ნახევრად ცარიელი დარბაზის წინ ხმამაღლა იყვირა. ყველა გაისუსა.

– მაშ, დავიწყოთ, არა?!

– დავიწყოთ, დავიწყოთ.

– როგორ უნდა დავიწყოთ. ჩვენ, „ლეფის“ წარმომადგენლები გამოვცხადდით, აი „ბლეფიდან“ კი რატომღაც არავინ ჩანს.

დარბაზს გამაყრუებელმა ხარხარმა და ოვაციის ტალღამ გადაუარა“.

ამ ფრაგმენტმა ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი პლენარული სხდომა და ერთობ პოპულარული სატელევიზიო თოქ-შოუები გამახსენა. ნამდვილი, შედეგის მომტანი, კონსტრუქციული პოლიტიკური დებატების მოლოდინში ეკრანს მიჯაჭვულნი ხშირად პირში ჩალაგამოვლებულები ვრჩებით. ხან პოზიციის წარმომადგენლები აარიდებენ თავს გადაცემას, ხანაც ოპოზიციისა. იმათგან, ვისაც სახელმწიფო პოლიტიკის კეთება დააკისრა ხალხმა, ბავშვური ბუტიაობა მართლაც რომ დამაღონებელია.

შესაძლოა, რასაც ქვემოთ ვიტყვი, მავანს ბანალურად მოეჩვენოს. ქვეყანას თავისი ისტორიული თავგადასავლის ასეთ ურთულეს მოსახვევში ამდაგვარი მწვავე დაპირისპირების, ერთმანეთზე ღვარძლიანი თავდასხმების რეჟიმში მუშაობა არ ეკადრება. უბრალოდ, ასეთი ფუფუნების უფლებას ისედაც წინააღმდეგობებით გაძეძგილი რეალობა არამც და არამც არ გვიტოვებს.

მასხარას სიბრძნე

კონსტანტინე კაპანელი მეოცე საუკუნის მოაზროვნე ელიტაში ერთ-ერთ წარჩინებულ ინტელიგენტად მოჩანს. თავისი ნაწერებიდან იგი თავს გვამახსოვრებს, როგორც რაფინირებული ესთეტი, ვისაც ძალუძდა მშვენიერი აღმოეჩინა იქ, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავნი მის არსებობას ვერაფრით ვერ წარმოიდგენდნენ. იგი ერთგან წერს: „ადამიანო, ვინც არ უნდა იყო, რა ადგი-

ლიც არ უნდა გეკავოს ამქვეყნად, მუდამ გახსოვდეს, რომ მარადისობის ფონზე იგივე ფასი გადევს, როგორც ცეილონის კენგურუს, ან ტასმანიის ბეღურას. შეანელე შენი ზვიადობა შენი ხვედრის შეგნებით, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ და ამიტომაც გახსოვდეს სიკვდილი – „მემენტო მორი“.

მავანი, ვისთვისაც შაშვის ჭკუა უბოძებია გამჩენს, თავისი უზრდელობის თავხედური ეპატაჟით აყრუებს მეტად პრესტიჟულ დარბაზებს. იმას კი ვერ ხვდება, რომ რაც უფრო მოკლე ხანს დაჰყოფს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, მით უფრო მოიგებს საქართველო. უდავოდ ამისთანების მოძალების საფრთხეს გრძნობდა **რეზო თაბუკაშვილი**, როცა ჟურნალისტის შეკითხვას ასე პასუხობდა: „სიცოცხლის ხანგრძლივობა ალბათ არ არის ბედნიერების ერთადერთი სახე. ვინ იცის, იქნებ მთავარი ის კი არ იყოს, რამდენ ხანს ცხოვრობს ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობს“.

ერთსა და იმავეს ამბობენ კაპანელი და თაბუკაშვილი.

ამ აზრმა შეუძლებელია ძველი რომის სენატი არ გაგვახსენოს, სადაც გახურებული პოლიტიკური დებატებისას, ზუსტად დათქმულ დროს შემოვარდებოდა მასხარა და ირონიული ღიმილით შესძახებდა დიდებულებს: „გახსოვდეთ სიკვდილი!“

ᲗᲐᲕᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

მართალია ნელა, მაგრამ ადამიანი მითაჟამიდან მიიწევს სრულყოფის გზაზე. ო, როგორ სურს ღვთის საოცარ ქმნილებას მეტი სიჩქარე აკრიფოს და გაბედულად გაიჭრას წინ, მაგრამ უჭირს, უმძიმს სულში მოფუთფუთე დემონებთან ბრძოლა. ამათში ყველაზე საშიშ ვნებასთან – შურისძიებასთან ხომ დღემდე ვერაფერს გახდა.

ოთარ ჭილაძისა არ იყოს, საკვირველია მართლაც, რა ისეთი ტალახი ჩააყოლა ძე შეცდომილს უფალმა, რომ ურთიერთის მიტევების უნაზეს ყლორტებს წამდაუწუმ შურისძიების სუსხიანი ქარების დასაზრობად იმეტებს.

შურისგების რა ქარბორბალა ტრიალებს **ვაჟა-ფშაველას** „მოკვეთილში“. ლაშარის ჯვრის რჩეული ყმა ჩონთა ცოლად ირთავს ბახას ხელდადებულ მზევინარს. შურისძიებით დაბრმავებული ბახა პირად მტერზე ჯავრის ამოსაყრელად გამოუძღვება ფშაველთა დუშმანთ. შინაგან წინააღმდეგობას და სულიერ განცდათა სირთულეს ტრაგიკულ შედეგამდე მიჰყავს ამბავი. ბახაც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ სანამდე შეიძლება მიიყვანოს უსაზღვრო პატივმოყვარეობამ, სამაგიეროს მიზღვის ავადმყოფურმა ვნებამ ადამიანი. ჩვენი მეხსიერება ბახას მწკრივში აყენებს შურისძიების ალმოდებულ იაგოს, კორიოლანოსს, შადიმანს, ფარსმან სპარსს, სალიერს.

მახსენდება **ჩინგიზ აიტმატოვის** „საჯალათო კუნძი“. მოინქუმის შეურყვნელ, უკიდეგანო ტრამალში ჯერარგაგონილი უბედურება ტრიალებს. არაკაცების ბანდა, კანდალოვის თავკაცობით, ვერტმფრენებიდან ჭურვების სეტყვას უშენს საიგაკების ჯოგს, რათა თავადაც ხელი მოითბონ და იმავდროულად ხორცის გადაჭარბებით დამზადების პატაკითაც აამონ ზნედაცემულ მთავრობას. სულისშემძვრელია საიგაკებისა და მგლების თავაწყვეტილი რბოლა. მგლებმა დაივიწყეს მტაცებლური ინსტინქტი და ფანტასტიკური სიჩქარით მიქრიან, რათა განადგურებას გადაურჩნენ. ამ ეპიზოდის კითხვისას შემაძრწუნებლად დაგივლის ტკივილნარევი ფიქრი:

ცხოველური ბუნება უღებს ხოლმე ალღოს სახიფათო რეალობას და ჩვენ რა გვჭირს? რად ვივიწყებთ ერთურთის შენდობის ძირძველ ტრადიციას და ისტორიის უმწარეს გაკვეთილებს? სანამ გავარკვევდეთ, რა მოტივაციებით არის აღძრული ეგზალტირებული მასების წრეგადასული მღელვარება და აგრესია, ხომ ადვილი მოსალოდნელია, ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანები და პერსპექტივა, ჩვენი ცხოვრების არსი და მისია ავადაშლილი დაპირისპირების ალში ჩაიფერფლოს?!

ორგზის დედობის ხიბლი

თვალი გადავავლოთ გარდასულ საუკუნეებს. როგორი ულმობელობით და ფანატიკური ძალისხმევით დაუმკვიდრებია ესა თუ ის ზნეობრივი ნორმა, ეთიკური პრინციპი. მერე გასულა ხანი, განახლების ქარებს მოჰყოლია თავდაჯერებული და ყოყოჩა ცენზორები და დაუწერელი თუ კანონიზირებული მორალური კოდექსი დაურღვევია. მაგრამ ერთგულებისთვის ვერ უყვია ძვრა. ეს თვისება აქამდე ინარჩუნებს ადამიანურ სათნოებათა კატალოგში გამორჩეულ ადგილს.

ჩვიდმეტი წლის **ნინო ჭავჭავაძის** ბიწშეურეველი ერთგულება **ალექსანდრე გრიბოედოვისადმი** მომავალში არაერთ თაობას შეურხევს ძარღვებს. რამდენი თაყვანისმცემელი ემუდარებოდა გულზე ალად შემონთებული ტრფობის გაზიარებას, მაგრამ ქალმა ვერა და ვერ დათმო ის, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“. ნინო სოციალურმა მდგომარეობამ და ბედმა გამოიყვანა ისტორიის ავანსცენაზე, მაგრამ რამდენი უჩინარი ნინო, თამარი, ელისო თუ ნათელა იცის თუნდაც ჩვენმა ქალაქმა, მეუღლე რომ ადრე დაკარგეს და ობლებს უმამობა არ აგრძნობინეს, გზის გამამრუდებელი ცდუნებანი აარიდეს, დააფრთიანეს და ცხოვრების შარა-გზაზე გაიყვანეს. არა, სისხლ-ხორცისგან დაშრეტილი მანეკენებიც არა ყოფილან, რომ ეროსის მწველი შემოხედვისაგან ჟამითიჟამად არ აჩქროლებოდათ გული, მაგრამ ირჩიეს ქვრივის ხვედრის ღირსეული ტარება.

რა ჰქვია ამას? ალბათ თვითგვემა, სიყვარულის ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვის საკრალური აქტი. ეს ხომ ნამდვილი გმირობაა, ორგზის დედობა, ჩუმად და უხმაუროდ რაღაც სუფთას და მარად ხელუხლებლის გადამრჩენელი.

ამოხეული ფურცლები

ნიკო ნიკოლაძე

რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი

I

საფრანგეთის დიდი მეცნიერი ელიზე რეკლიუ ამბობს თავის უკვდავ თხზულებაში რუსეთის შესახებ: – „როგორც ჩრდილოეთის მხრივ ხილი კარგად ვერ დამწიფდება, ისე ჩრდილოეთის ცის ქვეყანაში მყოფი ხალხის გონება უმწიფარია პოლიტიკურად და საეჭვოა როდისმე დამწიფდესო“. ეს სიბრძნე მეცნიერისა სავსებით გაამართლა მსოფლიო ომმა და რევოლუციამ.

დაემხო ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი, დაიმსხვრა, დაიგლიჯა, დანაწილდა... დაიქცა და დაილეწა ისე, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელია. გუშინდელი ლაღი ბატონი ველიკორუსი, გუშინდელი მტანჯველი მრავალ განათლებულ ეროვნებათა დღეს უგზო-უკვლოდ დატანტალებს რუსეთის ტიალ მინდვრებზე და ცახცახით გაურბის კაიზერის ძლევამოსილ დროშას.

უკულტურო რუსეთის დამსხვრევით გაჰქრა სამუდამოდ ევროპის საფრთხე და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიას. უზენაესმა ტექნიკამ და მაღალმა კულტურამ დალეწა სიბნელე და უმეცრება; პატარა ფალავანმა დასცა დიდი თიხის ფეხებზე მდგარი უზარმაზარი გოლიათი. აღიგავა ქვეყნის პირიდან ევროპის ჟანდარმი; მოისპო საუკუნოთ ულმობელი მტარვალი – აბსოლუტიზმი. ასი წლობით გვემულმა და დამონებულმა ერებმა ამოისუნთქეს თავისუფლათ...

მერე და რამ დასცა რუსეთი? რამ დაამხო უზარმაზარი იმპერია. იგი დასცეს და დაამხეს უმთავრესად შინაურმა და გარეგანმა მტრებმა. ეს მტრებია: თვითმპყრობელობა, რუსის ხალხის უკულტურობა და მონური სული.

სამხედრო და პროლეტართა რევოლუციას რუსეთში მოჰყვა საბედისწერო მარცხი. ძალაუფლება ხელში ჩაუვარდათ მუშა-მხედართა საბჭოებს და წარმოიშვა ორი მთავრობა, ბურჟუასთან ზერელე კავშირი და აქედან წარმომდგარი კოალიციური მთავრობა გამოდგა სუსტი, მერყევი და უდღეური. მალე გაჩნდნენ და მოეფინენ რუსეთს სხვადასხვა სახელმწიფო კომიტეტები და კომისარიატები. ამათ შებორკეს ხალხი, დაფუშეს ერთიანად სახელმწიფო მექანიზმი, მათ წარმოშვეს ყველგან სურსათის საარაკო კრიზისი, შიმშილი და უსაზღვრო სიძვირე. ამ სახით დააწვნენ ხალხს შემხუთველ მაჯლაჯუნათ. თავისუფლებით დამთვრალ რევოლუციურ ხალხს სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტები, ხელთ იპყრეს მძიმე საჭე და იწყეს 140 მილიონ ხალხის ბედის ტარება რევოლუციის ოკეანეს მქუხარე ტალღებში, მოიშორეს თავიდან ნიჭიერი, გამოცდილი და საქმიანი კაცები, რადგან ისინი არ იყვნენ სოციალისტები; ნაცვლად მიუბოძეს საპატიო ადგილები და დიდი ჯამაგირები ნორჩს, გამოუცდელს

საუკუნის წინ დაწერილი სადღეისო საკითხავი

*დღეს, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ პირველი პუბლიკაციიდან, „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე ქვეყნდება **ნიკო ნიკოლაძის** ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი პუბლიცისტური წერილი **„რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“**.*

ხელახალ მიბრუნებას ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ შედევრთან თავისი წინაისტორია აქვს, რომელზეც სულ ორიოდე სიტყვით მინდა მოგითხროთ: გასული წლის ოქტომბერში ჩემს „გაფრანგებულ“ ბიძაშვილთან – რეზო ნიკოლაძესთან ერთად დიდ ჯიხაიშს ვეწვიეთ. საფრანგეთში დაბადებული რეზო ნამყოფი არ იყო ჩვენი საერთო „დიდი ბაბუის“ სახლ-მუზეუმში და საქართველოში მისი ამჟამინდელი სტუმრობის პროგრამაში ჯიხაიში „პირველ პუნქტად“ ეწერა. მეც კარგა ხანია არ ვყოფილვარ ჯიხაიშში და ამჯერად ჩემი დიდი ხნის

წინანდელი ჩანაფიქრი განვახორციელე: მუზეუმის დირექტორს, ქ-ნ ლია ბიბილეიშვილს გადავეცი ბაბუაჩემის, ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ძმის – კონსტანტინე ნიკოლაძის არქივის ერთი, დიდად საინტერესო ნაწილი. თავის მხრივ, ქ-მა ლიამ დამასაჩუქრა ქსეროასლით იმ ნიკოლაძისეული სტატიისა, რომელსაც სრული სახით დღეს სხვაგან ვერსად იხილავთ. საქმე ისაა, რომ გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის კომპლექტებიდან („რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ 22, 24 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნდა) ამოღებულია ან მთლიანად აღნიშნული ნომრები, ან სტატიის ყველაზე „ანტიბოლშევიკური“ ნაწილი (მაგალითად, ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში). თუ გავითვალისწინებთ, რა წყობა დამყარდა საქართველოში ნიკოლაძისეული სტატიის გამოქვეყნებიდან სამიოდე წლის შემდეგ, და რა საშიშ სამხილად აღიქმებოდა აქ წარმოდგენილი ტექსტი დიდი ქართველი სამოციანელის გულშემატკივართათვის, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რომელიმე მათგანმა მალულად გააქრო გაზეთის ფურცლებში შეფუთული ეს „დამოკლეს მახვილი“.

პროპაგანდისტებს. ამ სახით გაირიყენ სახელმწიფოს შეგნებული მოწინავე წოდებანი, სათავეში ჩადგენ მოუმზადებელი პირნი, დამყარდა სალდათის და პროლეტარის დიქტატურა (ბატონობა). სახელმწიფომ იწყო ბორძიკი, უკან დახევა და გადაიჩეხა უფსკრულში... ამრიგათ დიდებულად დაწყებული რევოლუცია მალე გადაიქცა ბუნტად და ანარქიათ...

რევოლუციის პირველ ხანებში ხალხის ბელადობა ჰხვდათ წილად სოციალ-დემოკრატ „მენშევიკებს“ და სოციალისტ-რევოლუციონერებს. ამათ მოიწადინეს შეურიგებლის შერიგება, ბურჟუისა და პროლეტარის ერთ უღელში გაბმა, მათი კავშირი და კოალიცია. მაგრამ სინამდვილემ დაანგრია ოცნება. რევოლუციის რომანტიზმმა მალე დაუთმო ადგილი მკაცრ რეალიზმს. დაეცნენ მენშევიკ-ესერები დანიის პრინცის მანტიაში გამოხვეულნი; მათი ადგილი დაიჭირეს მრისხანე „ბოლშევიკებმა“ და ხელთ იპყრეს მედგრად რევოლუციის დროშა, ამ მომენტიდან რუსეთის რევოლუციაში დაიწყო მეორე ხანა, ხანა ტერორის, ცეცხლისა და მახვილისა.

„ბოლშევიზმის“ გამარჯვება რუსეთში ადვილი ასახსნელია, დაბნეულს და ომით დაქანცულ რუსის ხალხს სწყუროდათ ზავი და მშვიდობა. ეს ზავი და მშვიდობა დაპირდნენ ხალხს ბოლშევიკებმა. თხრილებში დაყუნტული სალდათი ნატრობდა შინ დაბრუნებას და ამ სალდათს უთხრეს: ნუღარ იბრძვი, წაიღე თოფი და წადი შინაო. გლეხს ეჭირვებოდა მიწა, უქადაგეს: წაართვი მემამულეს მიწა და დაისაკუთრეო; მუშას აუხსნეს: ეს ქარხნები, მადნები და ფაბრიკები შენაო, ბოგანო ხალხს ამხილეს: ეს სახლები, ბანკები, მაღაზიები და ბურჟუების მთელი ქონება თქვენიაო, წადით დაეტაკეთ, გაძარცვეთ, მოჰკალით და წაგლიჯეთო.

ეს ტკბილი სიტყვები მალამოსავით მოხვდა რუსის გულს. ასიათასობით და მილიონობით გაიტაცა ამ ახალმა მოძღვრებამ ბნელი ხალხი. გლეხი, სალდათი, მუშა და ხულიგანი, ყველანი იქცნენ „ბოლშევიკებად“ და მიუბოძეს ბატონობის კუერთხი ლენინსა და ტროცკის, ამათ სერიოზულათ განიზრახეს სოციალიზმის გაბატონება, სოციალურ რევოლუციის მოხდენა, სოციალისტურ რესპუბლიკის დამყარება და მაგალითის მიცემა ევროპა-ამერიკისათვის. ამათ მოიწადინეს მსოფლიო ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება, ისტორიის ჩარხზე გადახტომა; ისკუპეს და ჩაიმსხვრნენ ხრამში...

ბოლშევიზმით გატაცებულმა რუსის ხალხმა მიიღო ჯილდოდ ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ზავი, პეტროგრად-მოსკოვის და ოდესა-ნიკოლაევის დაჭერა ნემეცების მიერ, და ბოლოს კაიზერის მხედრობა გამოისეირნებს კიდევ შუაგულ რუსეთში „წესიერების აღსადგენად“. მოჰგლიჯეს რუსეთს თავი – პეტროგრადი, ამოჰგლეჯენ მას გულს – მოსკოვს. რუსეთი ამიერიდან მკვდარია. ველიკოროსიის ბატონობას მოეღო ბოლო... რუსეთი დღეს გარდაიქცა გერმანიის კონგოდ, ნემეცების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მონათ... აი, რა ზომამდე მიიყვანა რუსეთი მაღალ ფენებში ფრენამ!

საფრანგეთის რევოლუციათა მაგალითებმა ვერაფერი ასწავლა რუსის რევოლუციონერებს. ამათ ვერ ისარგებლეს წინა რევოლუციების კარგი მხარეებით და მხოლოთ უხეშათ გაიმეორეს მათი შეცდომანი. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს სრული მოუმზადებლობა

რევოლუციის მოსახდენად და გასაღრმავებლად. მათ ვერ გამოიჩინეს ვერავითარი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება. მას ემუქრის ფეხ-ქვეშ გატეკნას პრუსიის იუნკერი: ამის ნიშნებს უკვე ვამჩნევთ.

ახლა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს რუსის ხალხი. ეს ხალხი ჯერ ნორჩია, ბუნებით უნიჭო, პასიური, მონური სულის მქონე. რუსმა არ უწყის, თუ რა არის სამშობლო. რაინდობა და პატრიოტული გრძნობა მისთვის უცხო ხილია. აღმოსავლეთ ევროპის და ციმბირის ტრიალი მინდვრები სძრავენ მასში წანწალის სურვილს. ამიტომ რუსი ბუნებით ბოგანოა. მას ძლივს აქვს 1000 წლის ისტორია და აქედან 300-400 წელი მონგოლთა მონობაში გაატარა. ეს ათი საუკუნე კი მეტად მცირეა, რომ ნახევრად ველური ხალხი გადაიქცეს კულტურულ ხალხად და შექმნას პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მაღალი ფორმები. ეს ხალხი ჯერ არც კი გამოსულა თეოლოგიურ ეპოქიდან. იგი ჯერ კიდევ სექტების და წმიდანების პროცესშია. 90 პროცენტი ამ ხალხისა მიკრულია მიწაზე და აწარმოებს პრიმიტულ მეურნეობას. ტექნიკა და ინდუსტრია მხოლოდ ახლა იდგამდა ფეხს. სკოლების სიმცირე, წერა-კითხვის უცოდინარობა 60 პროცენტის მიერ, განვითარებული ლოთობა და ხულიგნობა, დაქვეითებული ზნეობა, პოლიციელის უსაზღვრო თვითნებობა, „როზგის“ და მათრახის თავისუფალი ნავარდობა, – აი, ის ბნელი, უმეცარი, ღატაკი და დაბეჩავებული მასსა და მისი გარემო, რასაც წარმოადგენდა ამ ბოლო დრომდე რუსის ხალხი!

აი, ამ ბნელ მასსას უქადაგებდნენ სოციალიზმს! ამ მასსის საშუალებით სურდათ დაეარსებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა. „ბოლშევიკებს“ კიდევ სწადდათ დაემყარებინათ „სოციალისტური რესპუბლიკა!“. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს...

აი, რას ნიშნავს ისტორიის კანონების და ხალხის ფსიქოლოგიის არცოდნა! რას ნიშნავს ზერელე თეორიებით, დოგმატიზმით, უტოპიებით და ბროშურებით გატაცება! მონარქიზმის ზარფუშში დახუთულს და მონობის ბორკილებით დაკუნტულს რუსის უმეცარ ხალხს უქადაგებდნენ ერთხმად სოციალიზმის სამოთხეს და სთავაზობდნენ სოციალისტურ რესპუბლიკას! ის კი დაავიწყდათ ამ მეოცნებე მქადაგებელთ, რომ ჯერ რუსის ხალხმა უნდა განვლოს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური გრძელი ხანა, პარლამენტარიზმი, შემდეგ დემოკრატიული ეპოქა და სხვა. ამისთვის კი საჭიროა მთელი საუკუნეები.

დროა შევიგნოთ, რომ ისტორია ნახტომებს არ აკეთებს და უდიდესი რევოლუციებიც კი ბოლოს ემორჩილებიან ევოლუციის რკინის კანონებს. რა გინდ კარგი იყოს თესლი, იგი არ აღმოცენდება და ნაყოფს დაისხამს, თუ ამ თესლს არა აქვს შესაფერად შემზადებული ნიადაგი. რუსის ხალხი კი წარმოადგენს ისეთ კლდოვან, ყამირ მიწას, რომლის დამუშავებას და შემზადებას სოციალიზმის სათუთ თესლისთვის სჭირდება მთელი საუკუნეები. და თუ დღეს ხალხის 90 პროცენტი აძლევს ხმას და უკან მიჰყვება ამ, სოციალისტებს, სწორედ ეს მოვლენა ამტკიცებს ამ ხალხის სრულ უმეცრობას, თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესის შეუგნებლობას. ასეთი

გაზეთი „საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო გახლდათ და ნიკო ნიკოლაძის (როგორც ამ პარტიის ერთერთი იდეოლოგის) იმჟამინდელი პუბლიცისტიკის უმეტესი ნაწილი, რომელშიც მაშინდელი საქართველოს და მის მეზობელ თუ შორეულ მტერ-მოყვარეთა პოლიტიკური გეზი იყო თვალმიდევნებული, სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა.

„საქართველოს“ რედაქციაში ნიკო ნიკოლაძის ვიზიტების შემსწრე გერონტი ქიქოძე იგონებდა, რომ: „ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა... რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას“.

XX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ იგრძნობოდა ინერცია რწმენისა, რომელიც XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან ასაზრდოებდა ქართულ მწერლობას და რომელიც ერის წინამძღოლობას გულისხმობდა. თავის საპროგრამო პუბ-

ხალხი დღეს სოციალისტია, ხვალ ანარქისტი, ზეგ კი მხეცად ქცეული ხულიგანი და ისევ ძველი მეფის და პოლიციელის თაყვანისმცემელი.

ასეთია რუსის ხალხი. ამ ყამირმა დაამხო სოციალისტთა ბელადების გულუბრყვილო ქადაგებანი, ბოლშევიზმი გარდაიქმნა ხულიგანიზმად და ანარქიათ, დააჭკნო რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების ყვავილები, გამარჯვება მიანიჭა თავს დაუძინებელ მტერს – გერმანიას, დაასამარა თავისი საკუთარი ბედი და პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება. უნებლიე მესაფლავენი კი შეიქმნენ სოციალისტური პარტიები და განსაკუთრებით „ბოლშევიკები“...

II

– ახლა ვიკითხოთ, თუ რა ხდება დღეს საქართველოში? ეს 120 წელია, რაც ჩვენი სამშობლო შეეფარა ორთავა არწივს და თავის ბედი დაუკავშირა რუსეთს. მოყვრათ და მეგობრათ მოწვეული რუსი მალე გარდაიქცა ჩვენში ბატონათ და სასტიკ მტარვალათ, დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით, ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა, ვაება და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან და სალდათ-ჩინოვნიკებისაგან, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაიღუპა ციმბირის ტურნდრებში, აურაცხელი დამცირება გამოცადა ქართველმა ერმა, აუარება მიწა-მამული ჩამოერთვა მას, შერაცხეს სახაზინოთ და დაასახლეს ზედ უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები.

არამც თუ საგაზეთო წერილით, მთელი ფორმებითაც კი ვერ ამოშრეტს კაცი იმ საშინელებას, რაც ხვდა წილად საქართველოს რუსის მთავრობის წყალობით ამ 120 წლის განმავლობაში. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გაღატაკების და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, შკოლა, სასამართლო და ნაცვლათ დაამყარა ყველაფერი რუსული. მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა. ე. ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში.

საოცარია და საარაკო, თუ როგორ გაუძლო ქართველმა ერმა 120 წელის რუსის მთავრობის ასეთ ულმობელ ინკვიზიციას, როგორ შეინარჩუნა კიდევ თავისი ეროვნული სახე, ნიჭი, მხნეობა და არსებობა! გავს, უშრეტად ქონებია ჩვენს ერს სულიერი ენერგია და ძალებადნი, ჩანს, მძლავრად ყოფილა მასაში ჩანერგილი ძველი კულტურის ნაშთები და მჩქეფარე ეროვნული გრძნობა...

მიუხედავად ამისა, მძიმე ბეჭედი დაასვა ქართველი ერის სულს რუსის ბატონობამ, დათრგუნა და დაჩაგრა ქართული თვითარსი კულტურა, ქართული რაინდობა და კეთილგონიერება. ნაცვლათ შთანერგა ბრმა მიმბაძველობა და მონური სული, რამაც ფრიად დასეტყვა ერის ფსიქიკა, ნიჭი, ინიციატივა და შემოქმედება, ამასთან ერთად ეროვნული გრძნობა და შემეცნება.

ლიცისტურ წერილში – „ჩემ პოლიტიკაზე“ (1913 წ.) – ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ველარ გაძლებს ჩვენს დროში, ველარ აიტანს არსებობისათვის ბრძოლას ერი, რომელსაც გონიერი მწერლობა არ წინამძღვრობს“. სწორედ ამ რწმენით არის გაჯერებული დიდი ქართველი „სამოციანელის“ პოლიტიკური პუბლიცისტიკის აქ წარმოდგენილი ნიმუშიც.

პარადოქსია, რომ „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ ეკუთვნის კალამს იმ მწერლისა, რომლის მოღვაწეობაც დიდწილად რუსულ-ქართულ ლიტერატურულ სამყაროთა შემაერთებელ ხიდად აღიქმებოდა, რომელსაც არაერთი საყვედური მოუსმენია უცხოეთში (რუსეთის ჩათვლით) მრავალწლიანი მოღვაწეობის გამო და რომელსაც თავის მართლებაც კი დასჭირდა ამ „შეცოდებისათვის“: „მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, – რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შენთვის (აქ, ცხადია, საქართველოა ნაგულისხმევი. – ზ. ა.) სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარა-

კით...“ („სალამი“, 1876 წ.).

ის სიმწარე, ის გამეტება, რომლითაც ნიკო ნიკოლაძე „რუსულ ფენომენზე“ ლაპარაკობს, აპოკალიფსური მასშტაბის ტრაგედიით თვალახელილი ადამიანის შეძრწუნებაა. პეტერბურგის უნივერსიტეტის ზეატაცებულ სტუდენტს (მისი „60-იანი წლების მოგონებები“ გავიხსენოთ), რუსული მწერლობისა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების მოტრფიალეს, ვერ წარმოედგინა, რომ ტოლსტოისა და დოსტოევსკის ქვეყანა გადაიქცეოდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი მასობრივი კაცთაკვლის ასპარეზად. მაგრამ ძველი ილუზიებისაგან თავისუფალ ნიკოლაძისეულ „პოლიტიკურ თვალსაწიერს“ ახალი ილუზია დაბინდავს – ილუზია იმისა, რომ რუსეთი უკვე დაიშალა, სულს ღაფავს და საქართველოს ვეღარას ავნებს. ნიკო ნიკოლაძემ მალე იწვნია ამ „გაცოცხლებული გველეშაპის“ სუსხიანი სუნთქვა.

საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ, თავის შვიდწლიან ნებაყოფლობით „შინაპატიმრობაში“ იგი უთუოდ ფიქრობდა, რა ხშირად აღიქვამენ ადამიანები სასურველს – რე-

სწორედ ამ დამღუპველ ზეგავლენით აიხსნება ის უკუღმართობა, რაც შეემთხვათ ჩვენს სოციალისტურ პარტიებს. მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიაში მყოფ ყველა შეგნებულ ერების სოციალისტურმა პარტიებმა აშკარად დაირქვეს თავიანთი ერის სახელი, ჩვენმა სოციალისტურმა პარტიებმა (გარდა ფედერალისტებისა) ვერ გაბედეს თავის ერის სახელის დარქმევა იმ შიშით, რომ რუსის მართლაც შოვინისტურ-სოციალისტურ პარტიებს შოვინისტობაში არ ჩამოერთმიათ. ამ სახით რუსეთის ფარგლებში არსებობდა ფინლანდიის, უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, ლატინის, ებრაელების (ბუნდი) და სხვა ერთა ს.-დემოკრატიული და ს.-რევოლუციური პარტიები, არ არსებობდა მხოლოდ საქართველოს ს.-დემოკრატიული და ს.-რევოლუციური პარტიები. ამათ ნაცვლად ჩვენში არსებობენ: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და რუსეთის სოციალ-რევოლუციონერები, ეს უცხო სახელი ქართველ სოციალისტებს დღემდე შერჩათ. დღეს კი, რუსეთის დამხობის შემდეგ, ვერ გაბედეს და ვერ შესცვალეს თავის ფორმა, თავის სახელი, ვერ მოინათლენ ქართველად. ქართველმა პარტიებმა დღესაც კი ვერ უწოდეს თავის თავს ქართველი. აი, რა სიმახინჯემდე მივიდა ჩვენში რუსეთის მონური ზეგავლენა!

რუსის ბიუროკრატიული დარჯაგით შეხუთული ქართველი ერი მეტად გვიან გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და როგორც ტექნიკურად, მრეწველობით და საზოგადოდ ნივთიერად ჩამორჩენილმა ხალხმა, ამიტომ ფრიად სუსტი ბურჟუაზიის მქონემ, უპირველესად წარმოშვა და გააღონიერა სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები, ე. ი. პოლიტიკურად და ნივთიერად ჩამორჩნილი ხალხი ჩავარდა უკიდურესობაში.

ს.-დემოკრატიული პარტია მესამე დასის სახელით გაჩნდა ჩვენში ამ 25 წლის წინად ნ. ჟორდანიას ბელადობით. აქ არ შევუდგებით ამ პარტიის დახასიათებას, მის კარგისა და ცუდი მხარეების აღნუსხვას, – ეს მეტად შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პარტიამ დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის თუმცა ცალმხრივ, მაგრამ მაინც ერთგვარ პოლიტიკურად გათვითცნობიერებაში. ამ პარტიამ გააღვივა ქართველ ერში კლასობრივი და წოდებრივი ბრძოლა და ანტაგონიზმი, რასაც მოჰყვა ბევრი არასასურველი შედეგები და ექსცესები, განსაკუთრებით პირველ რევოლუციის დროს 1904-05 წლებში, აგრეთვე წელსაც, მეტადრე ქართლში. ამ პარტიამ დარაზმა ქართველი მუშა-ხალხი, მონათლა პროლეტარის სახელით, შექმნა მათში ორგანიზაციები და შთაბერა რევოლუციური სული. ასევე მოექცა სოფლის გლეხობასაც: ამ წვრილ-მესაკუთრე ბურჟუებს, გაუხდა მათ ქომაგათ და ოპეკუნათ. ამრიგად იკისრა შეუფერებელი როლი და დადგა ყალბ ნიადაგზე, დაიჭირა მერყევი, სახიფათო პოზიცია, მაგრამ ეს გლეხობა, ეს ქართველი ერის თითქმის 90 პროც. საჭირო იყო ამ პარტიისათვის ხმების მისაცემათ, მით ძალა-გავლენის და უფლება-ბატონობის მოსაპოვებლად. მიზანს მიაღწევს კიდეც, ამიტომაც არის, რომ ს.-დემოკრატიული პარტია გადასცდა დიდად თავის სფეროს და ეგრე მაგრათ ებღაუჭება სოფლის გლეხობას, რომელთაც არ შეუძლიათ გაიაზრონ ს.-დემოკრატების სიმბოლო სარწმუნოებისა, მათი პროლეტარულ-კოსმოპოლიტური არს-

ალობად და რა მწარე შედეგები მოაქვს „მხედველობის“ ამგვარ დეფექტს. ცხადია, ასევე მწარედ გამოემშვიდობა იგი იმ ილუზიასაც, რომ ოდესმე იარსებებს ქვეყანა, რომელსაც „გონიერი მწერლობა წინამძღვრობს“ და იმ მითსაც „ქართველთა უმარცხებლობის“ თაობაზე, რომლის სასწაულმოქმედ ძალაშიც ესოდენი პათოსით არწმუნებდა თავის თავსაც და თავის თანამემამულეებსაც.

არც კი მეგულება ერთი საუკუნის წინ დაწერილი სხვა პუბლიცისტური წერილი, ასეთი ინტერესით რომ იკითხებოდეს და ასეთი ჭკუის სასწავლებელი რომ იყოს დღეს, როგორიც არის ნიკო ნიკოლაძის „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“. დიახ, ჭკუის სასწავლებელი – თავისი ისტორიზმის განცდითაც, თავისი ეროვნული ღირსების მამკვიდრებელი სულითაც, თავისი მწარე წვდომებითაც, თავისი აზროვნების მასშტაბითაც, მაგრამ, ვაი, რომ – თავისი „უკვდავი“ ილუზიებითაც...

ზაზა აბზიანიძე

ხედვა, პროგრამა და მისწრაფებანი.

ეჭვს გარეშეა, რომ გლეხობა მალე შეიგნებს ამ შეცდომებს და ზურგს შეაქცევს თავის ოპეკუნებს.

იძულებული ვართ აღვნიშნოთ ორი დიდი შეცდომა, რაც დაუშვეს ჩვენთან ს.-დემოკრატებმა და რაც გამომდინარეობდა მათ კოსმოპოლიტიკურ მრწამსით და ცენტრალისტურ მისწრაფებით. ჩვენი ს.-დემოკრატები, რუსის ბელადების ზეგავლენით, იმ თავითვე სასტიკად ამხედრდნენ ქართულ-ეროვნულ შემეცნების და პოლიტიკურ თვითმართველობის, ე. ი. ავტონომიის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ბროლა ს.-დემოკრატებისა და იმ პარტიებს შორის, რომელნიც ეროვნულს ნიადაგზე იდგნენ, ხოლო ამ ერთი წლის წინად ს.-დემოკრატებს გამოეყო ერთი ჯგუფი და დაარსდა გაზ. „ალიონი“. ეს ფხიზელი ჯგუფი იმთავითვე დადგა ეროვნულ ნიადაგზე. შეიქმნა ჯერ ავტონომიისა და შემდეგ სრულ სეპარაციის მომხრე (ასეთი ჯგუფი წინადაც იყო).

რუსეთის ამ მეორე რევოლუციის პირველ დღიდანვე საქართველოს ბედ-იღბალი ხელთ იგდეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა („მენშევიკებმა“) და შეიქმნენ ერის მესაჭედ. ისინივე გახდნენ სრულიად ამიერ-კავკასიის ცხოვრების ტონის მიმცემი, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბელადნი და მესვეურნი. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ თავის ენერგიით, ბეჯითობით და ორგანიზაციით ს.-დემოკრატებმა გადააჭარბეს არამც თუ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ სომხებისა და თათრების პარტიებსაც. ს.-დემოკრატების სასახელოთ უნდა აღინიშნოს მათი ბრწყინვალე გამარჯვება სომხებზე ქალაქის არჩევნებში, თბილისის ბატონობისა და პატრონობის ხელში ჩაგდება, მაგრამ იმავე დროს მათი ბნელი მხარეა პარტიული მიკერძოება. ყველა ადგილსა და თანამდებობებზე მხოლოდ თავის კაცების ჩაყენება, იმის მიუხედავად, შესაფერისი არიან თუ არა ეს პირნი იმ ადგილებზე. ასეთ პარტიულ არჩევანს მოჰყვა არასასურველი შედეგი, როგორც ერისთვის, ისე თვით საზოგადოებისათვის.

სახელმწიფო წყობილების მსხვრევაზე აღმოცენილმა რუსეთის რევოლუციამ მალე დაუთმო ადგილი უმეცარ ხალხის აღრევას და ანარქიას, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურულ ეროვნებათა იმთავითვე გამოყოფა და მათ მიერ ცალკე რესპუბლიკების შექმნა. ასე მოიქცნენ ფინეთი, ოსტზეის მხარე, ლატინები, ლიტველები, უკრაინა, ყაზანი და ასე გასინჯეთ, კაზაკები, ბაშკირები და კავკასიონის მთის ხალხებიც კი. ხოლო ასე არ მოიქცნენ ქართველები და ამაში უმთავრესი დანაშაული მიუძღვით ჩვენს ს.-დემოკრატებს, რომლებიც თითქმის დღემდე გახვეულან რუსის ორიენტაციის დამღუპველ ბურანში, ვერ აუღიათ ცხოვრების ალღო და ვერ დამდგარან იმ სწორ გზაზე, რასაც უკარნახებს ისტორიული სინამდვილე და აუცილებლობა.

რუსეთი, როგორც მთლიანი იმპერია, სახელმწიფო თუ რესპუბლიკა, უკვე 7-8 თვეა, რაც დაიმსხვრა და აღარ არსებობს. ამის ნაცვლად აღორძინდნენ სხვადასხვა ეროვნებათა რესპუბლიკები. მათ გვერდით კი სულს ღაფავს ხულიგნათ და „ბოლშევიკად“ ქცეული ველიკორუსთა ნაფლეთები, – ეს ოდესღაც გაბატონებული ერი.



მიუხედავად ამისა, ჩვენს ს.-დემოკრატთა ბელადებს ელანდებათ რუსეთის ძველი დიდება და ოცნებობენ კიდეც მის აღდგენაზე, დღესაც კი ვერ გაუბედიათ მიცვალებულის მკვდრად აღიარება, ზურგის შექცევა და ქართველი ერის ახალი ბედის დამოუკიდებლობის გრდემლზე გამოჭედვა.

რას ნიშნავს მონური სული! რას ნიშნავს ისტორიული დამონება და დაძაბუნება!..

ამ რევოლუციის დროს ქართველმა გადადგა წინ ორი ნაბიჯი. პირველი გაბედული ნაბიჯი იყო წარსული წლის მარტში გადადგმული, როდესაც აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და აღდგენილი კათალიკოსობა. ეს იყო ქართველი ერის ფრიად გაბედული ნაბიჯი, რაც არ მოუწონეს და დაგმეს ჩვენი ს.-დემოკრატების ფანატიკოსებმა.

ერის მეორე შესანიშნავი ნაბიჯი იყო 19 ნოემბერს მომხდარი ეროვნული ყრილობა და ეროვნული საბჭოს შედგენა, რამაც გამოიწვია კოლხეთ-ივერიის დიდი ზეიმი და აღფრთოვანება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის აღფრთოვანება მოშხამა გაბატონებულმა პარტიამ. ე. ი. ს.-დემოკრატებმა, რომელთაც ვერ გაბედეს საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკად აღიარება და ჩასტოვეს ისევ დამხობილი რუსეთის ორიენტაციაში, რამაც მეტად გააბრაზა ოსმალეთი, მთის ხალხები და ჩვენი მეზობელი ადერბაიჯანელი თათრები, გაახარა კი ორჭოფა პოლიტიკის მაწარმოებელი სომხები...

ჩვენმა ეროვნულმა ყრილობამ ს.-დ. ზეგავლენით, ვერ გაბედა და ვერ გამოაცხადა საქართველოს სუვერენობა, დამოუკიდებლობა, ვერ აეწყო იგი ქვეყანას და ვერ შექმნა ეროვნული მთავრობა. ეს იყო და არის ბელადების უდიდესი შეცდომა და დანაშაული ისტორიის წინაშე. ეს იყო უდიდესი მარცხი ქართველი ერის ცხოვრებაში, რასაც მოყვა ამ ბოლო დროს დამღუპველი შედეგები. ჩვენი ეროვნული საბჭო ამის გამო გამოდგა დღენაკლული, უფლებით შეზღუდული და უმოქმედო. ასეთ შეზღუდულ ორგანოსაც კი უბღვერენ ამიერ-კავკასიის სეიმის დარბაზიდან ჩვენი ს.-დემოკრატები და ცდილობენ მის სრულიად გაუქმებას.

ჩვენი ს.-დემოკრატები ისე გაიტაცა რუსებზე და სომხებზე ზრუნვამ, რომ თითქმის სრულებით დაავიწყდათ თავისი უბედური სამშობლო, რომელიც დღეს ყველაზე მეტად საჭიროებს პატრონობას და დახმარებას.

ქართველი ბუნებით რაინდია, მუდამ იყო და არის სხვისი ქომაგი და დამხმარე, მაგრამ ეს რაინდობა ზოგიერთ ქართველის არსებაში გარდაიქმნა სასაცილო დონ-კიხოტობათ. დაავადებული საქართველო დღეს კვნესის და გმინავს, ხალხი გაჭირვებაშია, ირგვლივ აუარებელი მტრები შემოგვხვევია და გვემუქრის განადგურებით. ამ დროს კი ზოგიერთი ჩვენი ძმები, კუდა ხარივით ბუზებს უგერიებენ, ბჭობენ და ზრუნავენ ჰაიკებისა და ველიკორუსების ბედზე, რომელთაც საქართველოსთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ.

ეს ორი თვეა, რაც გაიხსნა თბილისში ამიერ-კავკასიის ერთა სეიმი (საბჭო), შეადგინეს კიდეც სამინისტრო. ორივე ორგანოში ბელადობენ და ბატონობენ ჩვენი ს.-დემოკრატები.

როგორც სეიმი, ისე სამინისტრო შექმნილია ნაძალადევად. ერთ

უღელში შეაბეს ძალად სხვადასხვა რწმენის, კულტურის და მისწრაფების ხალხები, რომლებიც უნებურად ჩავარდნენ კრილოვის იგავ-არაკის გმირების როლში, რომლებშიც ერთი წყლისკენ მიიწევდა, მეორე უკან იხევდა, მესამე ჰაერში მიჰქროდა. ნეტა რა საერთო აქვთ სომხებს და აზერბაიჯანელ თათარს, რომლებიც მგლურად უცქერიან ერთმანეთს?! ან რუსსა და აბხაზს?! ან შესაძლებელია ერთი მთავრობა იქ, სადაც მკვიდრთა ერთი ნაწილი (მუსულმანები) იცქირებიან სამხრეთით, ოსმალეთისკენ და იქეთ იშვერენ ხელებს, მეორე ნაწილი კი, სომხები და ქართველი ს.-დემოკრატები შესტრფიან ჩრდილოეთს, საიდანაც ეფინებათ მხოლოდ ცივი ბორიო?! ამიტომ ამიერკავკასიის სეიმი და მისი სამინისტრო უდღეურია, როგორც ხელოვნურად შექმნილი, რაც იშვიათად ეტყობა სეიმის მუშაობას და მათი დაშლა-დაფუშვა ეკუთვნის მოკლე ვადიან დროს.

ჩვენის ღრმა რწმენით, ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია დაარსდეს სამი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა და სახელმწიფო: 1. საქართველოს რესპუბლიკა; 2. სომხეთის რესპუბლიკა; 3. ადერბაიჯანელ თათრების სახელმწიფო. რამდენად ადრე დაარსდება და ჩამოყალიბდება ეს სამი პოლიტიკური ერთეული, მით უკეთესი. ამას მკაცრად თხოვნილობს ამ, სამ მეზობელ ეროვნებათა ინტერესები და ისტორიის ლოღიკა. დროა დავანებოთ თავი სხვადასხვა მავნე ექსპერიმენტებს და ოცნება-უტოპიის ვარდისფერ სფეროდან დავეშვათ რეალურ ნიადაგზე! დროა მივიხედ-მოვიხედოთ, ვისარგებლოთ წარსულით, მივიღოთ სახეში ევროპის მაგალითები და მით შევიგნოთ ისტორიული სინამდვილე...

თუ არ ვცდები, წასულ დეკემბერში ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჩვენს ეროვნულ საბჭოს ზავზე მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე გერმანია ელოდა ჩვენს დელეგატებს ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენმა ოპეკუნებმა – ს.-დემოკრატებმა შეუთვალეს: რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა შევეკითხოთ, მათ სურვილსა და ბრძანებას უნდა დავემორჩილოთო. ეჭვი არაა, ჩვენი ასეთი პასუხი სიბრალულის ღიმილს მოგვრიდა ნემცებსა და ოსმალებს.

შესდგა პეტროგრადში რუსეთის დამფუძნებელი კრება, მაგრამ იგი ხიშტებით და მათრახებით გარეკეს რუსეთის ბოლშევიკებმა და თვით შეუკრეს ნემცებს სამარცხვინო ზავი, გაჰყიდეს რუსეთი და ამიერ-კავკასია, რომელსაც ადრევე მოაშორეს ჯარები. ჩვენდა დაუკითხავად ოსმალებს ეკუთვნის ბათომის ოლქი, ყარსი და არდაგანი, ე. ი. ამიერკავკასიის ფაქტიური ბატონობა.

ამ ორი თვის წინათ ოსმალეთმა კვლავ მოისურვა ჩვენთან ზავზე მოლაპარაკება. ამიერკავკასიის ახლად გახსნილი სეიმი თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას და გაგზავნა ტრაპიზონს მრავალრიცხოვანი დელეგაცია სამივე ეროვნებიდან შემდგარი. დიდის ზავთით და ზეიმით წავიდნენ ამიერ-კავკასიის დელეგატები. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდნენ ოსმალეთის დელაგატებიც და მოსთხოვეს მანდატი ჩვენს დელეგატებს, რითაც ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ეს უკანასკნელნი. ოსმალებს სამართლიანად სურდათ გაეგოთ, თუ ვინ იყვნენ ეს დელეგატები, რომელი სამეფოს ან რესპუბლიკის წარმომადგენელნი, რა დავალებით და უფლებით აღჭურვილნი. სურდათ გაეგოთ, თუ რას წარმოადგენდა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, ცენტრალისტური იყო იგი თუ ფედერალისტური, ვისგან იყო იგი ცნობილი, სუვერენული იყო იგი თუ ვასალური, რა კონსტრუქციის მქონე და სხვა.

ყველა ამ კანონიერ კითხვებზე ოსმალეთის დელეგატებმა მიიღეს მეტად ბუნდოვანი და მიკიბ-მოკიბული პასუხი, რამაც მოჰგვარა მხოლოდ დამცინავი ღიმილი, და ყოველივე ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამიერ-კავკასიის სეიმი და ცენტრალურ რესპუბლიკის დაარსება იყო ხელოვნური, მექანიკურად; ამავე დროს სეიმმა ვერ გაბედა და ვერ გამოაცხადა აშკარად ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ეს ძირითადი საკითხი გადასცა კომისიას დასამარხავად.

სეიმის ასეთმა ყალბმა პოლიტიკამ გამოიწვია ადერბაიჯანელ თათრების წარმომადგენელთა და ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა სამართლიანი პროტესტი თვით სეიმშივე და შეიქმნა არასასურველი სიტუაცია ტრაპიზონში გაგზავნილ დელეგატებისათვის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ოსმალეთი არ სცნობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას, არც ხელსაყრელია მისთვის. მას თავის საკუთრებად მიაჩნია და სურს შემოიერთოს ადერბაიჯანი და სომხეთის ნაწილები. როგორც სჩანს, ამაში დასტურს სცემს გერმანიაც. დარჩა საქართველო, რომელთანაც სურს ოსმალეთს ზავის შეკვრა და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ საქართველოს სახელით ოსმალეთს არავინ ელაპარაკება; თვით ქართველ დელეგატებს ტუჩზე აკერიათ მხოლოდ ამიერ-კავკასიისა და სომხების ინტერესების დაცვა. ასეთმა სიყალბემ გამოიწვია ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა, ჯარებით შემოჭრა ამიერ-კავკასიის საზღვრებში, ზავზე მოლაპარაკების დროს; მას სურს ძალით დაპყრობა ყარსის, არდაგანის და ბათომის ოლქებისა. ამავე დროს ცინიკურად გვეუბნებიან: მოაწერეთ ხელი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასაო. ამრიგად ოსმალები გვიგდებენ მასხარად და ეს მასხარად აგდება სავსებით დავიმსახურეთ ჩვენი შეუგნებელი მოქმედებით.

დღეს ძლიერი ოსმალეთი ემუქრის ამიერ-კავკასიას. მას ჰსურს წაგვართვას სამხრეთით ორი დიდი სიმაგრე და დასავლეთით საუკეთესო ბოღაზი, შავი ზღვის კარები ბათომი. ამ საქმეში ოსმალეთს ხელს უწყობენ თვით ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ერები, რომლებიც არ მალავენ თავის სიმპათიას ოტომანის იმპერიისადმი.

დავრჩით ორი მილიონი ქართველი. შევძლებთ კი ძლიერი მტრის მოგერიებას? გვყავს კი ამისთვის საკმაო ჯარი, აღფრთოვანებული პატრიოტული გრძნობით? გვაქვს საკმაო ფული, სურსათი და სამხედრო მასალა? რისთვის ან ვისთვის უნდა ვიბრძოლოთ ქართველებმა? ვიცით, რომ ოსმალები ჩვენს წინააღმდეგ არ არიან ამხედრებული; მათი მიზანი სულ სხვაა...

მართალია, ჩვენი ტურფა სამშობლო დღეს დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, მაგრამ არ გვეშინია. ქართველი ერი მუდამ განთქმული იყო თავის გმირობით და ვაჟკაცობით. იგი არაერთხელ შებმია ათჯერ და ოცჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერს, მაგრამ საარაკოთ გაუმარჯვნია. ეს გმირული სული დღემდე შერჩენია ქართველ ერს, რაც ნათლად დაამტკიცა ამ მსოფლიო ომის დროს და ახლაც შავი ზღვის ფლოტის ხელში ჩაგდებით. ოსმალთა შემოტევამ გა-

მოაფხიზლა ქართველი ერი და აღძრა მასში პატრიოტული გრძნობა. განსაკუთრებით დიდი მზადება და აღფრთოვანება ეტყობა დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად კი გურიას. ქართველი თვით არავის ერჩის, სხვას არავის შეესევა, მაგრამ ძვირად დაუსვამს მტერს შემოსევას და ოჯახის აწიოკებას. ამ დროს ქართველი იქცევა ლომად, უძლეველ გმირად და მუდამ ამარცხებს უძლიერეს მტრებსაც კი. ამის მაგალითი კი აურაცხელია ჩვენს წარსულში. ახლაც მწამს, რომ ქართველი ამ დიდი განსაცდელის დროსაც გამოვა გამარჯვებული, მაგრამ თანაც მჯერა, რომ ასე არ გამწვავდება მდგომარეობა და კეთილგონიერი ოსმალეთი მორიგებით გაათავებს საქმეს. ამ კეთილ გონიერებას და პოლიტიკურ შორს ჭვრეტას გამოიჩენენ ჩვენი დელეგატებიც და ამრიგათ ტრაპიზონში მოლაპარაკება მალე დამთავრდება ურთიერთ დათმობით და ურთიერთ ზავით.

ზაზა აბზიანიძის პუბლიკაცია.

ახალი თარგმანები

ბერნჰარდ შლინკი

შაქრის მუხუდო

როცა თომასმა დაინახა, რევოლუციას არა და არ ადგება საშველიო, გაიხსენა 1968 წლამდე არქიტექტურას რომ ეუფლებოდა, სწავლა განაგრძო და დაასრულა კიდეც. ვიწრო სპეციალობად სახურავების რეკონსტრუქცია აირჩია. ზვერავდა სახურავებს, ეძებდა დაინტერესებულ პირებს და ზრუნავდა დაპროექტებაზე, მშენებლობის ნებართვასა და მიმდინარეობაზე. მანსარდები მოდაში იყო და თომასი კარგად ართმევდა თავს საქმეს. რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მეტი სახურავი და დაინტერესებული პირი დაუგროვდა, ვიდრე მოერეოდა. თუმცა მობეზრდა ეს საქმიანობა. სახურავები და მეტი არაფერი?

ერთ დღეს განცხადებას წააწყდა გაზეთში. კონკურსი ცხადდებოდა შპრეეს ხიდზე. ჯერ კიდევ ბავშვობაში ახდენდა მასზე დიდ შთაბეჭდილებას ძველი ხიდი რაშტატში, ღირსებით სავსე რომ დაყრდნობოდა სქელ ბურჯებს მურგის კალაპოტში; ამაყად მდგარი რკინის ხიდი კიოლნში, რომელზედაც გაუთავებლად მიმოდიოდნენ მატარებლები და ზღვაზე მოქანავე მსუბუქი გოლდენ-გატე-ხიდი. რა პატარები ჩანდნენ იქიდან დიდი გემები. წიგნი ხიდებზე, რომელიც კონფირმაციის დღეს მიიღო საჩუქრად და არაერთხელ წაეკითხა, ბიუროში ინახებოდა სხვა წიგნებთან ერთად. დაჯდა და დააპროექტა თვალად მყიფე ხიდი, რომელზედაც ქვეითად მოსიარულეები შიშით თუ გაბედავდნენ ფეხის შედგმას, მძღოლებს კი, მათდა უნებურად, ნელა და ფრთხილად უნდა ემოძრავათ, რადგან თომასი თვლიდა, რომ არ შეიძლება ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა, თითქოს აქ არაფერიაო, ხიდზე მოსიარულეებსაც არ უნდა მიეღოთ ეს ჩვეულებრივ ამბად.

ყველას გასაოცრად მეორე პრემია დაიმსახურა. გარდა ამისა, ვეზერის ხიდის კონკურსში შესთავაზეს მონაწილეობის მიღება. ვეზერის ხიდის დაპროექტება, სხვა კონკურსებში მონაწილეობა ისე, რომ სახურავებისთვის თავი არ დაენებებინა, მეტისმეტი იყო. ამიტომ პარტნიორად იუტა გაიხადა, რომელმაც მის ბიუროში გაიარა პრაქტიკა და ის-ის იყო დიპლომი მიიღო. იუტა სახურავების რეკონსტრუქციით იყო დაკავებული, თომასი ხიდებს აგებდა. როცა იუტა დაფეხმძიმდა, დაქორწინდნენ და იმავდროულად მშვენიერ მანსარდაში შესახლდნენ, რომელიც მათმა ბიურომ ააშენა. დამკვეთი ავად გახდა და დაკვეთაზე უარი თქვა. ხედი ტერასიდან შპრეეზე და ტირგარტენზე იშლებოდა და რაიხსტაგსა და ბრანდერბურგის ჭიშკარს სწვდებოდა. სახურავის ბაღიდან დასავლეთით ჩამავალი მზის დანახვაც შეიძლებოდა.

შემდეგ ხიდებიც აღარ აკმაყოფილებდა. წარმატება, შემოსავალი, ბიურო და ოჯახი ეზრდებოდა და მაინც რაღაც აკლდა. თავდაპირველად არ იცოდა, რა. ეგონა, პროფესიული გამოწვევა მჭირდებაო და კიდევ უფრო მეტს მუშაობდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეძალებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ერთხელ, როცა ზაფხულში შვებულებით იტალიაში მყოფმა ხიდების ნახაზების შექმნის ნაცვლად მათი ხატვა დაიწყო, რაც ძალიან მოეწონა, გააცნობიერა, რომ ხატვა აკლდა. სკოლის და სტუდენტობის წლებში ხატავდა, ხატავდა, სანამ არ გაიფიქრა, არქიტექტურულ პროექტებშიც ვიპოვი სიხარულსო. ასეც იყო. მაგრამ შემდეგ, ისე, რომ ვერ ხვდებოდა, კვლავ მონატრებოდა ხატვა.

ერთბაშად მოწესრიგდა სამყარო. რაკი არქიტექტურა მისთვის უკვე ყველაფერს აღარ წარმოადგენდა, შეეძლო უფრო მსუბუქად მოჰკიდებოდა მას. რაკიღა მან, როგორც არქიტექტორმა, უკვე მოიპოვა წარმატება, აღარ სჭირდებოდა წარმატება ეძია, როგორც მხატვარს. ჰოდა, არ აღელვებდა მოდა და ტენდენციები. უბრალოდ ხატავდა, ხატავდა იმას, რაც სიამოვნებდა: ხიდებს, წყალს, ქალებს და ფანჯრებიდან დანახულ ხედებს.

* * *

შემთხვევით ჰამბურგელი გალერისტი ქალი გაიცნო. ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ თვითმფრინავში, რომელიც ლაიფციგიდან ჰამბურგში მიფრინავდა. ქალი თავისი ერთ-ერთი ფილიალიდან სახლში ბრუნდებოდა, თვითონ ერთი სამშენებლო ობიექტიდან მეორისაკენ მიეშურებოდა. თომასმა ნახატებზე ჩამოუგდო საუბარი, რამდენიმე კვირის შემდეგ კი თავისი სურათებით ესტუმრა და რამდენიმე იქვე დახატა მისი შეკვეთით. ერთ დღეს, მისდა გასაოცრად და სასიხარულოდ, გალერეაში გამოფენილი იხილა ისინი. ქალმა, იმ საბაბით, რომ გალერეის რეკონსტრუქციას აპირებდა და მისი რჩევა სჭირდებოდა, ჰამბურგში იხმო იგი. ჰამბურგში ჩასულს მისი სურათები დარბაზში ჩამოკიდებული და, რაც მთავარია, ვერნისაჟისათვის განკუთვნილი დაუხვდა. ოთხი საათი იქნებოდა, გალერეაში რომ მივიდა. ხუთზე პირველი სტუმრები გამოჩნდნენ, რვაზე პირველი სურათები გაიყიდა. ცხრა საათისათვის ვერონიკა და თომასი ისე იყვნენ შამპანურით, წარმატებით და ერთმანეთით მთვრალნი, რომ ვერნისაჟის დამთავრებას არ დალოდნენ, ისე გაემგზავრნენ ვერონიკას სახლში. დილით თომასმა იცოდა, რომ იპოვა თავისი ოცნების ქალი.

როცა ღამენათევი და ბედნიერი მატარებლით ბერლინში ბრუნდებოდა, იმ საუბრისათვის ემზადებოდა, იუტასთან რომ ელოდა. ეს არ იქნებოდა ადვილი. თორმეტი ერთად გატარებული წელი. კარგი და ცუდი დღეები. დარდი და ზრუნვა ბავშვებზე, იუტას მძიმე ორსულობა, როცა გოგონაზე იყო ფეხმძიმედ, ბრძოლა პროფესიული წარმატებისათვის, იუტას ერთი სასიყვარულო გატაცება, ორი – თავისი. ყველაფერს გაუძლეს, ყველაფერი დაძლიეს. ეჩვენებოდა, ერთმანეთს შევეზარდეთ, იუტა ჩემი ნაწილია, მე კი – მისიო. ყოვ-

ელთვის გულახდილნი იყვნენ ერთმანეთთან. გულახდილნი იმის გამოც, რომ სამყარო იცვლება, ურთიერთობები მუდმივ მოძრაობაშია და ურთიერთობებთან ერთად – ადამიანებიც. არც ბავშვებთან დაპირისპირება იქნებოდა იოლი. როგორ შეხვდებოდნენ მამასთან განშორებას, მშობლების განქორწინებას და მამის ახალ ცოლს. მაგრამ იუტა ღირსეულად მოიქცევა, ვერონიკაც იპოვის სწორ მიდგომას, სწორ ტონს ბავშვებთან. ის ხომ არაჩვეულებრივი ქალია.

ბერლინში ბევრი არასასიამოვნო ამბავი დახვდა. ანსბაჰერის ქუჩაზე ახალდამთავრებულ მანსარდაში ღამით ცეცხლი გაჩენილიყო, ქალიშვილი სიცხიანი იწვა, ქალი, რომელიც ოჯახურ საქმეებში ეხმარებოდა და ბავშვებს უვლიდა, ორი კვირით პოლონეთში გაგზავრებულიყო ახლობლების სანახავად. საღამოს ათი საათისთვის იუტა და თომასი ქანცგაწყვეტილნი ისხდნენ სამზადში და პიცას მირთმევდნენ.

„რაღაც მინდა გითხრა“, – უკან მოაბრუნა ცოლი, ვახშმის შემდეგ რომ წამოდგა და საძინებელში დააპირა გასვლა.

„გისმენ“.

„ქალი გავიცანი. მგონი შემიყვარდა“.

იუტა ქმარს მიაჩერდა. სახე ჩაუმუქდა. იქნებ დაღლილობის ბრალი იყო? შემდეგ გაიღიმა და ნაჩქარევად აკოცა ქმარს. „მართლა, ჩემო ძვირფასო? ასე იყო ოთხი წლის წინ“, გამოითვალა, „და უფრო ადრე – რვა წლის წინ“. ერთხანს იდგა და იატაკს დაშტერებოდა. თომასს ვერ გაეგო, რაღაცის თქმა სურდა, თუ ელოდა, ქმარი ეტყოდა რამეს. „ჩაკეტავ რეგულას ოთახში ფანჯარას?“ – ჰკითხა ბოლოს.

თომასმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. გოგონას ჯერ კიდევ ჰქონდა სიცხე. სანამ საბანს უსწორებდა და მძინარეს დასცქეროდა, იუტა ლოგინში შეწვა. თომასს ბავშვურ საქციელად მოეჩვენა ტახტზე დაეძინა საერთო ოთახში, რაც განზრახული ჰქონდა. გაიხადა და საწოლის მისთვის განკუთვნილ მხარეზე დაწვა. ნახევრად მძინარე იუტა ქმარს ჩაეხუტა.

„შავგვრემანია ჩემსავით?“

„ჰო!“

„ხვალ მიამბე მასზე“.

* * *

ვერონიკა თომასს არ აჩქარებდა. ესმოდა, რომ იუტასთან განქორწინების დრო არ იყო, სანამ რეგულა ავადმყოფობდა, სანამ ბავშვების მომვლელი ქალი პოლონეთში იმყოფებოდა, სანამ იუტა ხანძრის შედეგების ლიკვიდაციით და ორი ახალი თანამშრომლის სამუშაოში ჩართვით ისე იყო დაკავებული, თავის მოსაფხანად არ ეცალა, სანამ თომასი ჰუძონზე ახალი ხიდის დაპროექტებაზე მუშაობდა. ბოლოს და ბოლოს, ჰამბურგის გალერეა და მისი ფილიალები ლაიფციგსა და ბრიუსელში ვერონიკასაც თავზე საყრელად უჩენდა საქმეს. გარდა ამისა, იმ ქალებსაც არ განეკუთვნებოდა, კალთაზე გამოკერებული რომ სურთ ჰყავდეთ ქმრები. განა საკმარისი არ არის, თომასისა და იუტას ქორწინებიდან გარსის მეტი რომ არაფერი

დარჩა და ისიც ბიუროსა და ბავშვების წყალობით? რომ პირადი ცხოვრებით თომასი მასთან ცხოვრობს და ყოველ თავისუფალ წუთს მასთან ატარებს? არდადეგები თომასმა გაანაწილა. ერთი კვირა იუტასთან და ბავშვებთან ერთად თხილამურებით სრიალში გაატარა, შემდეგ ის და ვერონიკა მიუნხენიდან ფლორიდაში გაფრინდნენ, სადაც გალერისტს ბინა ჰქონდა. ზაფხულში ათდღიან ველოტურში იყო ვაჟებითურთ, ორი კვირით კი ვერონიკას გაჰყვა პელოპონესში სამოგზაუროდ. შობის დღესასწაულს სახლში შეხვდა, ახალ წელს – ჰამბურგში. ვერონიკამ თავის უზარმაზარ ბინაში ატელიე მოუწყო და ისიც ხატავდა. ოჯახი გაგებით ეკიდებოდა იმას, რომ თომასს ხატვისათვის განმარტოება სჭირდებოდა და არავის არ უნდა სცოდნოდა, საითკენ გაუწევდა გული.

გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი და 15 იანვარს ერთი წელი შესრულდა ვერნისაჟიდან. ვერონიკამ მეორე გამოფენა თომასის სურათებით გახსნა. მომდევნო დღეს ისევ მატარებლით დაბრუნდა თომასი ბერლინში, მაგრამ არც ისე ღამენათევი და ბედნიერი, როგორც ერთი წლის წინ. თუმც მაინც ბედნიერი, მიუხედავად იმისა, რომ სწორად არ მიაჩნდა თავისი გაორებული ყოფა. ასე ცხოვრება არ შეიძლება, არ შეიძლება ასე მოექცე ქალებს, არ შეიძლება ნახევრად ეკუთვნოდე შვილებს. რა მოხდება, ვერონიკას რომ ბავშვი ეყოლოს? ვერონიკას მისთვის არ უთქვამს, მაგრამ შეამჩნია, რომ ქალი თავს აღარ იცავდა. მტკიცედ გადაწყვიტა, იუტას დალაპარაკებოდა, მაგრამ სახლში ყველაფერი ძველებურად დახვდა. არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, სწორედ ახლა ესაუბრა დაცილებასა და განქორწინებაზე. როცა ვახშმობისას მრგვალ მაგიდას უსხდნენ, იცოდა, რომ ოჯახის დაკარგვა არ სურდა. უღელა ბიჭები, ცოტათი ველურები, მაგრამ გულღიები და მუდამ მზად მყოფნი, მხარში ამოგიდგნენ; ქალიშვილი – მისი ქერათმიანი ანგელოზი და იუტა – გულითადი, დიდსულოვანი, ეფექტური და უცვლელად მიმზიდველი – თომასს უყვარს ისინი და რატომ უნდა დათმოს?

მეორე წელს ვერონიკას ქალიშვილი შეეძინა. თომასი გვერდით ჰყავდა მშობიარობისას და შემდეგაც იმდენჯერ ინახულა, რამდენჯერაც ამის უფლება მისცეს. დანარჩენ დროს ვერონიკას და კლარას საავადმყოფოდან გამოყვანამდე სახლში იჯდა და ხატავდა. ორი კვირით დაემშვიდობა ბერლინს. ორ კვირაში ჰამბურგის ბინა ოჯახად ექცა, მეორე ოჯახად, ისე, რომ ბერლინის ბინას არ შეუწყვეტია მის ოჯახად ყოფნა. მაშ, უკვე იქაც შინ იყო და აქაც.

ყველაფერი უკვე დამღლელი ხდებოდა. ვერონიკას ის სჭირდებოდა. ქალის გაღიზიანებული, დაყენებული მომთმენი ტონი ჭკუიდან შლიდა, ხოლო უგულო დამოკიდებულება არა, მაგრამ არასაკმაო ნდობა, თითქოს მოქმედების ეგოისტური სტატისტი ყოფილიყო მხოლოდ, გულს სტკენდა.

„არ ვიცი, ყოველივე ამას როგორ გავუმკლავდე“, – აყვირდა ვერონიკა ერთ დღეს. „ისიც ვერ გამიგია, ჩემი მდგომარეობა უფრო იოლი და მშვენიერია, თუ შენი ცოლის“. შემდეგ ატირდა. „ამჟამად

მე მაქვს სირთულეები. ვიცი, ასე არ იქნებოდა, მართლა ერთად რომ ვყოფილიყავით. არასდროს გაჩქარებდი, მაგრამ ახლა ვაკეთებ ამას. ჩემი და ჩემი ქალიშვილის გამო. პირველ წლებში განსაკუთრებით სჭირდები მას. შენი შვილები ბერლინში უკვე კარგა ხანია გამოვიდნენ ამ ასაკიდან“

იქ – სახლში, ბერლინში – უტაც აჩქარებდა. მათ არასოდეს გაუყვიათ სარეცელი. არც კლარას დაბადებამდე და არც დაბადების შემდეგ. თომასს ძველებური ვნება დაუბრუნდა. როცა ღონემიხდილნი და დაკმაყოფილებულნი ერთმანეთის გვერდით იწვნენ, იუტა ნიუ-იორკის პროექტებზე ესაუბრებოდა. არ სურს თავად ააგოს ხიდი ჰუძონზე? სიცოცხლეში ერთხელ მაინც თავად უხელმძღანელოს ხიდის მშენებლობას? ორი ან სამი წლით, რომელიც ხიდის მშენებლობას დასჭირდება, ყველანი ნიუ-იორკში გადასახლდნენ? ბავშვები იქაურ სკოლაში მიაბარონ? პარკთან მდებარე ის მშვენიერი ბინა იქირაონ, უკანასკნელი მოგზაურობისას რომ ნახეს? იუტას ტონი არ იყო მომთხოვნი, მაგრამ თომასი ხვდებოდა, ცოლს აღარ სურდა ამჟამინდელ სიტუაციაში ყოფნა და მის შეცვლას ესწრაფვოდა. ესეც დამღლელი იყო.

ამდენი ველარ აიტანა და შემოდგომაზე სკოლისა და სტუდენტობის დროინდელ მეგობართან ერთად რამდენიმედღიანი გასვლა მოაწყო ბუნებაში, კერძოდ, ვოგეზენში. ფოთლები ჭრელი იყო, მზე – ჯერ კიდევ თბილი და მიწა, წინა წვიმიანი კვირის გამო – მძიმე და სურნელოვანი. ბილიკებს გერმანია-საფრანგეთის საზღვრებამდე მიუყვებოდნენ. ღამეს პატარა სასტუმროებში ან ხეობის რომელიმე სოფელში ათევდნენ. მეორე საღამოს სასტუმროში ორ სტუდენტ გოგონას შეხვდნენ. ისინიც გერმანიიდან იყვნენ. ერთი ხელოვნების ისტორიას ეუფლებოდა, მეორე – სტომატოლოგიას. მესამე საღამოს შემთხვევით კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთად მეტად მხიარულად, ხალისიანად და უდარდელად გრძნობდნენ თავს, როცა თომასის მეგობარმა ხელოვნების ისტორიკოსი თავისთან წაიყვანა, თომასი გოგონების ოთახში მარტო აღმოჩნდა სტომატოლოგთან. ასე უნებურად გაიყვეს ქალები. ქერათმიან ჰელგას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ნაზ, ნერვიულ აგებულებას, დახვეწილ მომხიბლაობასა და ენერგიასთან, იუტასა და ვერონიკაში რომ გაერთიანებულიყო. იგი იყო დიდი, ისე ქალური, ისე მიმზიდველი, ისე ახარებდა მას და ხარობდა მისით, რომ თომასს ყველა საზრუნავი, დაღლა და გადაწყვეტილებები არარად მოეჩვენა.

მომდევნო დღეს ოთხივემ ერთად განაგრძო ლაშქრობა. შემდეგ კი გოგონები სახლში, კასელში, დაბრუნდნენ. დამშვიდობებისას გამოირკვა, რომ ზამთრის სემესტრისათვის ბერლინში უწევდათ ჩამოსვლა. ჰელგამ თომასს თავისი მისამართი მისცა. „შემეხმიანები?“ თომასმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. როცა ნოემბერში ველარ გაუძლო იუტას გეგმებისა და ვერონიკას საყვედურების მოსმენას, ჰამბურგში ჩვილის ტკბილ სურნელს და ბერლინში ყვინჩილობის ხანაში მყოფი ბიჭების ხმაურს, მეტად ბევრ საქმეს ბიუროში და დროის ნაკლებობას ატელიეში, ჰელგას დაურეკა.

ჰელგასგან ორი ნომერი აკრიფა და ორჯერ იცრუა – სასწრაფოდ ლაიფციგში უნდა გავემგზავროო.

„ორი ცოლი გყავს?“ – სიცილით ჰკითხა ქალმა.

* * *

ჰელგას გარეშე ზამთარს ვერ გადაიტანდა. ქალი შეკითხვებით თავს არ აბეზრებდა, არც ბევრს ლაპარაკობდა. იყო ლამაზი, მგრძნობიარე, ხარობდა მისით საწოლში, მასთან მგზავრობით, ტრაპეზით და მისი საჩუქრებით. თომასი, ბედნიერი ამ ურთიერთობით, ანებივრებდა მას და წამლად ჰყავდა, როცა ყველაფერს ერთად ვერ უმკლავდებოდა.

ასე იყო მანამ, სანამ ჰელგას გამოცდის ჩაბარების ჟამი მოუახლოვდებოდა და პაციენტი დასჭირდებოდა. თომასს სთხოვა პაციენტობა და მანაც ვერ უთხრა უარი, მიუხედავად იმისა, რომ ელოდა განსაკუთრებით მტკივნეულ ნემსებს, განსაკუთრებულად მტანჯველ ბურღს, ცუდ ბჯენებს და უვარგის გვირგვინებს. ფაქტობრივად სულ სხვა რამ მოხდა. არაფერს უკეთებდნენ შეცდომით, არაფერი იყო მტკივნეული ან მტანჯველი. პირიქით, ჰელგას ყოველ ნაბიჯს ჯერ ექიმი-ასისტენტი ამოწმებდა, შემდეგ მთავარი ექიმი, თუ მნიშვნელოვან ან რთულ ნაბიჯთან ჰქონდათ საქმე. ასისტენტის და მთავარი ექიმის ლოდინიც არ იყო უსიამოვნო. ჰელგა და მეორე სტუდენტი გოგონა – ისინი ასისტირებას უწევდნენ ერთმანეთს, ესაუბრებოდნენ და ეხუმრებოდნენ. როცა ჰელგა მუშაობისას დაიხრებოდა, მისი მკერდი სახეზე ეხებოდა. მაგრამ ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდა. თომასი საათობით, მთელი ნახევარი დღე იყო კლინიკაში. თუ ცხრა საათზე ეწყებოდა ვიზიტი, შუადღის ყველა შეხვედრა ეშლებოდა და თუ ორზე, ხუთ საათამდე იქ იჯდა, ვერც მოლაპარაკებაზე მისვლას ახერხებდა, ვერც მშენებლობაზე და ვერც ხელმძღვანელობასთან. იძულებული იყო ყველა შეხვედრა საღამოსთვის გადაეტანა და უფრო მეტი საქმე უქმე დღეებისათვის მოეტოვებინა. ასე რომ, ბერლინისა და ჰამბურგის სტრუქტურა, დიდი ოსტატობით აგებული, შეირყა.

თომასი მიხვდა, რა აუტეხა თავს, რა აუტეხა ჰელგამ და დააპირა ნახევრად შევსებული ფესვებით, ნახევრად გაკეთებული ბჯენებით და გვირგვინებით თავის კბილის ექიმთან მისულიყო და ყველაფერი ორ საათში მოემთავრებინა. როცა ეს ჰელგას გაუმხილა, ქალმა ცივი მრისხანებით უპასუხა – ვეღარასოდეს იხილავს მას, თუ ახლა მიატოვებს განსაცდელში. მართალია, ჯერ არ იცის, რით გადაუხდის ზიანს, მისი წასვლით რომ მიადგება გამოცდას, მაგრამ ისეთ რამეს მოიფიქრებს, არასოდეს დაავიწყდება. თომასს არ სურდა, რაიმე დამუქრებოდა ჰელგას გამოცდას. მან უბრალოდ არ იცოდა, რომ მკურნალობისათვის თავის დანებება ასეთ საფრთხეს შეიცავდა და მაშინვე გამოთქვა მზადყოფნა, გაეგრძელებინა მისი პაციენტობა. ჰელგას ასეთი უხეში რეაქცია, მდგომარეობიდან გამოსვლა სრულიად არ იყო საჭირო. მაგრამ ერთი რამ გაცხადდა: ჰელგას მომხიბლავი ქალურობის უკან სიმტკიცე და სისასტიკე იმალებოდა.

როცა ჰელგამ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა, კერძო კლინიკის პროექტზე ალაპარაკდა. ექიმ-ასისტენტად ყოფნის პერიოდში დაიწყებს მის მომზადებას. არ სურს, როგორც არქიტექტორი მისი თანამონაწილე გახდეს? მასთან ერთად დააპროექტოს და აშენოს? როგორც ფარულმა მეწილემ მასთან ერთად მიაღწიოს წარმატებას და დატკბეს ამ წარმატებით?

„ვის სჭირდება კერძო სტომატოლოგიური კლინიკა?“

„ვის სჭირდება შენი ბინები? ან შენი ხიდები? ან შენი სურათები?“

ქალი გამომწვევად შესცქეროდა, თითქოს სურდა, ეკითხა, საერთოდ შენ ვის სჭირდებიო.

დუმილი სიცილით დაარღვია თომასმა. რა მებრძოლია ჰელგა. საპროექტო და მეწილეობის ხელშეკრულების დადებისას ფრთხილად უნდა იყოს, არ გააცუროს.

ქალი მიხვდა, რომ თომასი მაინცდამაინც სერიოზულად არ მოჰკიდებია მის წინადადებას და შეეცადა, მოთმინებით აეხსნა მისთვის სტომატოლოგიური კლინიკის უპირატესობა კბილის ექიმის პრაქტიკასთან შედარებით.

„შენ ფიქრობ, ჩემი ექიმი ხშირად მგზავნის კლინიკაში, ჩემს სტომატოლოგს კი ჯერ არ გავუგზავნივარო, არა? მაგრამ ბერდები. შენი სტომატოლოგი ყველაფერს ვერ გაგიკეთებს და თუ გაგიკეთებს, ცუდად. კლინიკაში სხვადასხვა სპეციალისტები მოგემსახურებიან, კბილის დაბჯენა დაგჭირდება, პროთეზი თუ პარადონტოზის მკურნალობა“.

ჯერ „საერთოდ, ვის სჭირდები?“ შემდეგ „ბერდები“. თომასი განაწყენდა. მიღებისა და გაცემის განაწილებისას უფრო სიყვარულით მოპყრობა ეკუთვნოდა ჰელგასგან.

ქალმა ეს შეატყო და ენად გაიკრიფა: რა ბედნიერებაა, რომ ის ჰყავს, რომ ის არსებობს მის ცხოვრებაში, როგორი აღფრთოვანებულია მისით, როგორც არქიტეტორით და მხატვრით, რა მამაკაცია, მან აგრძნობინა, რომ ქალია.

მეტის თქმა საჭირო აღარ იყო.

* * *

ზაფხული ენერგიით იყო სავსე. ქალაქს ენერგიულად წაეგრძელებინა ამწე ცისკენ, თხრიდა ხვრელებს მიწაში და ზრდიდა სახლებს. ამინდის ენერგია განტვირთვას ჭექა-ქუხილში პოულობდა. ცხელი დღეები იდგა. შუადღისას ღრუბლები იფანტებოდა, გვიან, ნაშუადღევს კი ცა იქუფრებოდა, ქარი ამოვარდებოდა და მოკიაფე ელვასა და მოგრუხუნე ჭექა-ქუხილის ქვეშ პირველი მძიმე წვეთი ეცემოდა მიწას. ოცი წუთის ან ნახევარი თუ სამი მეოთხედი საათის განმავლობაში კოკისპირულად წამოუშენდა. შემდეგ ქალაქში მტვრისა და წვიმის სუნი დატრიალდებოდა და სიჩუმე ისადგურებდა, სანამ ხალხი, უამინდობას რომ შეერეკა სახლებში, საღამოხანს ქუჩაში არ გამოეფინებოდა. ცოტა ხნით ერთხელ კიდევ დაფერავდა ქალაქს

გვიანი მზის შუქი, ნათელი დაისი უამინდობის სიბნელესა და ღამის სიბნელეს შორის.

თომასი თავს ენერგიულად, მოქნილად, მსუბუქად გრძნობდა. ყველაფერს ახერხებდა, ხიდების დაპროექტებას ჰუძონზე, სურათების სერიის შექმნას, ბიუროში შერბენას. იუტასთან ერთად ორი-სამი წლით ნიუ-იორკში გამგზავრებას გეგმავდა, ვერონიკასთან ერთად – მასთან გადმოსვლას იუტასთან განქორწინების შემდეგ, ჰელგასთან ერთად – იმას, რასაც ქალი თავისი წარმატების ქმნილებას და ნეტარებას უწოდებდა. თომასი ტკბებოდა ჟონგლიორის მაღალი გრძნობებით, ჟონგლიორისა, რომელიც რგოლს რგოლზე უმატებს და ოსტატურად ათამაშებს თითოეულ მათგანს.

შიშთან რა დამოკიდებულებაშია ჟონგლიორი? შიშიც იზრდება რგოლების მატებასთან ერთად? იცის მან, რომ თამაში არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რომ შეიძლება დაიბნეს, რამეს წამოედოს და ყველაფერი ჩაეშალოს? არ იცის ეს? თუ სულერთია მისთვის? თომასი ზაფხულის სიმსუბუქეში თამაშის მსუბუქად დამთავრებას, რგოლების სათითაოდ გვერდზე გადადების შესაძლებლობას ჭვრეტდა. ჰელგას თავაზიანად ეტყვის, რომ ყველაფერმა ჩაიარა, სიამოვნებით დარჩება მის მეგობრად და სიამოვნებით დაეხმარება მას, როგორც მეგობარი, მაგრამ საერთო მშენებლობა, არაოფიციალური მეწილეობა არ გამოვა. ვერონიკასთან მშვიდად მოუწევს საუბარი ალიმენტზე, კლარასთან კონტაქტზე, ატელიეში მის წარმომადგენლობაზე. ვერონიკამ იცის მოლაპარაკება, საქმიანი ქალია. თომასის სურათების სარფიანად გაყიდვით იგი ისევეა დაინტერესებული, როგორც თვითონ – ქალიშვილთან კონტაქტით. იუტას აუხსნის, რომ თხუთმეტი წელი საკმარისია პარტნიორებად დარჩნენ ბავშვებთან დამოკიდებულებაში, ბიუროში, მაგრამ სხვა მხრივ უნდა გაათავისუფლონ ერთმანეთი. რა არის ძნელი იმაში, რგოლები კვლავ ამოიღო თამაშიდან? ჯერ ერთი, მერე მეორე?

აგვისტოში 49 წელი უსრულდებოდა. სამივე ქალს უნდოდა მასთან ერთად ეზეიმა ეს თარიღი. ორი ქალის მოცილებას შეჩვეული იყო, როცა მესამესთან უნდოდა ყოფნა. ასეთივე ადვილი აღმოჩნდა სამივესგან თავის დაღწევა.

მარტომ გაატარა ეს დღე. და იგი „შატალოს“ ჰგავდა. ერთ-ერთ ტბაზე გაემგზავრა ქალაქის კარიბჭესთან, იცურავა, ინებივრა მზეზე, დალია წითელი ღვინო, დაიძინა, ისევ გაცურა. საღამოთი ტბის მეორე ბოლოს ტერასიანი რესტორანი იპოვა. შეექცეოდა საჭმელს, წრუპავდა წითელ ღვინოს და შესცქეროდა მზის ჩასვლას. თომასი კმაყოფილი იყო სამყაროთი და საკუთარი თავით.

წითელი ღვინის ბრალია? მშვენიერი დღის და საღამოსი? პროფესიული წარმატებების და იღბალის ქალებში? ერთი წელი კიდევ აქვს დრო, სანამ ორმოცდაათის შესრულდება და ყველაფერს შეაჯამებს. მაგრამ აქამდე ხომ არაფერი შეცვლილა მისი ცხოვრების წიგნში? თითქმის ოცდაათი წლის წინ გააბა კავშირი სამყაროსთან, რათა უკეთესი და უფრო სამართლიანი გაეხადა იგი. რადგან დედამიწაზე ყველასთვის მოიპოვება საკმაო პური, ვარდები, მურტები, სილა-

მაზე, სიხარული და შაქრის მუხუდო. ჰაინეს შაქრის მუხუდომ ის მაშინ განსაკუთრებულად მოხიბლა, უფრო მეტად, ვიდრე მარქსის კომუნისტურმა საზოგადოებამ. თუმც წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ გამოიყურებოდა, რა გემოსი იყო და როგორ შეეფარდებოდა ნორმალურ მუხუდოს. მაგრამ იმაზედაც არ ჰქონდა წარმოდგენა, როგორ გამოიყურებოდა კომუნისტური საზოგადოება, როგორი გემოსი იყო და როგორ შეეფარდებოდა ნორმალურ საზოგადოებას. დიახ, შაქრის მუხუდო ყველასთვის, როგორც კი პარკები დასკდება.

კვლავ ჩაებას პოლიტიკაში? მწვანეებს შეუერთდეს, სადაც მისი მაშინდელი მეგობრები იყვნენ, თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, სადაც ახლანდელი მეგობრები ეგულებოდა? ისინი მას პოლიტიკური აქტივობისკენ მოუწოდებდნენ. ადმინისტრაციულად გაერთიანებული აღმოსავლეთ-დასავლეთ ბერლინი პოლიტიკურად და არქიტექტურულადაც უნდა შეეზარდოს ერთმანეთს. ერთი ვერაფერს გააწყობს მეორის გარეშე და ორივე – ვერაფერს ისეთი კაცების გარეშე, როგორიც თვითონაა. მამაკაცები – პოლიტიკაში, მას ქალებთან ურთიერთობა ურჩევნია. პოლიტიკურად ანგაჟირებული ქალი, ნიკელისჩარჩოიანი სათვალით და შინიონით, რომელსაც ხშირი წითელი თმა მხრებზე ეყრება, როცა შინიონს მოიხსნის და რომლის თვალები სათვალის გარეშე მომაჯადოებლად და მაცდუნებლად იცქირებიან.

გაეცინა. ეს წითელი ღვინის ბრალი იყო. მაგრამ მარტო წითელი ღვინის? წითელ ღვინოში განა ღრმა სიბრძნე არ არის დამალული, რომელიც მისთვის გაცხადდება, ვინც მას გახსნის? შაქრის მუხუდოს სიბრძნე? ბედნიერი უნდა იყო, რომ შეძლო სხვა გახადო ბედნიერი. თავად უნდა მიაღწიო წარმატებას, ხარობდე მისით, რომ სხვას შეუწყო ხელი წარმატების მიღწევაში და თვით მაშინაც კი, როცა მარტო საკუთარ თავს აბედნიერებ – ყოველი წვეთი ბედნიერებით, რომელიც სამყაროში მოედინება, სამყარო ბედნიერ ადგილად იქცევა, როგორც საკუთარი, ისე სხვისი წვეთებით. არავის არ შეიძლება რაიმე ტკივილი მიაყენო. ის არავის არ მიაყენებს რაიმე ტკივილს.

ასე იჯდა თომასი ტერასაზე. მთვარიანი ღამე იყო. რა კარგია, როცა მიზეზი და უფლება გაქვს კმაყოფილი იყო სამყაროთი და საკუთარი თავით.

* * *

სექტემბერში ნიუ-იორკში მოუწია გამგზავრება. მოლაპარაკებები ხიდის მშენებელ კომპანიასთან რამდენიმე კვირა გაგრძელდა. სტილი, რომლითაც ის მიმდინარეობდა, თომასისათვის აუტანელი იყო. აუტანელი იყო ყალბი შინაურული ტონი – შენობით მიმართვა, ცოლ-შვილზე, გატარებულ უქმე დღეებზე საუბარი, თბილი მისალმება დილაობით. აუტანელი იყო ერთი დღის მოლაპარაკების ზეპირად მიღწეული შედეგები მომდევნო დღეს პროექტში წერილობით მხოლოდ ნახევრად რომ აისახებოდა და მეორე ნახევარს ხელახლა სჭირდებოდა მოლაპარაკება. გარდა ამისა, ნიუ-იორკში სამუშაო

დღის დამთავრების შემდეგ ტოკიოში ეწყებოდა სამუშაო დღე. ტოკიოელ პარტნიორთან ტელეფონით დილამდე უწევდა ამა თუ იმ საკითხის განხილვა.

ერთ დღეს მოთმინების ფიალა აევსო. ნიუ-ჯერსისთან არსებობდა პოლიტიკური პრობლემები, რომლის გადაჭრა მხოლოდ გუბერნატორს შეეძლო. როცა ცხადი გახდა, რომ გუბერნატორი იმავე დღეს არ აპირებდა მის მოგვარებას, უაზროდ მიიჩნია სხვებთან ერთად ჯდომა და ლოდინი და ქალაქში გავიდა.

კარგა ხანს იხეტიალა, გაისეირნა პარკში, მუზეუმს სტყორცნა მზერა, ჩაუარა სახლს, რომელშიც იუტა იცხოვრებდა სიამოვნებით, გადაიარა უბანი, სადაც მხოლოდ ესპანური ესმოდა და ბოლოს, დიდი ეკლესიის პირდაპირ იპოვა კაფე, რომელიც მოეწონა. ეს არ იყო ელეგანტური კაფე, სადაც სწრაფად გემსახურებიან, მაგრამ ასევე სწრაფად გიწერენ ანგარიშს, გადაგახდევინებენ ფულს და გაგისტუმრებენ. სტუმრები ისხდნენ, წერდნენ, კითხულობდნენ, როგორც ვენის კაფეებში. თითქოს სიჩქარე არ არსებობდა. ტროტუარზე ყველა მაგიდა დაკავებული იყო და თომასი შიგნით შევიდა.

გზაში სამი ღია ბარათი იყიდა. „საყვარელო ჰელგა, – ჩაწერა პირველში, – ქალაქი ცხელია და ხმაურიანი. ვერ გამიგია, რითი იმსახურებს მოწონებას. მომბეზრდა მოლაპარაკებები, მომბეზრდნენ ამერიკელები და იაპონელები, მომბეზრდა ჩემი ცხოვრება. ხატვა მენატრება და ყველაზე მეტად შენ მენატრები. როცა დავბრუნდები, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, კარგი?“ მიყვარხარო, დაამატა და ხელი მოაწერა წერილს. თვალწინ წარმოუდგა ჰელგა – მშვენიერი, მგრძნობიარე და ამავე დროს მკაცრი, ანგარიშიანი, თუმცა გაანგარიშებას დაქვემდებარებული, ხშირად უგულო და მაინც სიყვარულს მოწყურებული და სიყვარულისათვის მზადმყოფი. აჰ, მასთან გატარებული ღამეები!

„საყვარელო ვერონიკა“, დაიწყო მეორე ბარათი და აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა. უკანასკნელი შეხვედრისას ჩხუბით დასცილდნენ ერთმანეთს. ვერონიკა უსამართლოდ მოექცა, მაგრამ იცის, რომ სასოწარკვეთამ გააკეთებინა ეს. ქალი კართან იდგა და უყვიროდა, ეშმაკსაც წაუღიხარო. შემდეგ ელოდა, თომასი დაბრუნდება, მომეხვევა და ყურში ჩამჩურჩულებს, ყველაფერი კარგად იქნებაო. „როცა დავბრუნდები, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, კარგი? მენატრები, ხატვა მენატრება, მაგრამ შენსავით არავინ და არაფერი. მომბეზრდა ასეთი ცხოვრება. მომბეზრდა სამუშაო, მოლაპარაკებები. მომბეზრდნენ ამერიკელები და იაპონელები. ქალაქი მომბეზრდა. ცხელა. ვერ გამიგია, რა მოსწონთ მისი. მიყვარხარ. თომასი“.

მესამე ბარათზეც ბრუკლინის ხიდი იყო გამოსახული ჩამავალი მზის შუქზე. თომასი დიდხანს ფიქრობდა, რა მიეწერა ცოლისთვის. „საყვარელო იუტა, – დაიწყო ბოლოს, – გახსოვს ქალაქი გაზაფხულზე? ახლა აქ ხმაურია და ცხელა, ვერ გამიგია, რით იმსახურებს მოწონებას. ამერიკელები და იაპონელები, რომლებთანაც გაუთავებლად ვაწარმოებ მოლაპარაკებებს, მომბეზრდნენ. ჩემი ცხოვრებაც

მომბეზრდა, რადგან ხატვისთვის და შენთვის ადგილი აღარ რჩება მასში. მიყვარხარ და მენატრები. როცა დავბრუნდები, თავიდან დავიწყოთ ყველაფერი, კარგი?“ იცოდა, როგორ გაიღიმებდა იუტა კითხვისას. გაიღიმებდა განცვიფრებული და ბედნიერი, თუმცა ცოტათი სკეპტიკური. ამ ღიმილზე ოცი წლის წინ იყო შეყვარებული და მას იგი დღესაც აჯადოებდა. მარკები დააკრა ბარათებს. ქურთუკი სკამის ზურგზე გადაკიდა, გაზეთი მაგიდაზე დადო, საფოსტო ყუთისაკენ გაეშურა ქუჩის მეორე მხარეს. ბარათები ჩაყარა და თავის მაგიდასთან დაბრუნდა.

იჯდა და ღია ფანჯრიდან ტროტუარის ფუსფუსს გასცქეროდა. მხოლოდ რამდენიმე მეტრი აშორებდა ფეხით მოსიარულეებს, შეეძლო დაეძახა მათთვის, გამოლაპარაკებოდა მათ, რამდენიმე ნაბიჯი და თავად აღმოჩნდებოდა ერთ-ერთი მათგანი – ფეხით მოსიარულე ტროტუარზე, ან, პირიქით, რამდენიმე ნაბიჯი და ისინი კაფეში შესვლას და მაგიდასთან დასხდომას შეძლებდნენ, იქნებ მის პირდაპირ ან გვერდითაც. აი, ერთმა ტროტუარიდან კაფეში შემოუხვია, დახლთან ნამცხვარი და ყავა შეუკვეთა, დატოვა თავისი სახელი, იპოვა მაგიდა, ამოიღო წიგნი, ქაღალდი, ფანქარი და აქეთო, ანიშნა ოფიციანტს, როცა ამ უკანასკნელმა შეკვეთილი ნამცხვარი და ყავა ლანგარზე დადო და მისი სახელი დაიძახა – ტომ. მასაც ტომი რქმევიაო.

ისევ გარეთ იცქირებოდა. ტროტუარზე სიცოცხლე ჩქეფდა, რას აკეთებდნენ ადამიანები? ბუნებრივია, იცოდა მან. აქეთ ორნი ერთმანეთს ეხვეოდნენ, თვალებში შესცინებდნენ და კოცნიდნენ. იქით – დედ-მამა და ბავშვი სავსე ჩანთებით საყიდლებიდან ბრუნდებოდნენ. გაცვეთილ ტანსაცმელში გახვეული შავკანიანი, მარცხნიდან რომ იჭრებოდა მის თვალთახედვაში, მათხოვრობდა. ჯერ ტურისტებმა ჩაიარეს, შემდეგ მოსწავლეებმა და მიხაკისფერ შარვალსა და ხალათში გამოწყობილმა კაცმა, ამანათი რომ მიჰქონდა United Parcel Service-სათვის. მაგრამ რატომ აკეთებდნენ ისინი, რასაც აკეთებდნენ? რატომ შეჩერდა ის მშვენიერი და საყვარელი არსება? იმ უტიფარ დამუწუკებულ სახეს რომ მოხვეოდა? რატომ მოავლინეს მშობლებმა ეს ჭყიპინა სისხლისმწოველი ქვეყნად, რატომ ზრდიან მას და იხარჯებიან მისი საყიდლებისათვის? რატომ არსებობენ თავად ისინი? კაცი, ეტყობა, ხელმოცარული მომეცნიერო ბღენძიაა, ქალი კი უკვე ერთი შვილის გაჩენით ილაჯგაწყვეტილი. რას ელოდება მათხოვარი, რამ აფიქრებინა, რომ რაღაცას უნდა ელოდებოდეს და ვინმეს უნდა აინტერესებდეს? ვის დააკლდებიან უსაფუძვლოდ მხიარული ტურისტები, უცბად რომ შთანთქას მიწამ? ან მოსწავლეები, ახლავე რომ განუტევონ სული? მშობლებს? მაგრამ სულერთი არ არის, დღეს მშობლებს დააკლდები თუ მოგვიანებით შვილებს და კიდევ უფრო გვიან შვილიშვილებს? ნაადრევი სიკვდილის ტრაგიზმი? ის, რომ ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ცხოვრება არ გრძელდება, ისევე ნაკლებად ტრაგიკულად მიაჩნდა თომასს, როგორც ის, რომ დაგვიანებული სიკვდილის შემდეგ არ გრძელდებოდა ან დაბადებამდე არ არსებობდა.

კაცმა, რომელსაც United Parcel Service-სათვის მიჰქონდა ამანა-

თი, წაიბორძიკა და ტროტუარზე წაიქცა. რატომ იწყევლებოდა? თუ სიკვდილი ცუდია, უნდა უხაროდეს, რომ ცოცხალია და თუ სიკვდილი მშვენიერია, მისი მარადიულობის წინაშე სულერთი უნდა იყოს მისთვის აწმყო და ამ დაცემის წამი. მშვენიერმა წყვილმა ჩაიარა. ტანწერწეტებმა, მხიარულებმა, ჭკვიანი, ფხიზელი სახეებით. ქალი არ ეხუტებოდა უტიფარ, დამუწუკებულ სახეს და ვაჟი მოხდენილ, საყვარელ შტერუკას. მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა უკეთესობისაკენ. ლაპარაკი იმაზე კი არ იყო, რომ ამაოება და უბადრუკობა თვალში საცემია, თომასი მას იქაც ხედავდა, სადაც ის უხილავი იყო, ის მას ყველგან ხედავდა.

თავის თავს ეკითხებოდა, იარაღი რომ ჰქონოდა, ხომ არ დაცხრილავდა ყველა ფეხით მოსიარულეს, როგორც მისი ვაჟები ცხრილავენ მოწინააღმდეგეს კომპიუტერში. უსიამოვნებას გადაეყრებოდა და არ სურდა უსიამოვნება. მაგრამ უფრო ახლოს, უფრო რეალურად, უფრო ცოცხლად, ვიდრე ფიგურებს ეკრანზე, თომასი ვერ აღიქვამდა ფეხით მოსიარულეებს ფანჯრის მონაკვეთიდან. ის, რომ ისინიც მასავით ადამიანები იყვნენ, მათთან არ აახლოებდა.

გერმანულიდან თარგმნა **ბელა სურგულაძემ**.

დასასრული შემდეგ ნომერში

შტრიხები პორტრეტისთვის

რენე კალანდია

ღვინისფერი პოეტის სევდა

„შორს რას ეძიებ, ბოლოს მაინც შინ
დაბრუნდები, შენთვის ნაცნობში აღმოაჩენ
უდიადესს ან იმის ბადალს, მახლობლებში
დაინახავ სიტკბოებას, ძალას, სიყვარულს;
ბედნიერებას, სიბრძნეს აქ ჰპოვებ და
სხვაგან ვერსად, და თან ოდესმე კი არა, ახლა“.
უილიამ ბატლერ იეიტსი

ზურაბ გორგილაძე...

თითქმის სამი ათეული წელი ვმეგობრობდი ამ საოცრად ღვინისფერ პოეტთან („ღვინისფერი ზღვა“ – **ჰომეროსის** გამოთქმაა), რომელიც ჩემთვისაც კარგად ნაცნობი გულისტკივილით წერდა: „საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე“.

რა არის ეს? – სამართლიანი საყვედური თუ პოეტური სინანულის განცდა?

ალბათ უფრო სინანული და ღვინისფერი სევდაა, რადგანაც სხვა ლექსში პოეტი ამბობს: „და შენს ტაძართან ჩემი ლექსები იდგა აღდგომის მათხოვარივით“. ამ სტრიქონებში ისე მძიმდება პოეტური სიტყვის ლოდი, რომ მისი ზიდვა „ამაოებათა ამაოების“ ბუტბუტს ემსგავსება, დედაქალაქის გამოწვდილი პური ქვად იქცევა და პოეტის ცრემლიც უფრო მლაშეა, ვინემ შავი ზღვის ტალღა. რატომღაც ასე მეჩვენება, რომ ჩემ მიერ ციტირებულ სტრიქონებს სულკურთხეული **ნიკო სამადაშვილიც** მოაწერდა ხელს, ბუხჰალტერად აღსრულებული ნიკო, რომელსაც თავისი გულჯავრიანი ლექსების – ამბოხებული სულის ნაფლეთების დაბეჭდვა არ ეღირსა, რადგანაც, ზურაბ გორგილაძის თქმისა არ იყოს, ისიც მთელი თავისი დღე და მოსწრება, მატრაბაზების ჯირითს ესწრებოდა და მეტი არაფერი. სულძაღლი ბოლშევიკების მიერ ნაწამები **ერეკლე ტატიშვილისგან** კარგად უწყოდა, თუ რას ნიშნავდა **ფრ. ნიცშეს** ამბოხება-ამოკვნესა-ამოძახილი: „მარტოოდენ პოეტი! მარტოოდენ სულელი!“ რადგანაც ქართული ცნობიერება, ოჯახური ყოფა დარღვეული იყო, დედამიწის ერთი მეექვსედი გადაწითლებული და უგუნურთა და უმეცართა ზიზღის მდინარეს **გალაკტიონის** მიხედვით „ცხედრები მოჰქონდა“. ხოლო **ოლია ოკუჯავა** საბჭოთა, თანაც სოციალისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან „ბოლშევიკური მგზნებარებით“ წერდა თავის გენიალურ მეუღლეს, რომ „დანარჩენი მსოფლიოს გაწითლება გარდაუვალია“... ბითური საუკუნე **ტერენტი გრანელს** საგიჟეთში ამწყვდევდა, **მიხეილ ჯავახიშვილისა** და **ტიციან ტაბიძისთვის** ტყვიას ამზადებდა („и пуля отлитая этим рабочим, меня убьёт“ – **ნიკოლაი გუმილიოვი**), ხოლო **შოთა ჩანტლაძისთვის** მხოლოდ წყალგარეულ ლუდს თუ იმეტებდა. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ჭეშმარიტი ხელოვანისთვის სანატრელი ანუ ბედნიერი დრო და ეპოქა ოდითგანვე არ არსებულა, არც არსებობს და არა მგონია მომავალშიც დადგეს. დიდი პოეტის ბედნიერი დრო – ილუზიაა, გაფანტული ოცნებები და საპნის ბუშტია, რადგანაც მის შუბლზე მარადისობის ნიშანია

ფოტოზე ზურაბ გორგილაძე



და არა ამბიციური დაფნის გვირგვინი, რომელიც თვით ღვთაებრივი **ფრანჩესკო პეტრარკას** შუბლსაც ალაქავებს და სკეპტიციზმის ღრუბელივით ფარფატებს დიდი იტალიელი პოეტის თავზე, რადგანაც ჯერ კიდევ **კატულუსმა** ბრძანა: „ვაი, შენ ჩემო საუკუნევ, ცეტო და კახპავ!“

ჩემს წილხვედრ წუთისოფელში გენიალური წიგნებისა და მებრუვე პოეტების გარდა რა შემხვედრია: პირველებთან – მიოცნებია, სხვებთან – მიქეიფია და სიგიჟეებიც ჩამიდენია, მაგრამ ღვინისფერი პოეტებიდან, ორად ორი პიროვნება შემორჩა ჩემს მეხსიერებას: თბილისში **ზაურ ბოლქვაძე** და ბათუმში – ზურაბ გორგილაძე. მათთან ყოველ შეხვედრას, თუნდაც ლექსებსაც, რქაწითელისა და მანავის მოკამკამე ფერი გასდევდა... და რაკი ღმერთის შეწევნის იმედით ამ საწუთროს შემოვრჩი, ძალიან მინდა, თუ დამცალდა, მოგვიანებით ბატონი ზაურის შესახებაც ვთქვა ორიოდე სიტყვა...

სოხუმში ხშირად ჩამოდიოდნენ აჭარელი და იმერელი მწერლები. იმართებოდა პოეტური საღამოები და პურობა. ზურაბ გორგილაძე იმ შეხვედრებიდან დამამახსოვრდა. თბილისშიც ვხვდებოდით ერთმანეთს – საქართველოს მწერალთა ყრილობებზე. ზურაბს ყოველთვის თან ჰქონდა იმ ხანებში დეფიციტური და საკმაოდ ძვირადღირებული ამერიკული „ფილიპ მორისი“ – მაგარ კოლოფში... შესვენებებზე კონიაკს ვწრუპავდით და ჩინებულ სიგარეტს ვაბოლებდით. თბილისურ პრესაში თითქმის არ ვიბეჭდებოდით, მაგრამ ამის გამო „კორვალოლს“ არ ვხმარობდით: დედაქალაქურ იგნორირებას მიჩვეულები ვიყავით და, მორჩა ბაზარი! პოეტური საწუთროს წამიერი ბედნიერების გაელვებაზე თუ უბედობის უსასრულო მელანქოლიაზე საუბარს გავურბოდით: რა აზრი ჰქონდა?!

რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე და ასაკით **გენოსთან** უფრო ახლობელი. მშვენიერი ლექსები მიუძღვნეს ერთმანეთს და უფრო ხშირად ხვდებოდნენ კიდეც.

აჭარაში პირველად 80-იან წლებში ჩავედი. სოხუმში ჩამოსულ თბილისელ ახ. მწერალთან ვიქეიფეთ და მთხოვა ბათუმში წავყოლოდი. ავიკიდე ახ. მწერალი და მისი ძმა – მაგრამ ნასვამი ვიყავი და უარი ვერ ვუთხარი. გადავფრინდით. ბათუმში ზურაბს დავურეკე. მითხრა, ნახევარ საათში მოვალო. მოვიდა. სანაპიროზე შევხვდით ერთმანეთს. მაშინ გამაცნო **შოთა ზოიძე** და ერთ-ერთი ოპერის მომღერალი, რომლის გვარი, ჩემდა სავალალოდ, არ მახსოვს. ზურაბმა რესტორანში შეგვიყვანა და ჭოროხის კალმახების ფონზე გვაქეიფა. ერთი-ორი წლის შემდეგ იმ ახ. მწერალს ჩემთან ურთიერთობაში რაღაც შეეშალა და სახლიკაცთან მიქარა, თანაც ყურადღების მოსადუნებლად უყვებოდა: „დედაშენის გაკეთებული ელარჯიც მიჭამიაო...“ რაღა უნდა ვთქვა, გარდა იმისა, რომ როგორც ადამიანის გონი, აზროვნება და კეთილშობილებაა უსაზღვრო, უზრდელისა და უვიცის ღორობასაც არა აქვს საზღვარი და ამიტომაც საჭიროა გვახსოვდეს: „ნუ დაუყრი მარგალიტთა...“. ისე კი, რადგანაც ის ახ. მწერალი გარდაცვლილია, მე აქ – ჩემს წილხვედრ წუთისოფელში მიპატიებია, მაგრამ იქ – მაღალ ღმერთთან თავის ავკაცურ ცხოვრებასა თუ საქმეს თავად მიხედოს და ა. შ. ბიოგრაფიული მომენტი თუ არალირიკული გადახვევა იმიტომ დამჭირდა, რომ ზურაბთან ასეთი სტრიქონებიც შემხვდა: „ჩემს ტაბლასთან ღრეობდა კახპაცა და ახვარიც...“. სწორედ აღნიშნულმა დეტალმა გამახსენა ჩემი შფოთიანი სიჭაბუკე და ახ. მწერლის ახვრობაც...

ისე მოხდა, რომ ჩემი ბიბლიოთეკა („ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთი“) სოხუმში, ზუგდიდში და თბილისშია გაბნეულ-გაფანტული. სოხუმში ჩამრჩა ზურაბის ნაჩუქარი წიგნებიც... ამ დღეებში გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა და „100 ლექსის“ საგამომცემლო პროექტის ავტორმა, ბ-ნმა **კახმეგ კუდავამ**, მაჩუქა ზურაბ გორგილაძის „100 ლექსი“, რომლის წინათქმაში ვკითხულობთ: „ზურაბ გორგილაძე დიდად და გამორჩეულად ზრუნავდა აჭარაში შემორჩენილი ძირძველი ქართული სიტყვების გაცოცხლებისთვის. თავის ლექსებში პოეტმა ამ სიტყვებს მივიწყების საბურველი შემოაცალა და გააცოცხლა ისინი. ამასთან, ყველაფერი ეს ისეთი ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით შეასრულა, რომ ისინი ლიტერატურულ ქართულში ორგანულად ჩააწნა. ეს მისი გამორჩეული წვლილია ქართულ მწერლობაში და ამაში მკითხველი საკუთრივ დარწმუნდება პოეტის 100 ლექსის გაცნობისას“ (**მიხეილ მახარაძე**).

უკეთესად ვერც იტყვი. ხშირად მიფიქრია, რომ ზურაბ გორგილაძის პოეზიისთვის საოცრად ნიშნეულია აჭარული დიალექტის ყვავილწნულის ფერადოვნება-სილამაზე და ქართულ ღვთაებრივ ჩუქურთმათა ხაზების ჩაწნულ-ჩახლართული ერთიანობა, მეტაფორული აზროვნების სიღრმე და ჰაეროვნება (თუნდაც „ძუძუმღვრიე ფატმანი“ ან „სამ თვეს წითლად რად დიოდა მაჭახელას წყალი“ და ა. შ.), პოეტური ენერგია ციდან გადმოვარდნილი ჩანჩქერივით ეშვება და ვერცხლისფერ შხეფებს ისვრის ჩვენკენ, პოეტი ბალღივით გულმართალია და გულწრფელი, საოცრად სევდიანი და დახვეწილია („დახვეწილობა კი პოეტის საბრძანებელია, მისი ელდორადო“ — **ედგარ ალან პო**), ადამიანებთან ურთიერთობაშიც, შინაგანი არისტოკრატიზმითა და ჭეშმარიტად ელინურ-ქართული დემოკრატიზმით (არა დღევანდელი ზედაპირულ-მოჩვენებითით) საუბრობს ათასი ვაების მომსწრე და გადამტან ქართველ მკითხველთან. ზურაბ გორგილაძის კრებულში უამრავი დიდებული და დიდი ლექსია, რომელიც მომავლის ქართულ ანთოლოგიებს დაამშვენებდა. მათი ჩამოთვლა ისე შორს წაგვიყვანდა, რომ ესსეის ფარგლებში ვერ ჩავეტეოდით. რამდენიმე მათგანის სათაურებს დავასახელებ: „*** ვჭრი მარმარილოს, საჭრეთლის მიყვარს ძგერება“, „გადამაბიჯებს გულზე გონიო“, „კოხტა კოლხი“, „მობრძანებულხარ, გელოდი!“, „ხატიმამული“, „*** მარადიდი! მარადიდი!“, „აღსარებასავით“, „*** გადმოვარდნილს გოდერძით თუ...“, „შენთან გასაგზავნი წერილი“, „ორი რუსთაველი“, „ძველი ტკივილის გამო“, „პიპას“, „მთელი ჩემი სიცოცხლე“, „იქნებ“, „აბოს ფერფლი“, „რა დროის იყო ეს საყვედური?“, „სხალთის ტაძარი“, „მიძღვნა“, „მადლობელი“, „ჩაუმქრალი სანთლები“, „ნენემ დამინიშნა ქალი“... ამ და სხვა ლექსებით პოეტმა აჭარულ დიალექტში ნაღვერდალივით შემონახული და მობრდღვიალე ძველქართული სიტყვები ხელახლა გააცოცხლა, როგორც ღირსეულმა შემოქმედმა ადამიანმა სული შთაბერა და პოეტური ხელისგულით ალალად და უშურველად გამოგვიწოდა. ზურაბ გორგილაძე განსაცვიფრებლად მაღალია და გულმართალი, როდესაც წერს: „წიფლის ცეცხლი ბარბალებს და კვარცხალებს კარდალი, — ნენი, — ბიჭი კითხულობს — მჭადზე დაღი რად არი? დედა ხმამწუხარეა, ზარს და ზეიმს ჩვეული, — შვილო, მჭადზე ჯვარია ძველი და კურთხეული“ („ბუხართან“).

ზურაბ გორგილაძის მთელი სიცოცხლე, პოეტური ენერგია, ხორუმივით დაძაგრულ-დაძაბული და მთრთოლვარე ნერვი, მამულიშვილური გუ-



ლისტკივილი საუკუნეთა მიჯნაზე შაგრენის ტყავივით დაფლეთილ-დაპატარავებულ თუ შინგამოზრდილ ტურა-მელათა ანუ კვაზიპოლიტიკოსთა („მწიგნობართა და ფარისეველთა“) მიერ გაყიდულ-გასხვისებული საქართველოს ბედის მოზიარე ქართველის მლაშე ცრემლითა და ტკივილითაა გაჟღენთილი: „წუხილს ჩემთვის რომ წუხდა **ილია**, რომელ ცრემლში და წუხილში გარევ, რა უბედური ხალხის შვილი ვარ, რა უბედური მერგუნა მხარე“. მისი მარადქართული ცნობიერება და მოთქმა-წუხილი სისხლხორცეულია ქართველი მკითხველისთვის, რომელსაც თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის ძუძუ უწოვია... შარავანდმოსილი ქართული სიტყვა უხილავს და „ქართლის ცხოვრების“ კითხვაში დასთენებია, ქართული საჟრუანტელო ბგერებით – საგალობლებით ღმერთამდე ამაღლებულა და მდაბალი შურით სატანამდე დაცემულა, სულით წაწყმედილა, აღსარება უთქვამს და საქართველოში სიკვდილი უნატრია.

ზურაბ გორგილაძემ ვაჟკაცურად და პოეტურად გაიღო თავისი ზვარაკი. მთელი სიცოცხლე ქართულ სიტყვას ემსახურებოდა და ტიციან ტაბიძის თქმისა არ იყოს: „ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი, სინდისით რაღა მოეთხოვება?“

პოეტმა თავისი მართალი პოეზიით პატარა საქართველოს კიდევ უფრო პატარა და ფერადი აჭარის („აჭარა – ჩემი პატარა ნავი“ – **ალექსანდრე საჯაია**) რუკაზე მბორგავი ცხელი გული გამომიწოდა და მე მწამს, რომ გულისხმიერი ქართველი მკითხველი ამ გულს გაუფრთხილდება, აუცილებლად იგრძნობს საოცრად მართალი და ნაღდი პოეტის გულის ფეთქვას, რომელიც გულმართალი იყო ქართულ სიტყვასთან და მამულის სამსახურში დაიფერფლა: „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. ამინ!

შესაძლებელია პარტიკულარიზმში ჩამითვალოს მავანმა და მავანმა, მაგრამ, რადგანაც ეს პატარა სამშობლო საქართველო „გვაქვს უთვალავი ფერითა“ და ერთადერთია, აუცილებლად უნდა ვთქვა: **შოთა ნიშნიანიძის** შემდეგ არ შემხვედრია მეორე დიდი ქართველი პოეტი, რომელიც ასე გულწრფელად და ხატოვნად, უანგაროდ და გულდათუთქული მოეფერებოდა ჩემს მშობლიურ კუთხეს – სამეგრელოს: ხუთგზის გადავლილ-გადმოვლილსა და თანამედროვე ლექსიკით „დედამოკლულს“, მაგრამ მაინც ცოცხალსა და მოიმედოს. იმედია დამეთანხმებით, რომ დედასამშობლო ჩვენი იმერულ-აჭარულ-მეგრულ და სხვა ძვირფას მხარეთა ორღობეებიდან, ქუჩებიდან, შუკებიდან და უბნებიდან იწყება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ორივე პოეტის სული!..

როდესაც ზურაბ გორგილაძე წერს: „დედაო ღმერთო! ჭორფლიან ბუკებს წავსკვენი ყელზე ჭრელი ფაფანაკი, – და შენს ბეთლემში ფეხს იდგამს უკვე ქართული სიტყვის ერთი ზვარაკი“, მე მჯერა ჩემი უფროსი და სულკურთხეული ძმის სიტყვისა! მწამს მის მიერ გაღებული მსხვერპლისა. დარწმუნებული ვარ, რომ სიხარულისა და ჭირის ოფლით შექმნილი ზურაბ გორგილაძის პოეზია ღირსეულ მკითხველს იპოვის, რამეთუ თითოეული ჭეშმარიტი პოეტის „სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი არსად“ (**ბლეზ პასკალი**).

დასასრულს, მკითხველთან ერთი თხოვნაც მექნება და გამგები გაიგებს: ჩემი ძმისა და ღვინისფერი პოეტის სევდა ასე მესმის: ზურაბ გორგილაძის შთამომავლებს მაინც ნუ ათქმევინებთ: „ნუთუ ჩემმა სევდიანმა აჭარლობამ საქართველოს წაუხდინა რამე?!“

უკვდავი სახელები

წმიდა ალექსი შუშანია

საზომი სულიერი თავისუფლებისა

წერილი იონა მეუნარგიასადმი

ღრმად პატივცემულო იონა!

ჩემს უფერულს... სენაკში, რომ შემობრძანდით და თავმდაბლობით ხელზე მეამბორეთ (რაც სირცხვილად მიაჩნიათ განათლებულად წოდებულებს) სიამოვნებით აღივსო ჩემი გული, არა იმისთვის, რომ ვითომ ჩემი პირადობის პატივს ვამაღლებდი, ნუ იყოფინ, არამედ თქვენ მიერ, როგორც მაღალ განათლებულ პირისაგან ზნეობრივად თავმდაბლობამ, ეკლესიის ჩვეულების საპატიო ზნეობრივ მშვენიერების დანახვამ ფრიად სიხარულევან სახე დამიყენა თვალ-წინ და გამახარა. შემდეგ ამისა, უფრო მათვისებდა თქვენს თავს ხასიათის უბრალოება... რასაც იშვიათად შეხთებით სწავლა-განათლებულ პირებში, რომლების თავზე რაღაც განათლების დამამცირებელ ამპარტავნების დროშა აღმართულა, თითქოს მიწის შვილად არ რაცხენ თავიანთ თავს! ასეთებს ავიწყდებათ თავისი ადამიანობა, რამეთუ ადამიანი რა წრეშიც იყოს და რავდენიც სწავლა-განათლებით ამაღლდეს, მაინც ადამიანია, მაინც საწყალია და იმ მაღალ საზომის მისაღწევ ძალ-მოსილებისადმი, რომელიც დანიშნულია ადამიანისთვის, ფრიად უძლურია. საზომს ვამბობ: სულიერ თავისუფლებისას, უზნეო ცუდ-ვნებათა არა დამონავებით ნებათა ძლევას, რომელ არს ჭეშმარიტად არსებით მაღალ განათლება და არა ოდენ გარეგანად კლასიკურ აღსავალთა დამთავრება, რომელიც ვერ ახორციელებს ადამიანის, როგორც დიდბუნებოვანი გონიერ არსების

***სადა**, უბრალო, ძაძის ანაფორით შემოსილ ბერის ხატად გამოკრთის ალექსი შუშანიას სახება მორწმუნე ქართველის მეხსიერებიდან, თეთრი წვერი და ქათქათა კულულები მკერდზე. ხის ჭილოფგადაფარებული ტახტი, მცირე მაგიდა უზურგო სკამებით გარემოსილი და პატარა კარადა, რომელზეც ათონის მთიდან წამოღებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი ასვენია...*

ალექსი ბერის თავგამოდებითა და ქველმოქმედ ქრისტიანთა შემწეობით, მთავარანგელოზთა კუნძულზე დაფუძნებული ეკლესია მრავალთათვის გახდება სულის საკურნებელი სავანე. ბერი პოეტი თანაბრად იწყარებს მართლმადიდებელსა და შეცთომილს, განსხვავებული მრწამსისა და შეხედულების მოწაფეებს, იზიარებს მათ შინაგანცდას, ტკივილს, რჩევით ეხმარება. პოლემიკის გამორჩეული ნიმუშია ალექსი ბერისა და ცნობილი ექიმ-ფსიქოლოგის, ივანე გომართელის მიმოწერა, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის პიროვნებები დიდი პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობიან ერთმანეთს, კამათშიც იგრძნობა სამაგალითო ტაქტი და მეგობრული სინაზე.

იონა მეუნარგიაც, როგორც ყველა განათლებული და ევროპულ კულტურას ნაზიარები ადამიანი, ეჭვის თვალით უყურებს

ფოტოზე ბერი ალექსი შუშანია

იონა მეუნარგია დაიბადა 1852 წლის 26 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. დაწყებითი განათლება მიიღო მარტვილის სამრევლო სკოლაში, შემდეგ დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1877 წელს იგი ცოდნის გასაღრმავებლად პარიზში წავიდა. სამშობლოში დაბრუნებული თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ენერგიულად იღვწოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. 1891-1894 და 1907-1913 წლებში არჩეულ იქნა ფოთის ქალაქის თავის მოადგილედ. 1898-1907 წლებში მომრიგებელ შუამავლად მუშაობდა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში. გარდაიცვალა 1919 წლის 15 მაისს. დაკრძალულია ცაიშის ეკლესიის ეზოში.

წმინდა ალექსი (შუშანია) დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში. შვიდი წლისა სკოლაში შეიყვანეს. აქ მან დიდი ნიჭიერება გამოიჩინა, მაგრამ მალე მძიმედ დაავადდა და სწავლა ვეღარ განაგრძო. 20 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. მოღვაწეობდა ათონისა და გელათის მონასტრებში. 1886 წელს დიაკვნად, ხოლო 1888 წელს – მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. 1890 წლიდან თეკლათის მონასტერშია. 1891 წელს ბერული სენაკის მშენებლობა დაიწყო მენჯში, მთავარანგელოზთა ტაძართან. 1898 წლიდან კი დაყუდებულ ცხოვრებას შეუდგა. სენაკში ჰქონდა კაცის სიმაღლის ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს ზურგით იპყრობდა ხოლმე, რადგანაც ჯვრის ასე პყრობა გოლგოთაზე ამავალ ქრისტეს აგონებდა. ხანგრძლივი მოღვაწეობით დამაშვრალი ბერი 1923 წლის 18 იანვარს მიიცვალა.



13 იან. 1912

ძმაო ნიფონ-ცუბერო იონა!

ჩემს უფროს... სენაკში, სად შეხვედ-
ია წათვ-მდაბლობა ხელს შეაშველა (სა-
ნიმუშოდ მიიხნია ვანაურეთელი ნ-
ეფუცეს) სიამოვნებია ძალიან ჩემი
ვიცი, ეს იმიტომაც სად ვიცან ჩემი ნა-
ცადობის ნაფიქრს ეფშაილეთი, ნუ იყოფ
ეს შეაჯ თქვენ-შიერ, ისეთი შეტი ვანა-
ურეთელ ნიმოსავან ზნეობრივად თავ-
მდაბლობან, ეჯერეთ ჩვეულებრივ საპატ-
ზნეობრივ შეშფოთებულ დანაბეკან ეს-
ალ ანალიზეულან ან დაშიყენა თავ-ნიმ-
ვანობა. შეშლე ამის უფრო მეთა-
�რა თქვენ თავს ხალხთან უბრალ-
ება... ისეთ იშვიათად შეკვეთილ
ნაწილი ვანაურეთელ ნიმოსეში, ისეთ
თავზე ჩვეულ, ვანაურეთის დაშაშოლობენ

ქართველის „ფუნდამენტურ“ მართლმადიდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირის ოჯახშია აღზრდილი (მამამისი, მიხეილ მეუნარგია წლების მანძილზე ცაიშის ეკლესიის დეკანოზი იყო), მის გონებაში ქრისტეს შემეტოქეობია ძვირფასი სახელები გეტესი, ბერნესი, ჰეინესი, დობროლიუბოვისა, შილლერისა, მილლისა, ბაირონისა, კანტის, კონტის, გუმბოლდტის, ვუნდტისა და ბოკლისა, ყმაწვილობის წლებიდან ალუფხულა სპინოზასა და შელლინგის, ჰეგელისა და ლეიბნიცის მოძღვრებანი... სასულიერო სემინარიის აუტანელმა პირობებმა – სულით ღარიბი ლექტორებისა და ინსპექტორების ნაცადმა მუშაკობამ – დამარხა მასში ხარებად აღძრული რწმენის თავთავები და ახალი მეცნიერების ბანაკიდან გადმოჰყურებს საწყალ დროებას, აკრიტიკებს ერთფეროვნებას, უიმედობას შეუპყრია.

გაივლის დრო და განსხვავებული ძალისა და მისწრაფების ადამიანთა მცოდნე იონა მეუნარგიას შუშანიების სავანისკენ გამოუწევს გული. იქნებ უბრალო ცნობისწადილია, ლეგენდადქცეული ბერის ნახვას რომ დაამურა, იქნებ ის ანდამატივით მიმზიდველი ძალა – დაკარგულის, დავიწყებულის საპოვნელად.

უჩვეულო გრძნობით შეუყვება აღმართს, უცხო განცდის მოლოდინში...

დანიშნულებას. ვიმეორებ თქვენმა უბრალოებამ... და თუმცა მაღალ განათლებულ, მაგრამ თავ-მდაბლად ზნეობრივ სახებამ დამიტოვა შთაბეჭდილება გულში თქვენდამი სიყვარულისა.

ძმაო იონა! ბევრი რამ ღირს საგნებზე მსურდა თქვენთან მესაუბრა, მაგრამ ერთიც არ მომიხერხდა და რაღაც ნახტომ-ნაწყვეტ სიტყვებს ვაკუთვნე საპატიო შემთხვევა.

გიკურთხოს უფალმან დღენი ცხოვრებისა თქვენისანი ერთად საყვარელ მეუღლით და შვილებითურთ ამინ.

ალექსი ბერი 1912 წ. 13 ივნისი

მამობრივ სიყვარულით ვიკითხავ თქვენს მეუღლეს ნინოს.

ფოტოზე იონა მეუნარგია

მოამზადა **ნაზი ქორთუამ**

წიგნის პრეზენტაციები

ლიტერატურული ალილობა არტ-კაფე „ქარავანში“

ორი ახალი საბავშვო წიგნი, ბევრი „სადიდო“ ლექსი – მეგობარი პოეტების – **ნინო სადღობელაშვილის, კატო ჯავახიშვილის, ნონა გიორგაძის, ნინო ქოქოსაძის, დავით აკრიანის, მარიამ ხუცურაულის** მიერ წაკითხული; რამდენიმე ძველქართული რიტუალი – მაყურებლების თანამონაწილეობით და სიზმრის ელფერით; საშობაო ვარსკვლავი, დედას პური, თაფლი და მთელ-მთელი ნიგვზის ლებნები – ეს ყველაფერი ერთად „ლიტერატურული ალილობა“ იყო, რომელიც 11 იანვარს, არტ-კაფე „ქარავანში“ გაიმართა. ალილობის მასპინძელი პოეტი **მარიამ წიკლაური** გახლდათ.

მან მკითხველს გამომცემლობა **„პეგასთან“** ერთად თავისი ორი ახალი კრებული წარუდგინა: **„ნანინები“**, რომელსაც თან ერთვის დისკი – ავტორის ხმის ჩანაწერი – იგი თვითონ კითხულობს თავის ლექსებს (მუსიკალური გაფორმება და მასტერინგი **ზურაბ მჟავიას** ეკუთვნის, მხატვარია – **გია ცხადაია**), და **„ნატვრისთვალო მზისაო“** – საბავშვო ლექსების კრებული, **ნანიკო ბურდულის** ილუსტრაციებით.



პერფორმანსი უცხო ხილი აღარაა ქართველი მაყურებლისთვის, თუმცა „ქარავანში“ გამართული საღამო მხოლოდ ამ ჟანრს არ დასჯერებია – ყოველივე, რაც მოწვეულმა სტუმრებმა ნახეს, იყო არა გამონაგონი და შეთხზული, არამედ ნამდვილი და ძირისძირამდე ქართული, ისევე როგორც მარიამ წიკლაურის მთელი შემოქმედება.

ლიტერატურული ალილობის რეჟისორი მსახიობი **იოანე ხუციშვილი** იყო, მასში მონაწილეობდნენ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

პასტერნაკის ლექსები ქართულად

12 იანვარს გამომცემლობა **„შემეცნებამ“** სერიით „ცა“ გამოცემული ახალი კრებული მკითხველს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარუდგინა.

წიგნის ისტორია ასეთია: გამორჩეული ბედისა და ნიჭიერების ადამიანი, პოეტი, მთარგმნელი **ბათუ დანელია** მოსკოვში ლიტერატურის უმაღლეს კურსებზე სწავლისას შეხვდა **ბორის პასტერნაკის** ვაჟს, რომელმაც მამის ორტომეული უსახსოვრა ქართველ პოეტს. იმ დღიდან რუდუნებით მუშაობს „იური ჟივაგოს ლექსების“ თარგმანზე, მისთვის ჩვეული მაღალი პოეტური პასუხისმგებლობითა და სინდისიერებით. მაგრამ რატომღაც ამ ლექსების გამოცემა წლების მანძილზე ვერ მოხერხდა.

ბათუ დანელიამ დანანებით აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, წიგნი ორენოვანი სახით ახლაც ვერ გამოიცა.

მთარგმნელმა ლექსები თავად წაიკითხა.

გივი შაჰნაზარმა, ზაზა აბზიანიძემ, დავით-დეფი გოგიბედაშვილმა, აკაკი ბრეგაძემ, ლევან ბრეგაძემ, ნონა კუპრეიშვილმა, მარიამ წიკლაურმა, ნონა გიორგაძემ გაიხსენეს პასტერნაკის ცხოვრება და საქართველოსადმი მისი გულითადი დამოკიდებულება, ისაუბრეს ბათუ დანელიას თარგმანის ღირსებებზე.

წიგნები

„ინტელექტი“ გთავაზობთ



რომენ როლანი
მიქელანჯელოსა და ბეთჰოვენის ცხოვრება

1915 წლის ნობელიანტი მწერლის – **რომენ როლანის** წიგნი „ნობელის პრემიის ლაურეატების“ სერიის ახალი ტომია.

„**მიქელანჯელოს ცხოვრება**“ რომენ როლანის „გმირულ ცხოვრებათა“ ციკლს განეკუთვნება. მასში აღწერილია შემოქმედებითი ვნებანი კაცისა, ვინც სწორუპოვარი შედევრები დაგვიტოვა ქანდაკების, მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების დარგში. ოსტატი თავის საქმეს რელიგიური მოწიწებით ეპყრობოდა. „კარგი ხელოვნება ღმერთს უახლოვდება და მას შეერწყმის. ის ოდენ ასლია ღვთის სრულქმნილების, მისი ყალმის ჩრდილი, ანარეკლი მისი მუსიკის, მისი მელოდიისა.“

„**ბეთჰოვენის ცხოვრების**“ წინასიტყვაობაში როლანი წერს: „ჩვენს ირგვლივ ჰაერი დამძიმებულია. მძიმე და გახრწნილ ატმოსფეროში იყინება მოხუცი ევროპა. სიდიადეს მოკლებული მატერიალიზმი მძიმედ აწვება აზრს და ხელს უშლის მთავრობათა და პიროვნებათა საქმიანობას. მსოფლიო თავის მშიშარა და სულმდაბალ ეგოიზმში იხუთება. მსოფლიო სულს ღაფავს. მაშ, გავაღოთ ფანჯრები. შემოვუშვათ სუფთა ჰაერი. ვიგრძნოთ გმირების სუნთქვა“.

ახალგაზრდა პოეტების კრებულები

გამომცემლობა „**ინტელექტში**“ ერთდროულად ორი ახალგაზრდა პოეტის წიგნი დაიბეჭდა: **ზაზა ბიბილაშვილის „ჩემი მდოგვის მარცვალი**“ და **ქეთი ნიჟარაძის „წაუკითხავი ლექსები**“. ახალ კრებულებში პოეტების საუკეთესო ლექსები შევიდა.

„**წაუკითხავი ლექსების**“ წინასიტყვაობაში, რომელიც **რატი ამაღლობელს** ეკუთვნის, ვკითხულობთ: „პოეტი ენაში მყოფი მხატვარია, რომელიც სამყაროს არა მხოლოდ ლოგიკურად და რაციონალურად, არამედ – პირველყოვლისა ინტუიტიურად აღიქვამს.

თუ დავუშვებთ, რომ სამყარო მუდმივ დინამიკაში, მუდმივ ქმნადობაშია, მაშინ პოეზიასაც მოვუნახავთ ფუნქციასა და შინაარსს, ის ცდილობს, ამ ქმნადობის შესაძლებლობაში იარსებოს, იარსებოს საკუთარი ინტუიციებით, გააგრძელოს ბუნების დაწყებული საქმე და არამხოლოდ მიბაძოს მას. ქეთიც ამ პროცესშია. წინამდებარე ლექსების კრებულიც სწორედ ამ პროცესის ასახვაა, თითოეული ჩვენგანი კი – ქმნადობის თანამონაწილე.“

100 ლექსის ორი ახალი ტომი

„100 ლექსის“ სერიით ორი ახალი ტომი გამოიცა. **თამაზ ჭილაძის** 100 ლექსის კრებული **ზვიად კვარაცხელიამ** შეადგინა. კრებულში შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები, რომლებიც დიდი ხანია შეიყვარა მკითხველმა.

მედეა კახიძის 100 ლექსის წინასიტყვაობაში კრებულის შემდგენელი **იოსებ ჭუმბურიძე** წერს: „ალბათ, იშვიათია პოეტი, რომელსაც ასე მკაფიოდ გამოკვეთილი ჰქონდეს მხოლოდ ორი თემა – სამშობლო და სიყვარული. შევეცადეთ, ამ კრებულში თანაბრად და ღირსეულად წარმოგვედგინა პოეტის „ორივე ცა“. 50 ლექსი სიყვარულზეა, 50 – სამშობლოზე.“

სერიას მალე **ესმა ონიანის** 100 ლექსის გამოცემაც შეემატება.

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ
„ᲡᲐᲓᲦᲐᲪ, ᲜᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲨᲘ“



ვანო ჩხიკვაძის მინიატურების ახალი კრებული „ინტელექტის“ **„მცირე პროზის“** სერიით გამოიცა. წიგნში შესულია მინიატურები: *„კოხტა თამრო“, „მესანთლე“, „ლიზა“, „ბელადს აბანავებენ“, „მდინარე“, „ამბავი – ბელურა“, „მაგიდა“, „უცნობი“* და სხვები.

„ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
„ᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝᲨᲘ“

წიგნი 1885 წელს **ილია ჭავჭავაძის** სამეგრელოში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს. ეს პირველი ცდაა დიდი ქართველი მოღვაწის ცხოვრების ერთი ეპიზოდი საზოგადოების ფართო წრისათვის მხატვრულ-დოკუმენტური ხერხით გახდეს ცნობილი.

ზვიად კვარაცხელიამ, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, ახალი ფასეულობა შექმნა – თითქოს დოკუმენტური ფილმის კადრები ენაცვლებიან ერთმანეთს.

ილიას სამეგრელოში სტუმრობის წარმოჩენით თავისთავად აღდგება ურთულესი ეპოქა და მდგომარეობა ქვეყანაში. ისტორიულ ფონზე პერსონაჟებიც იმდროინდელი რეალური პირები არიან: სხვადასხვა სფეროს გამორჩეული წარმომადგენლები თუ ჭავჭავაძის უშუალო მასპინძლები.

მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას **როსტომ ჩხეიძის** წინასიტყვაობა და **ვასილ კიკნაძის** გამოხმაურება ერთვის.

რა მისიით ეწვია ილია სამეგრელოს და რა შედეგი მოჰქყვა ამას, წიგნის წაკითხვის შემდეგ შეიტყობთ.

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22